# ლელო

№040
(12 110)
19 თებერვალი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი
50 თეთრი

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა



# რა მოხდება მეორე სერიაში?

მეოთხედფინალი.
პირველი მატჩები

## სიონი და ზესტაფონი: ცალი ფეხით ნახევარფინალში



მიმოხილვა 2-3

გუშინ, ამერზე. იაშვილის ჯარიმის შემდეგ მასპინძლები ქვაჩახიამ იხსნა



ნუგზარ სუპატაშვილის ფოტოები

დინამო:
## მიხედეთ მსაჯებს!
2



6-8

იტალია
**ფენომენის ფენომენური დუბლი**

გერმანია
**ბაიერნი კვდება, ვერდერი კრიზისშია, ჰამბურგი გათოხსლდა**

ესპანეთი
**რეალს ისევ უსტვინეს, ვალენსიამ ბარსა ორ წუთში დაანგრია**

5

# მეკარე გვყავს!

## ლომაიას მეორე სუპერმატჩი

**კალაძე და კობიაშვილი დაბრუნდნენ, ხიზანიშვილს აქებენ**

ლეგიონის უქმეები



გახსენი...
# ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

## დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის ყაზბეგის გათამაშება XVII

www.pfl.ge
მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

**ამერი-დინამო**

**2:1**

18.02. თბილისი. ამერი. 1000 მაყურებელი

**პირველი მატჩი**

1:0 დოლიძე (29. ბოლქვაძის პასით), 1:1 იაშვილი (40. ხმალაძის პასით), 2:1 ჩიმაკაძე (88. დავითაშვილის პასით)

ამერი: ქვაჩახია - დიდავა, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე - დოლიძე, ბოლქვაძე, დობროვოლსკი, ჯელაძე (57. მჭედლიშვილი) - დავითაშვილი, წინამძღვრიშვილი (77. ჩიმაკაძე).

*სათადარიგოები: ნადირაშვილი; მესხი, კაკაშვილი, ხვადაგიანი, გაბისკირია*

დინამო: ლორია - შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, შაშიაშვილი - ფეიქრიშვილი (80. ხუციშვილი), დილმელაშვილი, ხმალაძე, კობახიძე - გ. მერებაშვილი (89. ოდიკაძე) - იაშვილი.

*სათადარიგოები: გრიშიკაშვილი; თომაშვილი, ჯანაშია, გ. კაშია, სპასოევიჩი*

გაფრთხილება: დობროვოლსკი (16), იაშვილი (44), მერებაშვილი (45), ელბაქიძე (50), ბოლქვაძე (66), დავითაშვილი (90).

არბიტრი: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი)



ეკრიოზული გოლი დინამოელთა კარში

ნუგზარ სუარიძის ფოტო

# ამერის კომპლექსი

თავდაპირველად ის ვთქვათ, რომ მართლაც საცოდაობა იყო ამ გუნდების დაპირისპირება ასეთ ადრეულ ეტაპზე. ახალი რა უნდა ვთქვათ - "ამერიც" და "დინამოც" ხომ მხოლოდ მაქსიმალური შედეგისთვის იბრძვიან. ანუ, ამ შემთხვევაში თასის გათამაშების ფავორიტთაგან ერთ-ერთს მეოთხედფინალიდან გამოვარდნა ელის. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ თავიდანვე ცნობილი იყო ერთი გარემოება - წყვილში საბოლოო გამარჯვებულს ორმატჩიანი რაუნდი გაარკვევდა. მოლოდინი უკვე გამართლდა - გუშინ გლდანში მართლაც კარგი სანახაობა ვიხილეთ. 90 წუთის განმავლობაში გულშემატკივრებს არ მოუწყენიათ და გვარიანი სუსხის მიუხედავად ერთგულად ქომაგობდნენ თავიანთ გუნდებს. შეხვედრა კი უაღრესად დრამატული და მოულოდნელი სცენარით წარიმართა. მოულოდნელი იმიტომ, რომ მატჩი მეტოქე გუნდების გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა: ჯერ "ამერი" დომინირებდა, მერე "დინამომ" ჩაიგდო სადავეები, ბოლოს კი ახალგაზრდა **ბესიკ ჩიმაკაძის**, ცოტა არ იყოს, კურიოზული გოლიც ვიხილეთ. მოკლედ, ამერელი დებიუტანტის გოლმა განმეორებით მატჩს უფრო მეტი ინტრიგა შემატა.

გუშინდელი მატჩისადმიინტერესს ზემოთხსენებულის გარდა სხვა ფაქტორებიც განაპირობებდა. ჯერ ერთი, სეზონის პირველი შეხვედრა იყო; მეორე და, ალბათ, უფრო მნიშვნელოვანი, მეტოქეთა ახალწვეულების ხილვა გახლდათ. **გიორგი ჩიხრაძემ** აქცენტი ისევ ძველ შემადგენლობაზე გააკეთა, მაშინ, როცა **დუშან უჰრინმა** მოედანზე ერთდროულად ხუთი ახალი ფეხბურთელი (**ზელიჩი, კრშკო, ფეიქრიშვილი, დილმელაშვილი, შაშიაშვილი**) გამოიყვანა.

ვერ გეტყვით, შეუთამაშებლობის ბრალი იყო ან, იქნებ, ენობრივი ბარიერის, მაგრამ ფაქტია - პირველ ტაიმის მიწურულამდე სტუმრებმა თავი ვერაფრით დაგვამახსოვრეს. ერთადერთხელ იყო, სადღაც ტაიმის შუაგულში, "დინამომ" ეფექტური მრავალსვლიანი კომბინაცია რომ გაითამაშა, მაგრამ **კობახიძის** დარტყმა უზუსტო გამოდგა. სამაგიეროდ, "ამერი" გამოიყურებოდა მართლაც ჩინებულად, რაც, უპირველს ყოვლისა, გუნდის ლიდერების - **ბოლქვაძისა** და **დოლიძის** აქტიური და, რაც მთავარია, ოსტატური თამაშით იყო განპირობებული.

შეხვედრის პირველი ლამაზი გოლიც სწორედ ამ ორმა ფეხბურთელმა "გამოაცხო" - ბოლქვაძემ ეფექტური პასით დოლიძე ხელსაყრელ პოზიციაზე დატოვა და ამ უკანასკნელმაც ჩინებული ბურთი შეაგდო. ისე, ამ ეპიზოდში **დავითაშვილსაც** არ უნდა დავუკარგოთ გარჯა. საერთოდაც, "ამერს" ყველაზე დიდი უპირატესობა მარჯვენა ფლანგზე ჰქონდა, სადაც დოლიძის სისწრაფეს "დინამოს" მცველები ვერაფერს უხერხებდნენ. "ამერს" მანამდეც შეეძლო ანგარიშის გახსნა, როცა **წინამძღვრიშვილი** "დინამოს" მცველების შეცდომის შემდეგ ბურთს დაუცველი კარისკენ გზავნიდა, მაგრამ სტუმრები კრშკომ იხსნა. რა თქმა უნდა, ძნელია ერთი მატჩით ფეხბურთელის შეფასება, მაგრამ ზელიჩისგან განსხვავებით სლოვაკი მცველი, ცოტა არ იყოს, არადამაჯერებლად გამოიყურებოდა.

პირველი ტაიმის ბოლო ხუთ წუთში კი იმდენი რამ მოხდა, რამდენიმე მატჩს რომ ეყოფოდა. ჯერ იყო და **მერებაშვილი-ხმალაძის** კომბინაცია **სანდრო იაშვილის** ზუსტი დარტყმით დასრულდა. აქაც, გვინდა მოვლენებს გავუსწროთ და ვთქვათ, რომ სტუმართა გუნდში ყველაზე გამორჩეულნი სწორედ ეს ფეხბურთელები (ფეიქრიშვილთან ერთად) იყვნენ. გატანილი გოლის შემდეგ "დინამომ" ტერიტორიული უპირატესობა მოიპოვა და შეტევას შეტევაზე ახორციელებდა. სწორედ ამ მომენტში იყო კიდეც ორი ერთი-მეორეზე საკამათო ეპიზოდი, როცა დინამოელები პენალტს ითხოვდნენ: ჯერ იაშვილის წაქცევისათვის, მერე კი - დილმელაშვილის. ქომაგთა ნაწილი პირველ შემთხვევას ასპროცენტიან პენალტად მიიჩნევდა, მეორე ნაწილი - მეორეს, თუმცა ფაქტია, რომ მთავარ მსაჯს სხვა აზრი ჰქონდა...

არანაკლებ საინტერესო გამოდგა მეორე ტაიმიც, რომლის ძირითადი ნაწილი "დინამოს" უპირატესობით წარიმართა. ერთადერთი, გოლი აკლდა ამ უპირატესობას. არადა, "დინამომ" ანგარიშში დაწინაურების რამდენიმე შანსი გაუშვა ხელიდან. დილმელაშვილის ჯარიმას რომ ერთდროულად სამი დინამოელი ვერ მისწვდა, ეს ხომ რეალური მომენტი იყო; ამას იაშვილის ჩინებული საჯარიმო დარტყმა მოჰყვა, მაგრამ ხარიხამ და **ზურაბ ქვაჩახიამ** იხსნეს მასპინძლები. მერე, იმავე იაშვილის თავური დარტყმა მოიგერია აკრობატულ ნახტომში და, საერთოდაც, იგრძნობოდა, რომ "ამერის" მეკარე თავდაჯერებული თამაშობდა. მატჩის ბოლომდე სტუმრებს კიდევ ორჯერ ჰქონდათ გოლის გატანის შანსი, თუმცა **ფეიქრიშვილისა** და მერებაშვილის მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია. და აი, 88-ე წუთიც დადგა, როცა "ამერის" ერთ-ერთი იშვიათი შეტევა გოლით დასრულდა: ჩიმაკაძემ მეტოქის საჯარიმოს ნიშნულიდან არცთუ ძლიერად დაარტყა, მაგრამ სტუმართა ახალგაზრდა მეკარე **გიორგი ლორიამ** მიუტევებელი შეცდომა დაუშვა. კიდევ ვიმეორებთ, მეკარის შეცდომა აშკარა იყო, მაგრამ მარცხის ახალგაზრდა ბიჭზე (რომელსაც ჩინებული მონაცემები აქვს) გადატეხვაც არასწორად მიგვაჩნია. ყოველ შემთხვევაში, "დინამოს" ამდენი მომენტი არ უნდა გაენიავებინა. ანუ, მერამდენედ ვიმეორებთ დაუწერელ კანონს - ფეხბურთი 90 წუთს მიმდინარეობს და, უფრო ხშირად, ის იმარჯვებს, ვისაც მეტი ნერვები აქვს. ნამდვილად ვერ დავაკნინებთ "ამერის" გამარჯვებას, პირიქით - გიორგი ჩიხრაძის გუნდმა ერთობ გაძლიერებულ მეტოქესთან ნამდვილ სათასო პაექრობაში იბრძოლა და ისე გაიმარჯვა.

დაბოლოს, მსაჯობაზეც. იყო პენალტი (თან - ორი), თუ არ იყო, ჩვენი გასარკვევი არ არის; საწყენი სხვა რამეა - ჩვენი ახალგაზრდა არბიტრების უმრავლესობა ერთობ არადამაჯერებლად მსაჯობს. ჰოდა, მერე, მიდი და არკვიე, შეცდომა რომ მოსდით, შემთხვევითი იყო თუ შეგნებული?

**გია ტუხაშვილი**

***P.S.* "ამერის" ისტორია მხოლოდ ხუთ წელს ითვლის. უცნაურზე მეტია, ალბათ, რომ თბილისის "დინამოს" ეს ახალგ ზარდა და ამბიციური გუნდი ჯერ ვერაფრით დაუმარცხებია...**

მატჩის შემდეგ

## ბუბა ტყავაძე:
# მსაჯი ერთხელ მაინც ხომ უნდა დაისაჯოს?!



ნუგზარ სუარიძის ფოტოები

დინამოს ხელმძღვანელობა მსაჯობამ აღაშფოთა

**მატჩის შემდეგ "დინამოს" მოთამაშეები მთავარი მსაჯის, ლევან კვარაცხელიას მოქმედებით უკმაყოფილოები დარჩნენ. და არა მარტო ისინი. გუნდის მმართველი დირექტორი ბუბა ტყავაძე "ლელოსთან" საუბარში მკვეთრ კომენტარს აკეთებს.**

- მსაჯმა ჩვენთვის გაუგებარი გადაწყვეტილებები მიიღო. გააკეთა ის, რაც თავად სურდა. დილმელაშვილის წაქცევისთვის პენალტი რომ დაენიშნა, გამოდის, მცველიც უნდა გაეგდო.

მეორე ტაიმში იაშვილი "ამერის" საჯარიმოში რომ გააჩერეს, ეს აშკარად ჩანს ვიდეოჩანაწერში. ვისაც სურს, ნახავს და დარწმუნდება.

ჩვენთვის აუხსნელია, რატომ ხდება ასეთი მოვლენები. ნუთუ, ფეხბურთის ფედერაციას ეროვნული ჩემპიონატი აღარ აინტერესებს და მთლიანად ნაკრებზეა გადართული? მან უნდა მიიღოს სერიოზული ზომები, თორემ ასე გაგრძელება ქართულ ფეხბურთს არ არგებს.

ვფიქრობ, ფედერაცია ამ მატჩის მსაჯობით დაინტერესდება, ჩვენ აღარ გვსურს ეროვნულ ჩემპიონატში ასეთი მსაჯობა. საწყენია, რომ თბილისის "დინამოს" მიმართ არაკეთილგანწყობილ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ.



ერთ-ერთი საკამათო ეპიზოდი. დილმელაშვილის ვარდნა მეტოქის საჯარიმოში

**- რაში ხედავთ გამოსავალს?**

- ერთხელ უნდა მიიღონ მკაცრი გადაწყვეტილება, დასაჯონ მსაჯი და ეს სხვებისთვისაც ჭკუისასწავლებელი გაკვეთილი იქნება. მერე ყველა თავის ადგილზე დადგება. უნდა დაინტერესდნენ, რომელიმე მსაჯს რაიმე ინტერესი ხომ არ ამოძრავებს?

**დავით მეფარიშვილი**

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



გიორგი ედიშერაშვილის ფოტო

# ამინდმა ფეხბურთი არია

**ბათუმი-ტორპედო**

**0:0**

18.02. ბათუმი. ადელი. 30 მაყურებელი

**პირველი მატჩი**

ბათუმი: სომხიშვილი, კუნჭულია, ხოხონიშვილი, გალოგრე, დუმბაძე, შალამბერიძე (85. ბეჟანიძე), თურმანიძე, ნერგაძე, ცანავა, (51. დარჩიძე), კვარაცხელია, კერესელიძე.

*სათადარიგოები: ბექთაშევი, ბაჯელიძე, ფარტენაძე, ტულუში, თედორაძე.*

ტორპედო: ქვილითაია, იობაშვილი, კილასონია, გურული, ზივზივაძე, ფარულავა, ჭედია (კვეტენაძე 46), ლალაძე, ლონლაძე (წიქარიშვილი 60), კირკიტაძე ნადირაძე

*სათადარიგოები: ხურცილავა, ბარაბაძე, ქუთათელაძე, დანელია, ოდიშარია.*

გაფრთხილება: კვარაცხელია (61)

მსაჯი: ლ. ფანიაშვილი

წვიმა, ქარი, ტალახი – არაფერი არ აკლდა გუშინ "ადელზე" გამართულ მატჩს. ეს პირველი ოფიციალური შეხვედრა გახლდათ, რომელიც „ბათუმმა" ამ სტადიონზე გამართა, მაგრამ ნათლობა დამაჯერებელი არ გამოდგა და ბათუმელებმა გოლის გატანის სამი შესაძლებლობიდან სამივე წყალს გაატანეს, რომელსაც ლამის მთელი მინდორი დატბორილი ჰქონდა და ფეხბურთელებს თამაშის საშუალებას არ აძლევდა.

პირველად „ტორპედოს" კარს **ცანავა** დაემუქრა. **თურმანიძემ** საჯარიმო დარტყმის შესრულება ითავა, მაგრამ კარში დარტყმის ნაცვლად საჯარიმოში მდგარ ცანავას გაუკეთა გადაცემა. მანაც მცველი ერთი მოძრაობით ჩამოიტოვა და **ქვილითაიას** საკმაოდ ახლოდან დაურყა. რიონისპირელთა საბედნიეროდ, დარტყმა სუსტი გამოდგა, თორემ მასპინძლები უკვე მე-2 წუთზე დაწინაურდებოდნენ. მეორე შანსი ბათუმელ ფეხბურთელებს 50-ე წუთზე მიეცათ. კვლავ თურმანიძის პასი, მაგრამ ამჯერად **კვარაცხელიას** მისამართით, რომლის თავური დარტყმა მეკარემ ზედ კარის ხაზზე მოიგერია. მესამეჯერ გოლის გატანის კიდევ უფრო კარგი შესაძლებლობა შეექმნა შალამბერიძეს 70-ე წუთზე, მაგრამ მიზანმა უმტყუნა. არადა, პოზიციაც და სიტუაციაც იდეალური ჰქონდა - ცანავამ ორი მცველი თავისკენ გაიტყუა და მარჯვენა მხარეს მდგომი შალამბერიძე ლამის ერთი-ერთზე გაიყვანა. მეკარე ამ მომენტში კარის მარჯვენა კუთხეს იცავდა, მარცხენა კი დაუცველი იყო და ბათუმელმა ფეხბურთელმა სწორედ იმ კუთხეში დაურტყა. თუ როგორ მოახერხა აცილება, ალბათ, თავადაც ვერ ახსნის. ეს იყო და ეს, ბათუმელებს მეტოქე მეტი არც შეუწუხებიათ.

რაც შეეხება ქუთაისელებს, მათ მთელი მატჩის განმავლობაში ერთი ხეირიანი მომენტიც კი არ შეუქმნიათ.

**ირაკლი დარცმელიძე**
ბათუმიდან

# ევოჩეს ბენეფისი ქართლზე

**ჩიხურა-სიონი**

**2:3**

18.02. გორი. ქართლი. 100 მაყურებელი

**პირველი მატჩი**

0:1 ევოჩე (30. ალავიძის პასით), 0:2 ევოჩე (39. კორღალიძის პასით), 1:2 ქუცურუა (46. ბუცხრიკიძის პასით), 2:2 გ. მიქაძე (53. პენალტით), 2:3 ევოჩე (56. ალავიძის პასით)

ჩიხურა: სტურუა - თავბერიძე, ქემოკლიძე, ვლ. ზაბახიძე, ვაშაკიძე - ბუცხრიკიძე, მახარაძე, ჩარგეიშვილი, ქუცურუა - გ. მიქაძე, დვალი (31. მ. მიქაძე)

*სათადარიგოები: დოლაძე, სტეფანიშვილი, ირ. ზაბახიძე, გვეტაძე*

სიონი: ბობლიაშვილი - ექონია, ბოიომო, ჭელიძე, კობაური - სანიკიძე (72. უგრეხელიძე), კორღალიძე, ბაბუნაშვილი, ალავიძე - ევოჩე (66. ოქროპირიძე), ჩასემი

*სათადარიგოები: მამალაძე, სვანიძე, ცხადაძე, რაქვიაშვილი, კვიტაიშვილი*

გაფრთხილება: კორღალიძე (36)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

საჩხერიდან თოვლს გამოქცეული „ჩიხურა" კინაღამ ანალოგიურ პრობლემას წააწყდა გორში. გუშინ დილით შიდა ქართლის მთავარ ქალაქში გვარიანად თოვდა და შეხვედრის დაწყებამდე ორი საათით ადრე რომ არ შეეწყვიტა, ვინძლო მატჩის გამართვა სათუოც გამხდარიყო. თუმცა, როგორც ირკვევა, ბუნების ჭირვეულობის მიუხედავად „ჩიხურა" მეორე წრის ყველა დანარჩენ საშინაო შეხვედრას ისევ „ქართლზე" ჩაატარებს.

თვითონ მატჩი და განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარი საკმაოდ საინტერესო სანახავი გამოდგა. მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოდგა, რაც ხიბლს მატებდა ამ სათასო დაპირისპირებას.

პირველი ტაიმი „სიონის" ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა, თუმცა თავდაპირველად სტუმრებს ამ უპირატესობის სახიფათო, ან მითუმეტეს საგოლე მომენტებად გარდაქმნა უჭირდათ. შეტევებს აკლდა სიმწვავე, რაც „ჩიხურას" მცველებს მათ განეიტრალებას უიოლებდა. ბოლნისელთა რიგებში მთელი მატჩის განმავლობაში დასამახსოვრებელი გახლდათ კამერუნელი **ჩასემის** აქტიურობა, ოღონდ შედეგი არა მან, არამედ მისმა თანამემამულე **გასტონ ევოჩემ** აჩვენა და აქტივში ჰეთ-თრიკი ჩაიწერა. ბოლნისელთა კართან პირველ ტაიმში მხოლოდ ერთი სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ **ქუცურუამ** ვერ შეძლო მეტოქის კარის აღება. „სიონი" კი სახიფათოდ პირველად 25-ე წუთზე დაემუქრა მეტოქის კარს - **ალავიძის** დარტყმული **სტურუამ** გაჭირვებით მოიგერია. ხუთ წუთში იმავე ალავიძემ, ვინაც ამ მატჩში თავისი ფლანგური ჩაწოდებებით მოსვენება არ მისცა იმერლებს - კარის გასწვრივ გაუკეთა გადაცემა ევოჩეს და მანაც მეტოქე გუნდის გოლკიპერი უსაქმოდ დატოვა - 0:1.

ამის შემდეგ ისევ ალავიძე და **კორღალიძე** ამარაგებდნენ შეტევის ხაზის აფრიკულ დუეტს პასებით. მათ დაგვირგვინებას ჩასემი კვლავინდებურად უშედეგოდ ცდილობდა ევოჩემ კი 39-ე წუთზე კორღალიძის გადაცემა აქცია გოლად 0:2.

მეორე ტაიმში მოვლენები მოულოდნელი სცენარით წარიმართა. ბოლნისელებს „სალამი არ დაემთავრებინათ", რომ ქუცურუამ ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა. „სიონი" ასეთ დასაწყისს ცხადია არ ელოდა და ცოტა დაიბნა კიდეც. „ჩიხურამ" მოპოვებული ტერიტორიული უპირატესობა შეხვედრის ბოლომდე არ გაუშვა ხელიდან, თუმცა შედეგზე ეს ადეკვატურად ვერ აისახა. არადა **ხვიჩა ქასრაშვილის** შეგირდებს მატჩის სათავისოდ შემობრუნება აშკარად შეეძლოთ. 53-ე წუთზე **მახარაძის** წამოწყებული კომბინაცია ქუცურუას რეიდით გაგრძელდა, რომელიც საჯარიმოში მოცელეს და **ვადაჭკორიამაც** უყოყმანოდ მიუთითა 11-მეტრიანის ნიშნულისაკენ. პენალტის გოლად გარდასახვა კი წარმატებით შეძლო **გიორგი მიქაძემ,** 2:2. საჩხერელთა ოცნება გამარჯვებაზე და ეიფორია სამიოდ წუთში ისევ ევოჩემ ჩააცხრო და მატჩის გმირადაც იქცა - 2:3. შეხვედრის დარჩენილ ხანს იმერლები ისევ ენერგიულად უტევდნენ, „სიონი" კი კონტრშეტევებით ცდილობდა ფონს გასვლას. ამ კომპონენტში გამორჩეული მოედანზე ახლადშემოსული **ვლადიმერ უგრეხელიძე** გახლდათ. ბოლნისელთა მარჯვენა გარემარბმა რამდენიმე სახიფათო „ჩხვლეტით" სცადა გუნდი კიდევ უფრო დაეწინაურებინა, მაგრამ საჩხერელთა დაცვის ხაზმა მოახერხა მეტოქის შეტევების განეიტრალება... თანაც აღარც ევოჩე იყო მოედანზე. შეხვედრის მიწურულს „ჩიხურამ" მთელი დარჩენილი ენერგია თამაშის გადასარჩენად მიმართა, მაგრამ ანგარიში მაინც არ შეცვლილა. **კახა ცხადაძის** გუნდმა ცოტა არ იყოს უფერული თამაშით, მაგრამ მაინც შეძლო დასახული მიზნის მიღწევა. „ჩიხურამ" კი, მისი პრობლემების გათვალისწინებით მოსალოდნელზე უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

# მოგებით გაგრძელებული სეზონი

**ბორჯომი-ზესტაფონი**

**1:2**

18.02. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი. 1000 მაყურებელი

**პირველი მატჩი**

1:0 ავალიანი (45), 1:1 ფიფია (55), 1:1 ვიეირა (71)

ბორჯომი: შეყრილაძე - მემარნიშვილი, ლ. მერებაშვილი, ქარქუზაშვილი, ლონლაძე - საყვარელიძე (75. კვერნაძე), ავალიანი, კოშკაძე, გრიგალაშვილი (88. გოგიჩაიშვილი) - რ. ჯიქია, კაკალაძე

*სათადარიგოები: კოდალაევი, თედიაშვილი, მძინარიშვილი, ლომიძე*

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე - საჯაია, ლონლაძე, თოდუა, კ. ჩხეტიანი - რ. ონიანი, გ. ჭელიძე, სანტოსი (82. ბენაშვილი), ნ. კვასხვაძე (46. ფიფია), ვიეირა - იონანიძე (69. ბ. ნოზაძე)

*სათადარიგოები: ჭანტურია, ხიდეშელი, ჯანელიძე, პარამონოვი*

გაფრთხილება: მემარნიშვილი (80)

მსაჯი: ლ. სილაგავა

ამ წყვილში ფავორიტად შერაცხულ "ზესტაფონს" ნამდვილი არასაფეხბურთო ამინდი და მოედანი დახვდა. სამცხეში დილით თოვლი მოვიდა, რის გამოც საწყის 45 წუთში გუნდებს ნახევრად დათოვლილ და გაყინულ მოედანზე მოუხდათ ასპარეზობა, მეორეში კი მზემ დაადნო თოვლი და ფეხბურთელებმაც ბორჯომის ხელოვნურ საფარზე გააგორეს ბურთი. ბოლო პერიოდში მასპინძლებმა რამდენიმე კარგი ფეხბურთელი დაიმატეს, რაც მათ იმედს აძლევდა, რომ შეძლებდნენ მეტოქისთვის ღირსეული წინააღმდეგობის გაწევას. შეხვედრის მსვლელობამ დაადასტურა, რომ ეს მართლაც ასე იყო და სიცივის მიუხედავად, სტადიონზე მრავლად მისულმა მაყურებელმა დაძაბული და საინტერესო სათასო დაპირისპირება იხილა. შეხვედრა ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყო და პირველი მომენტიც მალე დაფიქსირდა. მე-7 წუთზე **კვასხვაძე** შეიჭრა მარჯვნიდან საჯარიმოში და კარგადაც დაარტყა, თუმცა მეკარემ აულო. გაყინულ მოედანს სტუმრებმა უფრო მალე აუღეს ალღო და მე-18 წუთზე ისევ სახიფათოდ შეუტიეს, **ვიეირამ** წამიერად შეაფასა სიტუაცია, ისარგებლა რა მცველთა შეფერხებით და გავიდა თითქმის პირისპირ, მაგრამ ხელსაყრელი მდგომარეობიდან ცუდად დაარტყა. მალევე მასპინძლებმა **კოშკაძის** ინიციატივით სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს, მაგრამ მან ოდნავ ააცილა სამიზნეს. ამის შემდეგ უკვე **ჯიქიას** ჯერი დადგა, თუმცა მანაც ააცილა. ტაიმის ბოლო წუთზე კი მნიშვნელოვანი რამ მოხდა. ჯერ მძლავრი სპურტით ვიეირამ თავის მოედნიდან წამოილო ბურთი, დიდი სისწრაფით ჩაუქროლა მცველებს ფლანგზე, შეიჭრა საჯარიმოში და... გოლის გატანის მაგივრად, ბურთი კაი გვარიანად გადააცილა ხარიხას. რამდენიმე წამში კი **ავალიანმა** 25-30 მეტრიდან მოულოდნელად და ძლიერად დაარტყა სტუმართა კარისკენ, ბურთმა ჰაერში ტრაექტორია მკვეთრად შეიცვალა და მეკარისგან მარჯვენა კუთხეში შევარდა 1:0.



წინა პლანზე გოგი ფიფია

სტუმრებმა მეორე ტაიმი უფრო აქტიურად დაიწყეს და შედეგსაც მალევე მიაღწიეს. 54-ე წუთზე "ზესტაფონმა" მთელი ძალებით შეუტია, **როინ ონიანი** საჯარიმოში სახიფათოდ შევიდა. მისი დარტყმული მეკარემ მოიგერია, თუმცა ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა, დამატებაზე კი **ფიფიამ** იყოჩაღა, ყველას დაასწრო და კარში გადაგზავნა - 1:1. გაშვებული გოლიდან ორ წუთში, მასპინძელთაგან ერთ-ერთმა საუკეთესო კოშკაძემ ინდივიდუალურად ითამაშა კარგად, მაგრამ მისი დარტყმული ოდნავ გადასცდა კარის ჩარჩოს. 71-ე წუთამდე საინტერესო მოედანზე არაფერი მომხდარა. ამ დროისთვის კი სტუმართა შორის საუკეთესომ, ბრაზილიელმა ვიეირამ ითამაშა კარგად და თავისიანები დააწინაურა. მასპინძლები ამის შემდეგ ვა-ბანკზე წავიდნენ, თუმცა, ანგარიშის შეცვლა ველარ მოახერხეს. სტუმრებმა კი შეძლეს გამარჯვების მოპოვება, თუმცა ვფიქრობთ, საქმე მოთავებული არ აქვთ. "ბორჯომი" ალბათ ზესტაფონშიც გაუმართავს ბრძოლას წყვილის ფავორიტს.

## პრესკონფერენცია

თემურ მახარაძე (ზესტაფონი): მოშეწონა მასპინძელთა გუნდი. ვფიქრობდი, რომ სწორედ ასეთ ბრძოლას გაგვიმართავდნენ. ძნელია ფსიქოლოგიურად, როცა პირველი ტაიმის ბოლო წუთზე უშვებ გოლს. ჩვენების სასახელოდ მინდა ვთქვა, რომ მეორე ტაიმში შევძელით მობილიზება და გავიმარჯვეთ. საპასუხო მატჩშიც დარწმუნებული ვარ, მეტოქესთან დიდი ბრძოლა გველის.

ვლადიმერ ხაჩიძე (ბორჯომი): სადღეისოდ ცოტა მოუმზადებელი და შეუთამაშებელი ვართ. ახალი გუნდის პირობაზე, დღეს არა გვიშავდა. ერთი შემიძლია თამამად ვთქვა, ბორჯომში გასასეირნებლად და დაგეგმილი ქულების ასაღებად ნურავინ ჩამოვა. ჩვენ ყველას ბრძოლას გავუმართავთ, აქცენტი უფრო ჩემპიონატზე გვაქვს გაკეთებული და ჩვენს სიტყვას აუცილებლად ვიტყვით.

**მერაბ ბრძელიძე,**
ბორჯომიდან

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ოლიმპიურ ჩემპიონსა და პრიზიორს თავისუფალ ჭიდაობაში დავით გობეჯიშვილს დედის გარდაცვალების გამო.

www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge



ბესო მიქიაშვილი

მოსაზრება

# რატომ ვკარგავთ ტალანტებს?

აქამდე ბევრჯერ ნათქვამზე არაფერს გეტყვით: ის, რომ ფინანსურმა სიძაბუნემ ქართულ ფეხბურთს თავის კვალი დაატყო, ეს ყველამ იცის. ინფრასტრუქტურა, ნორმალური მოედნები, ბავშვების გაზრდა-დაოსტატებისთვის საჭირო პირობები სანატრელია.

და მოდიან "ნახევარფაბრიკატი" ფეხბურთელები. "ტორპედოს" ყოფილმა მწვრთნელმა, კიევის "დინამოში" ნამუშევარმა **ალექსანდრ შტელინმა** შენიშნა, ქართველებს ნიჭიერი ბავშვები საკმაოდ გყავთ, მაგრამ მათ ვერ ზრდით და შესაძლებლობებს სანახევროდ თუ ავლენენო.

თუმცა არის პრობლემა, რომელიც ჩვენს ფეხბურთზე ობიექტურ ფინანსურ ფაქტორზე არანაკლებ უარყოფითად მოქმედებს. მიკიბ-მოკიბვის გარეშე რომ ვთქვათ, სტატია რამდენიმე დღის წინ გაგებულმა დამაწერინა. 21 წლის ნიჭიერმა ფეხბურთელმა, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებისა და "თბილისის" ყოფილმა კაპიტანმა **ბესო მიქიაშვილმა** ფეხბურთს თავი დაანება.

ჩვენი ფეხბურთის უბედურებაა, რომ ასეთ ნიჭიერ ბიჭებს არხეინად, ყოველგვარი გულისტკივილის გარეშე ველევით. ბესო მიქიაშვილი **კობა ჟორჟიკაშვილის** იმ გუნდის ნამდვილი ლიდერი იყო, 2002 წელს ევროპის ჩემპიონატზე მეხუთე ადგილი რომ დაიკავა. კაპიტანი იყო იმ "თბილისისა", რომელმაც ქართულ მოედნებზე ნაღდი ფეხბურთის ფრაგმენტები დაგვიბრუნა.

ბესოსთვის 2006 წელი საბედისწერო აღმოჩნდა. "თბილისი" რუსთავის "ოლიმპად" გადაკეთდა და მისი კაპიტანი მიქიაშვილიც რუსთავში გადავიდა. სეზონის დაწყებამდე ტრავმა მიიღო და გუნდს ვერ დაეხმარა. გუნდი **რევაზ ძოძუაშვილმა** ჩაიბარა და ბესოსაც ახალი გუნდის მოძებნა დასჭირდა.

21 წლის მცველით რამდენიმე გუნდი კი დაინტერესდა, მაგრამ გაუგებარი ამბები მეორდებოდა, უნდობლობით ფეხბურთელს გული ატკინეს და მანაც ფეხბურთში თავი ზედმეტად ჩათვალა.

და განა მარტო ბესო მიქიაშვილს აუცრუეს გული? სატირალია ის სტატისტიკა, რომელსაც ქვევით გაეცნობით.

დამოუკიდებლობის პერიოდში, საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე სამჯერ მოხვდა: 1996 წელს **რეზო გაგუას** 16-წლამდელებმა ივარგეს, 1999 წელს **ვახტანგ კოპალეიშვილის** 18-წლამდელებმა, 2002-ში კი კობა ჟორჟიკაშვილის 17-წლამდელებმა.

ფაქტი პირველი - გაგუას გუნდის პირველი კაპიტანი, მცველი **გიორგი ლოლაძე** დღეს უგუნდოდაა.

ფაქტი მეორე - უგუნდოდაა იმ და კოპალეიშვილის ნაკრების მეკარე **ზურაბ ბათიაშვილი**, რომელიც ერთი პერიოდი ასევე კაპიტანი გახლდათ. პირველ წრეში ბოლნისის "სიონში" თამაშობდა და თანაამპლუელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესოც იყო.

ფაქტი მესამე - 18-წლამდელების კაპიტანი **სოსო დევიძე** ფეხბურთს 23 წლის ასაკში ჩამოშორდა.

ფაქტი მეოთხე – უგუნდოდაა და მიქიაშვილივით ფეხბურთიდან წასვლაზე ფიქრობს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი კაპიტანი **მურთაზ ბურნაძე**.

ან ვინმეს კიდევ ახსოვს ჟორჟიკაშვილის გუნდის ცენტრალური და მარცხენა ნახევარმცველები, **ზურაბ კვახაძე და გივი კაპანაძე**?

ცნობილი ანეგდოტი - შეგონებასავით რომ იქცა, ხელი გაანძრიე და გეშველებაო, ჩვენზე არ მოქმედებს. ტყუილად ველოდებით ციდან ჩამოყალიბებული მარადონას ჩამოვარდნას. ნიჭიერებს მოვლა-პატრონობა სჭირდებათ. სამწუხაროდ, ფეხბურთის სამყაროში გულისხმიერება და ადამიანის თანადგომა იშვიათობად იქცა. ასეთი იყო **ჯემალ ჩიმაკაძე**, რომელმაც **ვაჟა ჟვანიასთან** ერთად, ფეხბურთიდან ორი წლის წასული **გოგიტა გოგუა** დააბრუნა.

უგუნდოდაა ბათუმის "დინამოში" ნათამაშევი და პოლიციის მიერ პრობლემებშექმნილი **ირაკლი თოთლაძე**.

და რაც მთავარია, თითოეული ზემოთჩამოთვლილი ფეხბურთელის ასაკი 26 წელს არ აღემატება.

რა თქმა უნდა, ფეხბურთიდან წასვლა იოლი არაა. მოთამაშეები მსახიობებივით ამბიციურები არიან. ამიტომაც განსაკუთრებით განიცდიან უნდობლობას და დაუფასებლობას. ეს არც ისე უმნიშვნელო დეტალია, რასაც ბევრი ვერ ითვალისწინებს. საერთოდ, ჩვენთან დამოკიდებულებაა არასწორი – ფეხბურთელებს მათხოვრის როლში აყენებენ, დიდი ხელფასები რომ არ მოითხოვონ და ეს არის ყველაფრის თავი და თავი.

**მერაბ მამულაშვილი**

ვიტ ჯორჯია

# შეკრებიდან დაბრუნდნენ

ქართული კლუბებიდან შეკრებიდან ყველაზე გვიან "ვიტ ჯორჯია" დაბრუნდა. სეზონის განახლებამდე გუნდი ადგილზე მოემზადება. მიუხედავად იმისა, რომ თასის გათამაშებისგან თავისუფალნი არიან, ფეხბურთელთა გადატვირთვის თავიდან აცილების მიზნით, "ვიტ ჯორჯიის" სამწვრთნელო შტაბი საკონტროლო მატჩის ჩატარებას აღარ აპირებს. კლუბის წევრები თურქული ვოიაჟით კმაყოფილნი არიან და მოახლოებული ბატალიებისთვის მონდომებულად ვარჯიშობენ.

როგორც გაირკვა, აპრილამდე ვერ ითამაშებს გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **ოლეგ გველესიანი**, რომელმაც სულ ახლახან მყესებზე ოპერაცია გაიკეთა. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ გუნდი **დავით დილმელაშვილმა** და **გიორგი ფეიქრიშვილმა** დატოვეს, დანაკლისი საკმაოდ სერიოზულია. თუმცა, როგორც ყოველთვის, გუნდს ამჯერადაც ჰყავს ნიჭიერი ახალგაზრდები და **ნესტორ მუმლაძე**, უპირველეს ყოვლისა, მათი საშუალებით შეეცდება მაღალი შედეგების ჩვენებას.

"ვიტ ჯორჯიის" ხელმძღვანელობა პროგრამა-მაქსიმუმად ამ სეზონშიც საქართველოს ჩემპიონობას ისახავს, პროგრამა-მინიმუმად კი უეფას თასის საგზურს. 23 თებერვალს, ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის პირველ ტურში ვეტერინართა მეტოქე ქუთაისის "ტორპედო" იქნება. შეხვედრა მცხეთაში გაიმართება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სავარაუდო ტრანსფერი

# ჩვენი ბომბარდირი მეტალისტში ისინჯება

პირველი წრის შემდეგ საქართველოს ჩემპიონატის ერთპიროვნული ბომბარდირი **ნიკოლოზ გელაშვილი** (8 გოლით) სინჯებზე უკრაინაში იმყოფება. "ვიტ ჯორჯიის" 21 წლის ფორვარდი ბედს ხარკოვში ცდის - "მეტალისტში" ისინჯება. გელაშვილი თურქეთის კურორტ ლარაში შეუერთდა უკრაინულ გუნდს და უკვე მოასწრო პირველ საკონტროლი მატჩში თამაში. "მეტალისტი" პოლონურ "ზაგლებიესთან" 2:3 დამარცხდა. გელაშვილი მოედანზე 56-ე წუთზე შევიდა **ნვოხას** ნაცვლად. მატჩი საკმაოდ ცუდ პირობებში გაიმართა, კოკისპირულმა წვიმამ მეორე ტაიმში მოედანი ნამდვილ გუბედ აქცია, როდესაც გელაშვილი შევიდა შეცვლაზე უკრაინელები 1:2-ს აგებდნენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლეგიონერები

# კალაძე ბათუმში საფეხბურთო სკოლას აარსებს

ამ დღეებში ბათუმში საქართველოს ნაკრებისა და „მილანის" მცველის **კახა კალაძის** მამა, **კარლო კალაძე** იმყოფებოდა. „ლელოსთვის" ცნობილი გახდა, რომ ჯვაროსანთა კაპიტანი ბათუმში საფეხბურთო სკოლის დაარსებას აპირებს და კაპიტნის მამაც ზღვისპირეთს სწორედ ამის გამო სტუმრობდა. ჩვენი ინფორმაციით, ქართველი „როსონერის" მშობელს ანგისაში მდებარე სტადიონი მოსწონებია და არ არის გამორიცხული, კალაძეებმა საფეხბურთო აკადემია სწორედ იქ დააარსონ. კახა კალაძე საქართველოში ადრეც აპირებდა საფეხბურთო სკოლის გახსნას, თუმცა გარკვეულ მიზეზთა გამო, მაშინ ეს არ მოხერხდა.

**ირაკლი დარცმელიძე**
ბათუმიდან

ლეგიონერი

# საჩემპიონოდ მზად ვართ!



ლევან კობიაშვილი

"შალკეს" ოფიციალური ვებ-გვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში **ლევან კობიაშვილმა** თავისი გუნდის საჩემპიონო შანსებზე ისაუბრა. *"თამამად შემიძლია ვთქვა, რომ წლეულს "შალკე" გაცილებით უკეთესი გუნდია, ვიდრე წინა წლებში. შემთხვევითი სულაც არაა, ბუნდესლიგას ასე დამაჯერებლად რომ ვლიდერობთ. მჯერა, მოპოვებულ უპირატესობას ბოლომდე შევინარჩუნებთ და ჩემპიონობას ვიზეიმებთ, თუმცა, ცხადია, საამისოდ დარჩენილ ტურებშიც ასეთივე შედეგიანობა უნდა გამოვავლინოთ"*, - ამბობს ქართველი ნახევარმცველი.

ლევანი იმაშიც დარწმუნებულია, რომ რამდენიმედღიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, დროულად აღიდგენს ჩვეულ სათამაშო ფორმას: *"საბედნიეროდ, ტკივილები აღარ მაწუხებს. გუნდმა ჩემ გარეშე ბუნდესლიგის ორი შეხვედრა ჩაატარა და მიხარია, რომ ორივე მოიგო. ორივე მატჩში "შალკე" ბრწყინვალედ გამოიყურებოდა, დარწმუნებული ვარ, ასე იქნება ჩემი ძირითადში დაბრუნების შემდეგაც. "შალკეს" ძლიერი კონკურენტები ჰყავს მაგრამ ამ ეტაპზე "ვერდერზე", "შტუტგარტსა" და "ბაიერნზე" უკეთ გამოვიყურებით"*.

კობიაშვილმა იქვე იმის გამო გამოთქვა წუხილი, რომ "ხუმარები" ევროთასებს ნაადრევად გამოემშვიდობნენ, მაგრამ ისიც დასძინა, რომ მხოლოდ ბუნდესლიგაზე კონცენტრირება ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში "შალკეს" დიდ დახმარებას გაუწევს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | საზ. სტატ. |
|---|---|---|---|---|
| ინგლისი | | | | |
| ასოციაციის თასი | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | არსენალი-ბლექბერნი | 0:0 | 90 წთ, გააფრთხილეს | 15 თ, 0 გ. |
| იტალია | | | | |
| სერია A, XXIV ტური | | | | |
| კახა კალაძე | სიენა-მილანი | 3:4 | 90 წთ | 12 თ, 1 გ. |
| გერმანია | | | | |
| ბუნდესლიგა, XXII ტური | | | | |
| ლევან კობიაშვილი | ვოლფსბურგი-შალკე | 2:2 | 28 წთ (შეცვლაზე), გააფრთხ. | 17 თ, 3 გ. |
| II ბუნდესლიგა, XXII ტური | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფიურტი-ფრაიბურგი | - | დღეს | 19 თ, 3 გ. |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფიურტი-ფრაიბურგი | - | დღეს | 8 თ, 1 გ. |
| დავით სირაძე | აუე-ბურგჰაუზენი | 3:0 | 18 წთ (შეცვლაზე) | 19 თ, 2 გ. |
| გიორგი ლომაია | პადერბორნი-კარლ ცაისი | 0:1 | 90 წთ | 3 თ, -1 გ. |
| მიხეილ აშვეთია | პადერბორნი-კარლ ცაისი | 0:1 | 58 წთ (შეცვალეს) | 3 თ, 1 გ. |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენი-დუისბურგი | 2:2 | 90 წუთი | 12 თ, 0 გ. |
| ჰოლანდია | | | | |
| ერედივიზიე, XXV ტური | | | | |
| შოთა არველაძე | გრონინგენი-ალკმაარი | 1:1 | არ უთამაშია | 21 თ, 11 გ. |
| სუპერლიგა, XXII ტური | | | | |
| ლევან ცქიტიშვილი | ლარისა-პანიონიოსი | 1:0 | 90 წუთი | 12 თ, 0 გ |
| ლევან მაღრაძე | კერკირა-ქსანთი | 0:0 | 90 წუთი | 16 თ, 0 |
| კვიპროსი | | | | |
| | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანორთოსისი-პარალიმნი | 1:0 | არ უთამაშია | |
| კლიმენტი წიტაიშვილი | აელ-აეკ | - | ხვალ | |
| ლევან ქებაძე | ეთნიკოსი-აპოლონი | 3:1 | არ უთამაშია | |



მიხეილ აშვეთია ბურთისთვის ბრძოლაში

# ...თურმე რა მეკარე გვყოლია

იშვიათად, რომ ფეხბურთელზე ჰაერის, სიტუაციის და გუნდის გამოცვლას ასე დადებითად ემოქმედოს. ჩვენთვის ორმაგად სასიხარულოა, რომ საუბარი საქართველოს ნაკრების დარაჯ **გიორგი ლომაიაზეა.** თურმე რა მეკარე გვყოლია, ზედიზედ ორი ტურია ლომაია მეორე ბუნდესლიგის მატჩის გმირი ხდება და კარს მშრალად ინახავს. იქნებ, ჩვენთვის ასე მტკივნეულ პოზიციას სანაკრებო დონეზეც საბოლოოდ ეშველოს. რაც გერმანიაში გადავიდა, ჩვენმა თანამემამულემ მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა და ისიც პენალტით.

მოედანს საქართველოს ნაკრების ორი წამყვანი ფეხბურთელი დაუბრუნდა - თუკი **ლევან კობიაშვილმა** მხოლოდ სამი კვირა იუქმა იძულებით, **კახა კალაძეს** მთელი ორი თვე გაუცდა. **შოთა არველაძე** კი კვლავ ლაზარეთში რჩება. დაბოლოს, სეზონი ევროპის ყველაზე ცივ ქვეყანაში დაიწყო, მაშინ როცა მასზე თბილი ბარე ოცამდე ქვეყანა ჯერაც უქმობს - რუსეთმა თასის თამაშებით გახსნა სეზონი, ისევე როგორც საქართველომ.

## კაპიტნის დაბრუნება

კახა კალაძემ 23 დეკემბრის შემდეგ პირველად ითამაშა, მაშინ ის "უდინეზესთან" მატჩის 69-ე წუთზე შეცვალეს. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ტრავმა რამდენიმე დღის წინ მოიშუშა, ძირითადში კი შაბათს "სიენასთან" გასვლით მატჩში გამოჩნდა. "მილანმა" რონალდოს დუბლის წყალობით 4:3 იმარჯვა. ქართველმა მცველმა კი მოედანზე 90 წუთი დაყო, თუმცა, უნდა ითქვას, რომ არადამაჯერებლად ითამაშა. იტალიური გამოცემებიდან ყველაზე მეტი "გაძეტა დელო სპორტმა" გაიმეტა კალაძის თამაშის შესაფასებლად. ესეც ერთ-ერთი უარესი იყო გუნდში - 5,5 ბალი. მეორე გაშვებულ გოლში (მასიმო მაკარონე, 31-ე წთ.) ბრალი სწორედ კახას მიუძღვის.

**მარკ ჰიუზმა ზურა ხიზანიშვილი** სასტარტო შემადგენლობაში დააბრუნა და ქართველმაც გაუმართლა უელსელ მწვრთნელს - "ბლექბერნი" "არსენალს" ესტუმრა და ფრედ ეთამაშა - 0:0. კარგად ითამაშა სტუმართა დაცვამ, მათ შორის ხიზანიშვილმაც. **ფრედერიკ ლუნგბერგის** დარტყმული ზურამ ერთხელ შესანიშნავად დაბლოკა და გუნდი გოლისგან იხსნა. ზურამ "გოლისგან" 7-ანი დაიმსახურა შეფასებად, უფრო მაღალი მხოლოდ **ნელსენმა** მიიღო.



კალაძის ამ ვარდნამ მილანი მაკარონეს გოლისგან ვერ იხსნა

79-ე წუთზე ქართველმა მცველმა ყვითელი ბარათიც მიიღო უხეშობისთვის. თასის მეხუთე ეტაპზე ამ მატჩმა გამარჯვებული ვერ გამოვლინდა და ახლა "ბლექბერნი" უმასპინძლებს "არსენალს", მატჩი 28 თებერვალს გაიმართება. "გრონინგენთან" ფრეს (1:1) დაჰყაბულდა შოთა არველაძის "ალკმაარი", ქართველ ფორვარდს არ უთამაშია.

## ლომაია კვლავ საუკეთესოა

სამკვირიანი იძულებითი შესვენების შემდეგ კლუბს დაუბრუნდა ლევან კობიაშვილი. მისმა კლუბმა სტუმრად "ვოლფსბურგთან" მატჩში ქულები დაკარგა - 2:2. "შალკეს" ბედად მისი მთავარი კონკურენტი საჩემპიონო ბრძოლაში "ვერდერი" სულაც დამარცხდა. 62-ე წუთზე ლევანმა ტრავმირებული **ლოვენკრანდსი** შეცვალა. მალე კობიმ ყვითელი ბარათი მიიღო. "შპორტალმა" ქართველს ოთხი ბალი დაუწერა. "შალკე" 49 ქულით ლიდერია, მდევარ "შტუტგარტს" "ხუმარები" 5 ქულით უსწრებენ.

ზედიზედ ორი თამაშია გიორგი ლომაია კარს მშრალად ინახავს, მან მესამეჯერ ითამაშა "კარლ ცაისის" რიგებში და საქართველოს ნაკრების კარის დარაჯს ჯერ მატჩიდან გოლი არ გაუშვია. გიორგიმ "პადერბორნთან" გასვლით მატჩში ერთი საგოლე დარტყმაც მოიგერია. მისმა თანამემამულე **მიხეილ აშვეთიამ** 58-ე წუთამდე ითამაშა. იენელი ქართველები დიამეტრალურად განსხვავებულად შეაფასეს, თუკი ლომაია 2 ბალით გუნდში საუკეთესო იყო, აშვეთიამ 4,5 მიიღო, კლუბში უარესი შეფასება. შინ წაგებას გადაურჩა **მათე ღვინიანიძის** "მიუნხენი", უკვე შვიდი წუთის მერე "დუისბურგი" 2:0-ს იგებდა, თუმცა "მიუნხენმა" გათანაბრება შეძლო - 2:2. მათემ 90 წუთი ითამაშა და საშუალო შეფასება, 3,5 დაიმსახურა. დღეს **ალექსანდრე იაშვილის** და **ოთარ ხიზანეიშვილის** "ფრაიბურგი" "ფიურტს" ესტუმრება. "აუეს" 36 ქულა აქვს, "მიუნხენს" - 32, "ფარიბურგს" - 31, ხოლო "კარლ ცაისს" - 22.

## ცქიტიშვილი სასტარტოს გაუშინაურდა

საბერძნეთის სუპერლიგაში მოთამაშე ორივე ქართველმა გუშინდელ ტურში შეუცვლელად ითამაშა. **ლევან ცქიტიშვილის** "პანიონიოსმა" ვერ შეძლო ქულის წამოღება სტუმრად "ლარისასთან" მატჩში - 0:1. სამაგიეროდ, **ლევან მაღრაძის** "ქსანთიმ" ბოლომდე მშრალად შეინახა კარი "კერკირასთან" შეხვედრაში - 0:0. როგორც "პანიონიოსს", ისევე "ქსანთის" 22 ტურის შემდეგ 26-26 ქულა დაუგროვდათ.

კვიპროსში **ლევან ქებაძის** "ეთნიკოსმა" შინ 3:1 დაამარცხა "აპოლონი", ქართველს კვლავ არ უთამაშია. **თემურ ქეცბაიას** "ანორთოსისმა" 1:0 დაამარცხა "პარალიმნი". კლუბის ქართველმა თავკაცმა თავად არ ისურვა მოედანზე შესვლა.

## სეზონი მუმუმ გახსნა

რუსეთში საფეხბურთო სეზონი თასის მატჩებით გაიხსნა. ვლადიკავკაზში "კრილია სოვეტოვი" ცსკა-ს "ესტუმრა", შეხვედრა 0:0 დასრულდა. ეს რუსეთის თასის პირველი მერვედფინალური მატჩი იყო. ქართველმა ნახევარმცველმა **დავით მუჯირმა** 78-ე წუთიდან ითამაშა. "მუმუმ" **ტოპიჩი** შეცვალა და მატჩის მიწურულს არმიელთა კარში დარტყმაც მოასწრო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ხიზანიშვილი ლუნგბერგის წინააღმდეგ

იტალია. სერია A. XXIV ტური

# ინტერს თბილისის დინამომდე ჯერ ბევრი უკლია

## ფენომენის ფენომენური დაბრუნება

იტალიური საფეხბურთო შაბათი მოვლენებით დახუნძლული გამოდგა. "ინტერმა" ზედიზედ მე-16 შეხვედრა მოიგო და ყველას ხელი დაუქნია. "რომამ" ემპოლიში წააგო, თუმცა ასეც შეიძლება: "ემპოლიმ" "რომას" მოუგო. იტალიაში უკვე ასე ამბობენ: "რომა" სულ უფრო მეორეა, "ემპოლი" კი სულ უფრო მეოთხეო. იქით "მილანმა" დიდად სათავგადასავლო შეხვედრა მოიგო სიენაში, თან **რონალდომ** დუბლი შეასრულა, ტურინში კი, სერია B-ში, **დელ პიერომ** ძველი კარგი დრო გაიხსენა და სამი ერთმანეთზე ლამაზი გოლი გაიტანა...

"ინტერი" ჩემპიონია? ჯერ თუ არა, ბევრიც არაფერი უკლია. შაბათს, "რომას" 14 ქულით გაასწრო და კაპიტულაცია იყო ის, რაც ამის შემდეგ **ლუჩანო სპალეტიმ** თქვა: *"ჩვენ არასოდეს გვითქვამს, რომ "ინტერის" დაწევა შეგვეძლო. უნდა გავიტანოთ გოლები და თამაში გავაუმჯობესოთ, იმისგან დამოუკიდებლად, სად არის "ნერაძური" და ვინ მოიგებს სკუდეტოს".* ტყუილია! ერთი თვის წინ, სანამ ლიდერსა და მდევარს შორის სხვაობა 9 ქულა იყო, სპალეტი იძახდა - ჩვენ არ ვნებდებით, ჩემპიონის საკითხი ჯერ გაურკვეველიაო. მაგრამ ეს 14-ქულიანი დეფიციტი და, უფრო მეტად, სხვაობა ამ ორი გუნდის თამაშში, "რომას" მწვრთნელს აიძულებს, ტონი შეცვალოს და სალ აზრს მიჰყვეს.

"ინტერს" რაც შეეხება, მსგავსი შედეგი (ზედიზედ 16 მოგება) ევროპის წამყვან ჩემპიონატებში (ინგლისი, ესპანეთი, იტალია, გერმანია, საფრანგეთი) ჯერ არავის ჰქონია. აშკარაა, რომ "ნერაძურის" სერია A-ში კონკურენტი არ ჰყავს და სულ უმიზნოდ რომ არ დარჩეს, ალბათ, დროა, საშუალო და დაბალი დონის ევროპულ ჩემპიონატებში დამყარებული რეკორდების მოხსნაზეც იფიქროს. მაგალითად, ჰოლანდიის ჩემპიონატში "ეინდჰოვენს" ზედიზედ 22 შეხვედრა აქვს მოგებული (80-ან წლებში), აბსოლუტური რეკორდსმენი კი "სელტიკია", რომელმაც 2003/04 წლების ჩემპიონატში ზედიზედ 25 თამაში მოიგო. შოტლანდიური გუნდის შემდეგ კი საუკეთესო შედეგი... დიახ, თბილისის "დინამოს" ეკუთვნის - ზედიზედ 24 გამარჯვება საქართველოს ჩემპიონატში (სერია 1995/96 წლების სეზონის ბოლოს დაიწყო და მომდევნოში გაგრძელდა). მოკლედ, თბილისის "დინამომდე" "ინტერს" ჯერ ბევრი უკლია...

"ნერაძურის" დიდი სპექტაკლი არ დაუდგამს, "კალიარის", როგორც იტყვიან, კლასის ხარჯზე მოუგო. **რობერტო მანჩინისთვის** ეს მე-100 სამწვრთნელო გამარჯვება იყო სერია A-ში (8 "ფიორენტინაში", 31 "ლაციოში" და 61 "ინტერში"). ჩემპიონთა ლიგა კარსაა მომდგარი და შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები გარდაუვალი იყო. მანჩინიმ **მატერაცი, მაიკონი, ძანეტი, ვიეირა** და **ადრიანო** დაასვენა, მაგრამ ამ "ინტერის" სიძლიერე ისიცაა, რომ რეზერვში მსოფლიო ჩემპიონი **გროსო** და "ოქროს ბურთის" მფლობელი **ფიგუ** ჰყავს. სხვათა შორის, პორტუგალიელმა თავისი საფირმო ნომრებით არაერთხელ მოსწყვიტა ტაში "სან სიროზე" დაშვებულ 34 ათასამდე აბონემენტიან მაყურებელს. მაგრამ ყველაზე დიდი ოვაცია რიგით **ბურდისოს** ერგო, მას შემდეგ, რაც მე-11 წუთზე **იბრაჰიმოვიჩის** რბილ და ორიგინალურ გადაცემა-ჩაწოდებას ლამაზი თავური შეაგება და ანგარიში გახსნა. მასპინძლებს მეტი არ გაუტანიათ (**სოლარიმ** ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა, **სტანკოვიჩმა** კი შორიდან ხარიხას გაარტყა), მაგრამ არც გაუშვიათ (ზედიზედ მესამე შეხვედრა). **ჟულიო სეზარის** მშრალმა სერიამ 535 წუთს მიაღწია. შაბათს, ბრაზილიელს ბევრი საქმე არ ჰქონია, ერთხელ იყო, რომ **სუასოს** დიდებული ნახტომით აუღო. მანჩინის უნდა, რომ **ელენიო ერერას** "ლა გრანდე ინტერს" (60-ანების) მიბაძოს. მაშინ იმ გუნდს დიდი დაცვა ჰყავდა. ახლა, წინ "ვალენსიაა". რაკი იტალიაში კონკურენტი აღარ არის, ევროპამ უნდა გასცეს პასუხი კითხვას - ვინ არის "ინტერი" სინამდვილეში? სხვათა შორის, ერერას "ინტერი" ევროპაში დომინირებდა...

"ილ ფენომენო" დაბრუნდა. ის ისევ ჩვენთანაა, ის ისევ ჩვენ შორისაა!" - წერს ექსტაზში შესული იტალიური მედია. ესპანურ პრესაში კი ასეთი სათაურებია: "რონალდო-კაპელო 2:0, კაპელო "მილანს" ეხმარება". თავის დროზე, რონალდო იტალიაში ხმაურით ჩავიდა, ხმაურით წავიდა და ხმაურითვე დაბრუნდა: ორი გოლი (ორივე - შვილს მიუძღვნა) და საგოლე პასი. ბრაზილიელმა ანგარიში მე-16 წუთზე გახსნა, როცა **პირლოს** ჩაწოდების შემდეგ, მეკარე მოძრაობაზე დაიჭირა და თავით საპირისპირო კუთხეში გაუტანა. მერე, ეფექტური პასით მეკარის პირისპირ **ოლივეირა** გაიყვანა და ამან 2:1 გახადა. 81-ე წუთზე, როცა "მილანი" უკვე 10 კაცით თამაშობდა (**ბროკი** უხეში ვარდნისთვის გააძევეს), **კაკას** დიდებული სლალომი და ახლო მანძილიდან მილებული პასი რონის მესამე გოლით დაასრულა (51-ე გოლი სერია A-ში). მეტი რაღა უნდა გაკეთებინა ამ "მილანისთვის", რომელიც იტანდა, მაშინვე უშვებდა და ისევ იტანდა. დამატებული დროის უკანასკნელ წამზე, როცა 3:3 გარდაუვალი ჩანდა, კუთხურიდან მოწოდების შემდეგ **მოლინარო ამბროზინის** თავურის მოგერიებას ცდილობდა, მაგრამ... ავტოგოლი გამოუვიდა. იქვე თამაშიც დამთავრდა, თორემ დრო რომ ყოფილიყო, "როსონერი" ალბათ ისევ გაუშვებდა, რადგან სტუმრების დაცვას შაბათს დაცვა არ ეთქმოდა. სტატისტიკური მონაცემებიდანაც კარგად ჩანს, გოლის გაშვების შემდეგ რა დროს ანდომებდა "სიენა" ანგარიშის გათანაბრებას. არადა, ვერ იტყვი, რომ "მილანის" მცველებს შორის ვინმემ უხეში შეცდომები დაუშვა, ეს უფრო დაცვის კოლექტიური დაბნეულობა იყო, რამაც ინგლისიდან დაბრუნებულ **მაკარონეს** ორჯერ ძალიან ეფექტურად გატანის საშუალება მისცა. სიტყვამ მოიტანა და, 3:3 რომ გახდა, **ადრიანო გალიანიმ** ტრიბუნები გაბრაზებულმა დატოვა. მეოთხე გოლი კიბეებზე დააწიეს...


რონალდო ანგარიშს ხსნის

სპალეტის კარგად უნდა სცოდნოდა, რომ "ემპოლი" ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის. შარშანაც, "რომამ" "კარლო კასტელანიზე" 1:0 წააგო და მწვრთნელი კინაღამ პოსტს გამოეთხოვა. ახლა, ტოსკანური გუნდი შარშანდელზე კიდევ უფრო ძლიერია, თანაც თამაში ხომ ცარიელი ტრიბუნების წინ ჩატარდა... და ისიც გავიხსენოთ, რომ წინა ტურში პალერმოში მოიგო. ამის მიუხედავად, სპალეტიმ ორი "ფრთა", **მანსინი** და **ტადეი,** ჩემპიონთა ლიგისთვის შემოინახა. ეჭვი, რომ "ჯალოროსიმ" სკუდეტოსთვის ბრძოლაში ფარხმალი დაყარა, სწორედ ამით დადასტურდა. თუმცა არსებობს მეორე ვერსიაც: რაკი თამაშს "ლიონის" მწვრთნელი **ჟერარ ულიე** ესწრებოდა, სპალეტიმ კოზირები დამალაო. თქვა კიდეც ულიემ, დღეს ნამდვილი "რომა" ვერ ვნახეო...

"პალერმო" ველარ იგებს, თან უკვე საკუთარ "რენცო ბარბერაზეც", სადაც ახალ წლამდე თითქმის ყველას ანადგურებდა. თუმცა პატარა პროგრესი მაინც არის: ზედიზედ ორი საშინაო მარცხის შემდეგ, **ფრანჩესკო გვიდოლინის** გუნდი ერთ ქულას გამორჩა თავისი ექსმწვრთნელის, **ლუიჯი დელ ნერის** "კიევოსთან". სიცილიელთა თამაშში ენთუზიაზმი გაქრა და თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება, გამართლდეს პრეზიდენტ **მაურიციო ძამპარინის** სენსაციური სიტყვები - სასწაული იქნება, თუ ჩემპიონატს პირველ ოთხეულში დავასრულებთო.

ამასობაში, "ლაციომ" მაკედონიელი **პანდევის** დუბლით აუღელვებლად მოუგო თავისი ყოფილი მწვრთნელის **ალბერტო ძაკერონის** "ტორინოს" და კიდევ ერთი ნაბიჯით წაიწია საჩემპიონთალიგო ზონისკენ. თანდათან აშკარა ხდება, რომ მეოთხე ადგილისთვის მთავარი ბრძოლა "ემპოლის", "ლაციოსა" და "მილანს" შორის გაჩაღდება, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება "ფიორენტინაც". "ტოროს" კი ბოლო შვიდ ტურში მეექვსე მარცხი მოუვიდა და ძაკის სკამს წყალი შეუდგა.

"კატანიის" გასატეხად "ფიორენტინას" ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდა. შეხვედრა რიმინიში, ნეიტრალურ მოედანზე და ცარიელი ტრიბუნების წინაშე ჩატარდა. **ლუკა ტონი** ბოლომდე გამოჯანმრთელებული არ იყო და ამიტომ, მოედანზე მეორე ტაიმის მე-10 წუთიდან შევიდა. მართალია, "ვიოლას" მეგოლე დიდად ვერ ბრწყინავდა, მაგრამ მთავარი მაინც გააკეთა: 87-ე წუთზე, **პასკუალის** მიერ ჩაწოდებულს თავი ლამაზად დაჰკრა და "ფიოს" ზედიზედ მესამე გამარჯვება მოუტანა.

"ლივორნომ", ასევე დახურულ სტადიონზე, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მოიგო. გაამართლა იანვარში **სტეფანო ფიორეს** შეძენამ. ნახევარმცველმა ჯერ თავად გაიტანა და მერე **ლუკარელის** გაატანინა. უიღბლო გამოდგა **კლაუდიო რანიერის** საჩემპიონატო დებიუტი "პარმის" სათავეში. ორიგინალური გოლებით განთქმული **კვალიარელას** ზუსტი დარტყმით "სამპდორიამ" ზედიზედ მეორედ იმარჯვა. "ასკოლის" უმაყურებლო სტადიონზე "უდინეზეს" თავიდან კარგად მისდიოდა საქმეები და 2:0-საც იგებდა, მაგრამ მასპინძლებმა ხასიათის სიმტკიცე გამოავლინეს და **სონჩინის** დუბლით ქულა გადაარჩინეს. ღია და შემტევ თამაშში "რეჯინამ" "ატალანტას" ერთი გოლი კი გაუტანა, მაგრამ... ერთიც საკუთარ კარში შეაგდო.

### მომდევნო ტური

24 თებერვალი. კიევო-ტორინო, ატალანტა-პალერმო. 25 თებერვალი. ლივორნო-ასკოლი, ფიორენტინა-ემპოლი, კატანია-ინტერი, კალიარი-ლაციო, უდინეზე-პარმა, რომა-რეჯინა, მესინა-სიენა, მილანი-სამპდორია.

### ინტერი-კალიარი 1:0

ინტერი: ჟულიო სეზარი-6, ბურდისო-7, კორდობა-6.5, სამუელი-6, გროსო-5.5, სტანკოვიჩი-6, დაკური-6.5 (84. სოლარი-შ.გ), კამბიასო-6 (64. ხ. ძანეტი-6), ფიგუ-6.5, იბრაჰიმოვიჩი-6 (62. ადრიანო-6), კრესპო-6.

კალიარი: ფორტინი-6, ფერი-6, ბისერა-6, ბიანკო-6, აგოსტინი-6, მარკინი-5.5, ბუდელი-6, ბიონდინი-6 (73. პენალბა-6), ლანჯელა-5.5 (53. კონტი-6.5), კაპონე-5 (61. პეპე-6), სუასო-6.5.

გოლი: 1:0 ბურდისო (11)

გაფრთხილება: 2-2; კუთხური: 8-3; ჯარიმა: 20-12; თამაშგარე: 3-1; კარში დარტყმა: 12-10 (5-5); ბურთის ფლობა: 56%-44%.

მაყურებელი: 33 450

### ემპოლი-რომა 1:0

ემპოლი: ბალი-6.5, რაჯი-7, ლუკინი-6.5, პრატალი-6, ტოსტო-6, დ. მორო-6.5, ალმირონი-6, ბუშე-6.5, ვანუკი-7, მატეინი-6.5 (90. ვანილი-შ.გ), პოცი-7 (87. მარიანინი-შ.გ).

რომა: ა. დონი-6.5, კასეტი-5 (80. მანსინი-შ.გ), ფერარი-5, პანუჩი-5.5, ტონეტო-5, დე როსი-5, პისარო-5.5, ვილჰელმსონი-5.5 (56. ტადეი-5.5), პეროტა-6, ტავანო-6, ტოტი-5 (65. ვუჩინიჩი-6).

გოლი: 1:0 პოცი (5)

გაძევება: ტოსტო (89. ემპოლი)

გაფრთხილება: 2-1; კუთხური: 4-10; ჯარიმა: 18-19; თამაშგარე: 2-3; კარში დარტყმა: 12-18 (6-13); ბურთის ფლობა: 45%-55%.

მაყურებელი: 0

### სიენა-მილანი 3:4

სიენა: მანინგერი-6.5, ბერტოტო-6, გასტალდელო-5.5, პორტანოვა-5.5, მოლინარო-6, ანტონინი-6.5, კოდრეა-6 (85. გალოპა-შ.გ), ვერგასოლა-6.5, კოცა-6 (81. ლოკატელი-შ.გ), მაკარონე-7, კორვია-6.5 (59. ფრიკი-6).

მილანი: სტორარი-6, კაფუ-6 (74. ოდო-6), ბონერა-5.5, კალაძე-5.5, იანკულოვსკი-6, გატუზო-6, პირლო-6 (74. გურკუფი-6), ბროკი-6, კაკა-6.5, რონალდო-7, ოლივეირა-6.5 (79. ამბროზინი-6.5).

გოლები: 0:1 რონალდო (16), 1:1 ვერგასოლა (19), 1:2 ოლივეირა (29), 2:2 მაკარონე (30), 2:3 რონალდო (81), 3:3 მაკარონე (88), 3:4 მოლინარო (90-საკ. კარში)

გაძევება: ბროკი (78. მილანი)

გაფრთხილება: 4-2; კუთხური: 4-5; ჯარიმა: 18-19; თამაშგარე: 1-1; კარში დარტყმა: 17-17 (11-8); ბურთის ფლობა: 37%-63%.

მაყურებელი: 11 000

### პალერმო-კიევო 1:1

პალერმო: ა. ფონტანა-6, კასანი-6, ბიავა-6, კაპუანო-5 (65. მ. პიზანო-5.5), ძაკარდო-6, სიმპლისიუ-5 (85. ჯაკომაცი-შ.გ), დიანა-5.5, ჯოვ. ტედესკო-6 (46. გუანა-5.5), კორინი-6, დი მიკელე-6.5, კარაჩოლო-5.5.

კიევო: სკუიცი-6, დ'ანა-6, ლანა-6, მანდელი-6, ფ. მორო-6, სემიოლი-6, იტალიანო-6.5 (62. მარკოლინი-5.5), ლუსიანო-6 (58. კოსოვსკი-5.5), სამარკო-5.5, ბოგდანი-5 (84. კოსატო-შ.გ), ობინა-7.

გოლები: 1:0 დი მიკელე (23), 1:1 ობინა (45)

გაფრთხილება: 6-2; კუთხური: 3-1; ჯარიმა: 23-18; თამაშგარე: 4-1; კარში დარტყმა: 8-13 (4-7); ბურთის ფლობა: 50%-50%.

მაყურებელი: 22 057

### ლაციო-ტორინო 2:0

ლაციო: ბალოტა-6, კრიბარი-6 (72. სტენდარდო-6), ძაური-6.5, სივილია-6, ბელერი-6, მაური-6.5, ხიმენესი-5.5 (59. ფირმანი-6), მუტარელი-6, ლედესმა-6, პანდევი-7 (89. ს. ინძაგი-შ.გ), როკი-5.5.

ტორინო: აბიატი-6.5, ო. ბრევი-5, დი ლორეტო-5.5, პანკარო-5, ი. ფრანჩესკინი-5.5, როზინა-6 (83. აბრუსკატო-შ.გ), გალო-5.5 (62. არდიტო-5.5), დე აშენტისი-5.5, ლაზეტიჩი-5.5, ბარონე-5.5 (71. სტელონე-შ.გ), მუცი-5.5.

გოლები: 1:0 პანდევი (11), 2:0 პანდევი (60)

გაფრთხილება: 1-0; კუთხური: 6-5; ჯარიმა: 20-20; თამაშგარე: 0-3; კარში დარტყმა: 20-13 (14-9); ბურთის ფლობა: 46%-54%.

მაყურებელი: 19 000

### კატანია-ფიორენტინა 0:1

კატანია: პანტანელი-6.5, ვარგასი-6, ლუჩენტი-5.5, სტოვინი-6, მინელი-5.5, კაზერტა-6.5, ჯ. კოლუჩი-6.5 (64. სეზარ ვინისიუ-5.5), იცკო-6 (90. მორიმოტო-შ.გ), ედუსეი-6.5, სპინეზი-5 (67. როსინი-5), მასკარა-6.

ფიორენტინა: ფრეი-6, დაინელი-6.5, პასკუალი-6, გამბერინი-6, უიფალუში-5.5, მონტოლივო-6.5, იორგენსენი-5.5, ბლაზი-6.5 (75. პაციენცა-შ.გ), ლივერანი-7, პაცინი-5.5 (54. ტონი-6.5), მუტუ-6 (54. რეჟინალდო-5.5).

გოლი: 0:1 ტონი (87)

გაძევება: მინელი (58. კატანია)

გაფრთხილება: 1-1; კუთხური: 2-4; ჯარიმა: 23-29; თამაშგარე: 0-3; კარში დარტყმა: 2-19 (1-7); ბურთის ფლობა: 44%-56%.

მაყურებელი: 0 (ნეიტრალურზე)

### პარმა-სამპდორია 0:1

პარმა: ბუჩი-6.5, პერნა-5, კასტელინი-5.5 (69. გასბარონი-5), პაჩი-6, ფერონეტი-5.5, ბოლანო-6 (59. ბოკეტი-5), მორფეო-6 (39. კუტუზოვი-6), დესენა-6, გრელა-5.5, როსი-6, ბუდანი-5.5.

სამპდორია: კასტელაცი-6.5, ფალკონე-6.5, აკარდი-6, კ. ძენონი-6, მაჯო-5.5 (55. ოლივერა-5.5), ბასტრინი-6, დ. ფრანჩესკინი-შ.გ (27. ციგლერი-6.5), პალომბო-6, ვოლპი-5.5, კვალიარელა-6.5, ბაძანი-6.5 (81. პიერი-შ.გ).

გოლი: 0:1 კვალიარელა (58)

გაფრთხილება: 2-2; კუთხური: 6-4; ჯარიმა: 29-15; თამაშგარე: 2-5; კარში დარტყმა: 14-13 (5-6); ბურთის ფლობა: 59%-41%.

მაყურებელი: 14 000

### რეჯინა-ატალანტა 1:1

რეჯინა: კამპანიოლო-6.5, ლანძარო-6, მოდესტო-6.5, ა. ლუკარელი-6.5, არონიკა-6, ვიჯანი-5.5 (59. ფოჯა-6), ჯაკ. ტედესკო-6.5, მესტო-6, ამერინი-5.5 (84. ტონიოცი-შ.გ), ბიანკი-5, ამორუზო-6.5.

ატალანტა: კალდერონი-6, ტალამონტი-6, ბელინი-6, ლორია-6, ადრიანო პერეირა-5.5 (72. ვენტოლა-შ.გ), არიატი-6, ბერნარდინი-6.5 (72. მილიაჩო-5), კ. დონი-5.5, პინტუ-5.5 (83. ტისონე-შ.გ), დონატი-6.5, ძამპანია-6.

გოლები: 1:0 ამორუზო (63), 1:1 ლანძარო (74-საკ. კარში)

გაძევება: მილიაჩო (89. ატალანტა)

გაფრთხილება: 4-5; კუთხური: 5-10; ჯარიმა: 27-19; თამაშგარე: 4-2; კარში დარტყმა: 8-12 (2-7); ბურთის ფლობა: 52%-48%.

მაყურებელი: 9 000

### ასკოლი-უდინეზე 2:2

ასკოლი: პალიუკა-5.5, ნასტასე-5.5, მინიერი-5 (46. ბონანი-6.5), პეშე-7 (87. პაოლუჩი-შ.გ), კორალო-6, ფოლიო-6.5, პ. ძანეტი-7, ფინი-6.5, გ. ფონტანა-შ.გ (21. ბუდიანსკი-5), ბელანოვიჩი-6, სონჩინი-7.5.

უდინეზე: დე სანკტისი-6, კოდა-5, მოტა-6.5, ნატალი-6, საპატა-5.5, მუნტარი-5.5 (77. გიანი-შ.გ), ლუკოვიჩი-5.5 (70. დესენა-5.5), პინცი-6, ობოდო-6.5, იაკუინტა-7.5, ბარეტო-6.5 (62. სიკეირა-5.5).

გოლები: 0:1 იაკუინტა (36), 0:2 ბარეტო (42), 1:2 სონჩინი (58), 2:2 სონჩინი (69)

გაფრთხილება: 4-2; კუთხური: 4-1; ჯარიმა: 29-15; თამაშგარე: 2-10; კარში დარტყმა: 14-7 (8-5); ბურთის ფლობა: 49%-51%.

მაყურებელი: 0

### ლივორნო-მესინა 2:1

ლივორნო: ამელია-6.5, გრანდონი-6.5, პასკუალე-6, რეზაეი-6, ბალერი-6.5 (80. [illegible]-შ.გ), [illegible] ტე-6.5, ფიორე-7 (87. [illegible]-შ.გ), [illegible] ლიპინი-6, მორონე-6, კ. ლუკარელი-6.5.

მესინა: კალიონი-5.5, ძანკი-5.5, პარიზი-5.5, ზორო-6.5, რეა-5.5 (65. დე ვეცე-5.5), კანდელა-5.5 (79. ალვარესი-შ.გ), ჯალომბარდო-5.5 (46. ბაკაიოკო-5.5), დ'ავერსა-6, პესტრინი-5, ილიევი-6, ფლოკარი-5.5.

გოლები: 1:0 ფიორე (26), 2:0 კ. ლუკარელი (69), 2:1 ზორო (78)

გაფრთხილება: 1-3; კუთხური: 6-9; ჯარიმა: 22-25; თამაშგარე: 1-2; კარში დარტყმა: 21-14 (12-9); ბურთის ფლობა: 58%-42%.

მაყურებელი: 0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 23 | 20 | 3 | 0 | 49-17 | 63 |
| 2. რომა | 23 | 15 | 4 | 4 | 46-18 | 49 |
| 3. პალერმო | 24 | 13 | 4 | 7 | 40-29 | 43 |
| 4. ემპოლი | 23 | 9 | 8 | 6 | 21-19 | 35 |
| 5. ლაციო | 23 | 10 | 7 | 6 | 35-18 | 34 |
| 6. მილანი | 23 | 11 | 8 | 4 | 32-21 | 33 |
| 7. კატანია | 24 | 8 | 7 | 9 | 31-40 | 31 |
| 8. ატალანტა | 23 | 7 | 9 | 7 | 37-33 | 30 |
| 9. სამპდორია | 23 | 8 | 6 | 9 | 31-30 | 30 |
| 10. უდინეზე | 23 | 8 | 6 | 9 | 25-29 | 30 |
| 11. ფიორენტინა | 23 | 13 | 4 | 6 | 36-21 | 28 |
| 12. ლივორნო | 23 | 6 | 8 | 9 | 24-35 | 26 |
| 13. სიენა | 23 | 5 | 11 | 7 | 23-28 | 25 |
| 14. კალიარი | 23 | 4 | 11 | 8 | 18-26 | 23 |
| 15. ტორინო | 23 | 5 | 7 | 11 | 18-31 | 22 |
| 16. რეჯინა | 23 | 8 | 7 | 8 | 29-30 | 20 |
| 17. კიევო | 23 | 4 | 7 | 12 | 22-33 | 19 |
| 18. მესინა | 23 | 3 | 8 | 12 | 23-39 | 17 |
| 19. პარმა | 23 | 3 | 6 | 14 | 17-40 | 15 |
| 20. ასკოლი | 23 | 2 | 7 | 14 | 18-37 | 13 |

ბომბარდირები: 14 - ტოტი (რომა); 12 - ბიანკი (რეჯინა), ტონი (ფიორენტინა); 11 - სპინეზი (კატანია); 10 - კ. დონი (ატალანტა), იაკუინტა (უდინეზე), იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), კ. ლუკარელი (ლივორნო), კვალიარელა (სამპდორია), მუტუ (ფიორენტინა); 9 - რიგანო (მესინა), როკი (ლაციო); 8 - ამაური (პალერმო), ამორუზო (რეჯინა), ბუდანი (პარმა), კრესპო (ინტერი).

## სერია B

XXIV ტური

**იუვენტუსი-კროტონე 5:0**

იუვენტუსი: ბუფონი, ბირინდელი, ძებინა (82. ბუმსონგი), კიელინი, ბალცარეტი, კამორანეზი (68. მარკიონი), კ. ძანეტი (41. პარო), ჯანიკედა, ნედვედი, დელ პიერო, ტრეზეგე.

გოლები: 1:0 ნედვედი (17), 2:0 ბალცარეტი (23), 3:0 დელ პიერო (44), 4:0 დელ პიერო (65), 5:0 დელ პიერო (79)

**ჯენოა-მოდენა 1:0**

გოლი: 1:0 გასპარეტო (63)

გაძევება: ბენტივოლიო (78. მოდენა)

**ფროზინონე-რიმინი 2:1**

გოლები: 1:0 დ'ანტონი (6), 2:0 დედიჩი (17), 2:1 ვიტიელო (81)

**ბოლონია-პიაჩენცა 0:2**

გოლები: 0:1 ნოჩერინო (69), 0:2 რანტიე (73)

გაძევება: ძაული (15. ბოლონია)

**ბარი-პესკარა 1:2**

გოლები: 1:0 სკალია (9), 1:1 ვანტაჯატო (27), 1:2 ვანტაჯატო (89)

**ტრევიზო-ბრეშა 2:0**

გოლები: 1:0 აკვაფრესკა (63), 2:0 გიგუ (69)

გაძევება: სტანკევიჩუსი (29. ბრეშა)

**ალბინოლეფე-ტრიესტინა 2:1**

გოლები: 1:0 პელუზო (9), 1:1 დელა როკა (24), 2:1 ფერარი (57)

**ვერონა-სპეცია 1:1**

გოლები: 1:0 ბიაზი (63), 1:1 კოლომბო (70)

**ჩეზენა-ვიჩენცა 1:2**

გოლები: 0:1 შვოხი (29-პენ), 1:1 პელე (31), 1:2 კავალი (79)

გაძევება: ძანინელი (30. ჩეზენა)

**მანტოვა-ლეჩე 4:0**

გოლები: 1:0 კარიდი (44), 2:0 ბერნაჩი (62), 3:0 ნოსელი (66), 4:0 ნოსელი (87)

**ნაპოლი-არეცო 2:2**

გოლები: 1:0 ბუკი (14), 1:1 ბონდი (55), 2:1 სოსა (83), 2:2 ვოლპატო (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 23 | 15 | 7 | 1 | 44-15 | 43 |
| 2. ნაპოლი | 23 | 10 | 11 | 2 | 25-15 | 41 |
| 3. მანტოვა | 23 | 10 | 10 | 3 | 28-15 | 40 |
| 4. ჯენოა | 23 | 11 | 6 | 6 | 35-28 | 39 |
| 5. პიაჩენცა | 23 | 11 | 5 | 7 | 26-23 | 38 |
| 6. რიმინი | 23 | 10 | 7 | 6 | 36-24 | 37 |
| 7. ბოლონია | 23 | 11 | 4 | 8 | 25-21 | 37 |
| 8. ალბინოლეფე | 23 | 7 | 14 | 2 | 24-17 | 35 |
| 9. ჩეზენა | 24 | 9 | 8 | 7 | 34-33 | 35 |
| 10. ტრევიზო | 23 | 8 | 8 | 7 | 29-25 | 32 |
| 11. ფროზინონე | 23 | 8 | 8 | 7 | 25-25 | 32 |
| 12. ბარი | 23 | 7 | 8 | 8 | 21-19 | 29 |
| 13. ბრეშა | 23 | 7 | 8 | 8 | 23-26 | 29 |
| 14. ტრიესტინა | 23 | 7 | 9 | 7 | 17-20 | 29 |
| 15. ვიჩენცა | 23 | 6 | 7 | 10 | 25-26 | 25 |
| 16. სპეცია | 24 | 5 | 10 | 9 | 24-31 | 25 |
| 17. ლეჩე | 23 | 7 | 4 | 12 | 28-37 | 25 |
| 18. მოდენა | 23 | 5 | 6 | 12 | 12-24 | 21 |
| 19. კროტონე | 23 | 3 | 10 | 10 | 17-33 | 19 |
| 20. ვერონა | 23 | 4 | 6 | 13 | 10-24 | 18 |
| 21. პესკარა | 23 | 3 | 8 | 12 | 19-38 | 16 |
| 22. არეცო | 23 | 3 | 10 | 10 | 17-25 | 13 |

ბომბარდირები: 11 - ბელუჩი (ბოლონია), დელ პიერო (იუვენტუსი); 10 - პაპა ვაიგო (ჩეზენა); 9 - ადაილტონი (ჯენოა); 8 - აკვაფრესკა (ტრევიზო), კალაიო (ნაპოლი), ჟედა (რიმინი), მოსკარდელი (რიმინი), ნედვედი (იუვენტუსი), პელე (ჩეზენა), ტრეზეგე (იუვენტუსი); 7 - ლოდი (ფროზინონე), მარჯოტა (ფროზინონე), პოსანცინი (ბრეშა), სალვეტი (ჩეზენა), შვოხი (ვიჩენცა).

## სერია C1/A

XXIII ტური

მონცა-ივრეა 1:1; პისტოიეზე-ვენეცია 2:1; ლუკეზე-გროსეტო 2:2; პადოვა-პიზა 2:1; ნოვარა-ჩიტადელა 0:1; კრემონეზე-პრო სესტო 1:0; სანჯოვანეზე-პროპატრია 1:1; მასეზე-პიციგეტონე 1:1; სასუოლო-პავია 1:0.

## სერია C1/B

XXIII ტური

გალიპოლი-კავეზე 0:3; მანფრედონია-ტარანტო 0:0; სალერნიტანა-ტერამო 1:0; ტერნანა-იუვე სტაბია 1:1; ანკონა-პერუჯა 1:0; ჯულიანოვა-ლანჩანო 0:1; მარტინა-რავენა 1:0; სან მარინო-სამბენედეტეზე 2:2; აველინო-ფოჯა 2:0.

გერმანია. ბუნდესლიგა. XXII ტური

# სად არის ლოგიკა?

## გერმანია ჭკუიდან შეირყა...



სასოწარკვეთილი ოლი გვირაბის ბოლოს სინათლის დანახვას ამაოდ ცდილობს...

დიდი ხანია, გერმანიაში ასეთი ალოგიკური ტური არ ჩატარებულა. მეტიც, ჩვენი ალემანი კოლეგები წერენ, რომ მას მერე, რაც ბუნდესლიგა დაარსდა, არ ახსოვთ ტური, რომელშიც ამდენი მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა. პარასკევისა და შაბათის მატჩებიდან მეტ-ნაკლებად ლოგიკური მხოლოდ "შტუტგარტისა" (ფრანკფურტში 4:0) და დორტმუნდის "ბორუსიის" ("გლადბახთან" 1:0) გამარჯვებები იყო. სხვა შეხვედრები კი მეტად უკულმართი შედეგებით დასრულდა. მოდით, ასე ვთქვათ: პატარებმა დიდები დაჩაგრეს! "ალემანიამ" "ბაიერნს" გააწნა სილა და თანაც რა დროს, პირდაპირ "რეალთან" მატჩის წინ, "ჰერტა" "მაინცთან" შერცხვა, უკულმართმა "ჰამბურგმა" კი, საკუთარ კედლებში ბედოვლათ გუნდებსაც რომ ვერ ამარცხებდა ხოლმე, ახლა "ვერდერს" მოუგო და თანაც ბრემენში! ყველასთვის ამოუცნობმა "ჰანოვერმა" კი "ლევერკუზენი" ატირა, თანაც მისსავე მოედანზე. მოკლედ, გასულ უქმეებზე გერმანიაში ყველაფერი თავდაყირა იდგა...

არადა, ტური ლოგიკურად დაიწყო: აღვირახსნილი "შტუტგარტი" პარასკევს ფრანკფურტში ჩავიდა და ადგილობრივი "აინტრახტი", რომელზეც ნამდვილად ვერ ვიტყვით, ცუდი გუნდიაო, 4:0 გაანადგურა. როცა შვაბები ამ გამარჯვებას 'ზეიმობდნენ, არ იცოდნენ, რომ მეორე დღეს "ვერდერი" და "შალკე" ქულებს დაკარგავდნენ, თვითონ კი მეორე ადგილზე აინაცვლებდნენ. ისევ და ისევ, შესანიშნავი გახლდათ **მარიო გომესი**, რომელმაც მართალია, ოთხიდან მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა, მაგრამ ორი საგოლე გადაცემაც მიითვალა და საერთოდაც, მოედანზე საუკეთესო იყო. ჩვენს გერმანელ კოლეგებს არ გამოჰპარვიათ ის ფაქტი, რომ ფრანკფურტის "ვალდშტადიონზე" "იუვენტუსის", "არსენალისა" და "ლივერპულის" სკაუტები ისხდნენ. ისინი ხსენებულმა გუნდებმა ფრანკფურტში გომესზე დასაკვირვებლად გაგზავნეს. მარიოს ახლა უკვე 13 გოლი აქვს გატანილი და ბომბარდირთა დავაში კვლავინდებურად პირველია. თუ ასე გააგრძელებს, დიდი შანსია, რომ სულ მალე რომელიმე ევროპულ გრანდში აღმოჩნდეს.

"ბაიერნის" ფეხბურთელები და ბოსები მადრიდის "რეალის" გაგდებაზე ოცნებობენ. მართალია, ოცნებას კაცი არ მოუკლავს და არც "სამეფო გუნდს" ულხინს, მაგრამ... ყველაფერი გასაგებია, ეს ფეხბურთია, ფეხბურთში კი სენსაციები ხშირად ხდება, თანაც, "ბაიერნმა" მიმდინარე სეზონში ამგვარ სისულელეებს მიგვაჩვია, მაგრამ...

მაგრამ, როცა "ბაიერნი" ხარ და აახენის "ალემანია" ერთ სეზონში ორჯერ დაგამარცხებს, ეს უკვე კატასტროფაა. ან რა ნამუსით ამბობენ აუგს ბავარიელი ფეხბურთელები **ფელიქს მაგათზე**? ანაც რა უნდა ქნას **ოტმარ ჰიტცფელდმა**, როცა მთელი გუნდი დგას და როცა **როი მაკაი** მომენტს მომენტზე აფუჭებს? "გენერალმა" მატჩის წინ თქვა, "რეალთან" მატჩზე დიდ მნიშვნელობას "ალემანიასთან" შეხვედრას ვანიჭებთო. ჰო, შესაძლოა, ოტმარმა ასეთი განცხადება ფეხბურთელების მოტივირების მიზნით გააკეთა, რადგან ცოტა არ იყოს, დაუჯერებელია ის, რაც თქვა, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ბედმა ჰიტცფელდს მწარედ დასცინა. ამ გუნდს ("ალემანიაზეა" საუბარი), საკუთარ მოედანზე 30 სექტემბრის მერე აღარ მოეგო და ეს ის გუნდია, რომლის კარში გოლების გატანა არავის უჭირს - აახენელებს ყველაზე მეტი, 42 გოლი აქვთ გაშვებული. მაგრამ ტივოლელთა დაცვამ "ბაიერნთან" ისე კარგად ითამაშა, თქვენი მოწონებული.

არადა, მიუნხენელებმა თამაში თავდაჯერებით დაიწყეს, მე-5 და მე-8 წუთებზე რეალური საგოლე მომენტებიც შექმნეს, რომელიც მაკაიმ ვერ გამოიყენა და კაცს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ "ბაიერნი" ამ შეხვედრას იოლად მოიგებდა. მაგრამ რეკორდმაისტერის ეს ერთგვარი თარეში მხოლოდ 10 წუთს გაგრძელდა. მე-10 წუთზე კი აახენელებმა კუთხური გაითამაშეს და **შტელემ** 14 მეტრიდან დაარტყა. რეკორდმაისტერის საჯარიმოში დიდი გაუგებრობა იყო და საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ბურთი **ალექსანდერ კლიტცპერას** მიუვიდა. ამ უკანასკნელის პირველი დარტყმა **კანმა** მოიგერია, მაგრამ ოლის მცველები ვერ მიეხმარენ და კლიტცპერამ დამატებაზე იხეირა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს გოლი ყველაზე მეტად **მარტინ დემიკელისის** ბრალი იყო. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ეს კლიტცპერა წარმოშობით ბავარიელია და 1989-იდან 1999 წლამდე "ბაიერნის" მოყვარულთა გუნდში თამაშობდა.

ეს გოლი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ კანს ძველებური გამომეტყველება მიეღო - ოლის სახეზე ისევ აღბეჭდა მრისხანება და სიტყვები "ახლა ყველას დაგღრღნით!" აფეთქებულმა "ტიტანმა" მცველებიც დაცოფა, კარის ძელებიც, ხარიხაც და არც ბურთის მიმწოდებელი ბავშვები დაინდო - მათაც წამდაუწუმ უბღვერდა. მეორე ტაიმში ოლი კიდევ უფრო შეიშალა, თავის თავს ელაპარაკებოდა, ხშირად ადიოდა მოედნის ცენტრამდე და რამდენჯერმე აუტის ჩაწოდებაც (!) მოითხოვა. და რას აკეთებდნენ მისი თანაგუნდელები? **მარკ ვან ბომელის** გარდა, ყველა ამაზრზენად ირჯებოდა. ჰოლანდიელმა რეკორდმაისტერი 50-ე წუთზე მეორე გოლისგანაც იხსნა, 79-ე წუთზე კი ბერლინელი მსაჯი **მანუელ გრეფე** ყურადღებით რომ ყოფილიყო, აუცილებლად გააძევებდა **ლუსიოს**, რომელმაც ერთ-ერთ აახენელს შუა თითი უჩვენა. მოკლედ, ხვალ "ბაიერნი" მადრიდში თამაშობს და...

"ვერდერი"-"ჰამბურგი" 0:2 - და ახლა რა ვქნათ? ვისაუბროთ იმაზე, რომ "ჰამბურგს" თამაში და მოგება შესძლებია? "ვერდერზე" რაღა ვთქვათ, ზედიზედ სამი წაგების შემდეგ ლიდერს უკვე 7 ქულით რომ ჩამორჩება და სავარაუდოდ, ჩემპიონობას რომ უნდა დაემშვიდობოს? ფაქტი ის არის, რომ ბრემენულ კლუბს **რაფაელ ვან დერ ვაარტმა** მოუგო - HSV-ს ჰოლანდიელმა ლიდერმა ჯერ პენალტი გაიტანა, მერე კი, მატჩის მიწურულს მეორედ დალაშქრა **ტიმ ვიზეს** კარი და ჩრდილოურ დერბიში მოულოდნელი გამარჯვებული გამოავლინა. წინა მატჩისგან განსხვავებით, ჰამბურგელები თერთმეტმეტრიანს იმსახურებდნენ, რადგან "მუსიკოსმა" **დანიელ იენსენმა** საკუთარ საჯარიმოში **დავიდ იაროლიმი** მოცელა. სანამ ვან დერ ვაარტი მეორე გოლს გაიტანდა, "ვერდერის" კარი **ხუან პაბლო სორინმა** დალაშქრა, მაგრამ არ ჩაუთვალეს, არადა, გამეორებაზე ნათლად გამოჩნდა, რომ არგენტინელი თამაშგარე მდგომარეობაში არ იმყოფებოდა.

"ვერდერმა" პირველ ტაიმში "ჰამბურგის" კარისკენ სულ 4-ჯერ დაარტყა, რაც ამ გუნდისთვის აბსოლუტური ანტირეკორდია. ბრემენელები 90 წუთის განმავლობაში ძალიან საცოდავად გამოიყურებოდნენ - უტევდნენ, უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ მომენტს ვერ ქმნიდნენ. "ჰამბურგი" კი ჭკვიანურად მოქმედებდა. შესანიშნავი გახლდათ ჰოლანდიური ტრიო: დაცვაში **მატიისენი**, რომელმაც **კლოზე** არ გაახარა, ნახევარდაცვაში ვან დერ ვაარტი, რომლის წვლილზე უკვე მოგახსენეთ, ხოლო სათადარიგოთა სკამზე კი ჰუუბ სტევენსი - ამ გამარჯვების მესამე შემოქმედი, HSV-ს ახალი და უკვე წარმატებული მწვრთნელი. ეს უკვე კატასტროფააო, თქვა საფინალო სასტვენის შემდეგ **ტორსტენ ფრინგსმა** და გასახდელს განრისხებულმა მიაშურა. მთელი "ვერდერი" ნირწამხდარი იყო, ჰამბურგელები კი ზედიზედ მეორე გამარჯვებას და ბოლო ადგილიდან მე-16 პოზიციაზე აღზევებას ზეიმობდნენ.

დასანანია, რომ "ვერდერისა" და "ბაიერნის" ბედოვლათობით "შალკემ" ვერ ისარგებლა. გელზენკირხენელებმა ვოლფსბურგიდან ოდენ ქულა წაიღეს, არადა, 2:0-ს იგებდნენ და წესით თამაში მშვიდად უნდა მიეყვანათ გამარჯვებამდე. 89-ე წუთამდე "შალკესთვის" ყველაფერი შესანიშნავად იყო. ხსენებულ დროს კი აი, რა მოხდა: **მარსელინიომ** ჯარიმა ჩააწოდა, **დიეგო კლიმოვიჩი** ბურთისკენ თავით წავიდა და გელზენკირხენელთა მეკარე **მანუელ ნოიერი** დააბნია, ბურთი კი "შალკეს" კარში გავიდა. მსაჯმა ეს გოლი კლიმოვიჩს ჩაუთვალა, რომელიც ნამატჩევს ამბობდა, ყველაფერს გეფიცებით, ბურთს შევეხეო, მაგრამ გამეორებაზე ჩანს, რომ არგენტინელი თავდამსხმელი ბურთს თითქმის არ ეხება. მოკლედ, ეს გოლი მაინც კლიმოვიჩს ჩაეთვალა და ბარემ აქვე გეტყვით, რომ დიეგომ პირველი გოლიც მარსელინიოს ჯარიმის შემდეგ (ასევე თავით) შეაგდო. მანამდე კი **კევინ კურანიმ** იხეირა ორჯერ (ერთხელ თავით) და ახლა უკვე 11 გოლი აქვს. მატჩის შემდეგ გაირკვა, რომ "შალკეს" თავდამსხმელი **პეტერ ლოვენკრანდსი** დაშავდა და გუნდს დაახლოებით თვენახევრის განმავლობაში ველარ დაეხმარება.

"ბორუსიების" დერბი დორტმუნდელებმა მოიგეს (1:0) და როგორც გითხარით, ეს ამ ტურის ყველაზე ლოგიკური შედეგი იყო. ზედიზედ სამი წაგების შემდეგ BVB-ს ისევ **ალექსანდერ ფრაიმ** მოაგებინა. შვეიცარიელმა თავდამსხმელმა ამასთანავე დორტმუნდელთა 322-წუთიანი მშრალი სერია შეწყვიტა - BVB-სწორედ ამდენ ხანს არ ჰქონდა გოლი გატანილი. რაც შეეხება "გლადბახს": **ლუჰუკეის** ბიჭები ბოლო ადგილზე დაეშვნენ, რაც ნამდვილად არ არის გასაკვირი - მათ ხომ ყველაზე ცოტა, მხოლოდ 16 (22 თამაშში) გოლი აქვთ გატანილი. ისევ მოიგო "მაინცმა" (ბერლინში 2:1) და გუნდი, რომელიც პირველი წრის შემდეგ ერთ-ერთი უპირობო აუტსაიდერი იყო, მეორე წრის ცხრილში (5 თამაშში 4 მოგება და 1 ფრე) ერთ-ერთი ლიდერია. თავიდან "ჰერტა" იგებდა (**დარდაი**, 22) და "მაინცმა" წონასწორობა 54-ე წუთზე დაუმსახურებელი პენალტით აღადგინა. მსაჯი **ზიპელი** მაინცელი **როზეს** სიმულაციაზე წამოეგო და **იურგენ კლოპის** გუნდს პენალტი აჩუქა. თერთმეტმეტრიანი **მოჰამედ ზიდანმა** გაიტანა, მერე კი, 64-ე წუთზე "მაინცს" გამარჯვება **ლეონ ანდრეასენმა** მოუტანა. შეგახსენებთ, რომ მაინცელებმა ზიდანიცა და ანდრეასენიც იანვარში, "ვერდერიდან" შეიძინეს. შედეგი? მეორე წრეში "მაინცმა" სულ 8 გოლი გაიტანა - აქედან 7 გოლი ზიდანისა და ანდრეასენის ანგარიშზეა...

**მომდევნო ტური**

23 თებერვალი. **შტუტგარტი-ჰერტა**. 24 თებერვალი. **ბოხუმი-ალემანია, ბაიერნი-ვოლფსბურგი, ჰამბურგი-აინტრახტი, კოტბუსი-არმინია, მაინცი-ნიურნბერგი, ჰანოვერი-ბორუსია (დ)**. 25 თებერვალი. **შალკე-ლევერკუზენი, ბორუსია (მ)-ვერდერი.**

### აინტრახტი-შტუტგარტი 0:4

**აინტრახტი**: ნიკოლოვი-3, ოხსი-3, კირიაკოსი-4, ვასოსკი-4.5, ხაფტარი-4.5, ჰუგელი-4.5, კრისი-4.5 (46. პროისი-4), თურკი-5, ა. მაიერი-5, შტრაიტი-4, ტაკაჰარა-4 (46. ამანატიდისი-3.5).

**შტუტგარტი**: ჰილდებრანდი-3, ტასკი-3.5, ოსორიო-2, დელპიერი-3, მანინი-2.5, პარდო-3, ჰილბერტი-2, ჰიტცლშპერგერი-3, და სილვა-3.5 (59. ფარნერუდი-3.5), კაკაუ-4 (75. შტრელერი), გომესი-1 (80. ლაუთი).

78-ე წუთზე ჰიტცლშპერგერმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე).

**გოლები**: 0:1 ჰილბერტი (2), 0:2 გომესი (16), 0:3 ოსორიო (44), 0:4 ჰიტცლშპერგერი (78).

**გაფრთხილება**: 2-1; **დარტყმა**: 14-14; **კუთხური**: 3-4; **ჯარიმა**: 15-16; **ბურთის ფლობა**: 51%-49%.

**მაყურებელი**: 46 000.

### ალემანია-ბაიერნი 1:0

**ალემანია**: შტრაუბი-3, შტელე-3, კლიტცპერა-2, ჰერცოგი-3, ლეივაკაბესი-3.5, მ. ლემანი-4 (76. ჰაიდრიხი), პლასჰენრიხი-2.5, რეგეკამპფი-3.5, შლაუდრაფი-3.5 (92. ფილი), რიოსლერი-3.5, იბიშევიჩი-4 (57. დუმი-3).

**ბაიერნი**: კანი-3.5, სანიოლი-5.5 (70. პოდოლსკი-4.5), ლუსიო-3.5, ვან ბუიტენი-3.5, ლამი-3, სალიჰამიჯიჩი-4, ვან ბომელი-5 (61. შოლი-3.5), დემიკელისი-3.5, შვაინშტაიგერი-4.5, მაკაი-4, სანტა კრუსი-5 (46. პისარო-4).

**გოლი**: 1:0 კლიტცპერა (10).

**გაფრთხილება**: 3-5; **დარტყმა**: 16-24; **კუთხური**: 4-6; **ჯარიმა**: 18-22; **ბურთის ფლობა**: 35%-65%.

**მაყურებელი**: 20 832.

### ბორუსია (დ)-ბორუსია (მ) 1:0

**ბორუსია (დ)**: ვაიდენფელერი-2.5, ფ. დეგენი-4, ბრჟენსკა-3.5, კ. მეტცელდერი-3, კრინგე-3.5, კრუსკა-4.5 (43. ნ. შაჰინი-4), ტინგა-2.5, რიკენი-3.5, პიენაარი-3 (65. სმოლიარეკი-3.5), ვალდესი-4.5 (73. ამედიკი), ფრაი-2.

**ბორუსია (მ)**: კელერი-2.5, ბიოგელუნდი-3.5, გოჰური-4.5, ზე ანტონიო-3, კომპერი-4, პოლანსკი-5 (65. სონკი-4.5), კლუგე-4, დელურა-3.5 (77. რაფაელი), ინსუა-4, იანსენი-3.5, კაჰე-4.5 (65. დ. დეგენი-3.5).

**გოლი**: 1:0 ფრაი (19).

**გაფრთხილება**: 4-1; **დარტყმა**: 22-13; **კუთხური**: 5-2; **ჯარიმა**: 27-14; **ბურთის ფლობა**: 54%-46%.

**მაყურებელი**: 73 600.

### ჰერტა-მაინცი 1:2

**ჰერტა**: ფიდლერი-3, ა. ფრიდრიხი-3.5, ვან ბურიკი-4, შიმუნიჩი-4, ფათი-4.5 (71. ჯ. ბოატენგი), დარდაი-3, მინეირო-5 (56. კ. მიულერი-3.5), ნოიენდორფი-4 (71. ლაკიჩი), ჟილბერტო-3.5, პანტელიჩი-3, ხიმენესი-4.

**მაინცი**: ვახე-3, დემირტასი-4, მ. ფრიდრიხი-3.5, ნოვესკი-4, როზე-3.5, გერბერი-4 (46. ფოილნერი-3), ანდრეასენი-2.5, აზაუაგი-3.5 (79. პეკოვიჩი), სოტო-3.5 (88. დუ-რი ჩა), ზიდანი-3, რუმანი-4.

**გოლები**: 1:0 დარდაი (22), 1:1 ზიდანი (54-პენ), 1:2 ანდრეასენი (64).

**გაფრთხილება**: 3-1; **დარტყმა**: 15-19; **კუთხური**: 5-3; **ჯარიმა**: 20-12; **ბურთის ფლობა**: 55%-45%.

**მაყურებელი**: 35 473.

### ლევერკუზენი-ჰანოვერი 0:1

**ლევერკუზენი**: ფერნანდესი-4, კასტრო-4, კალსენ-ბრაკერი-5, ჰაგი-4, ბაბიჩი-4, რამელოვი-4.5 (46. ატირსონი-3.5), როლფესი-4, შნაიდერი-4, ბარნეტა-4 (72. პაპადოპულოსი), ბარბარესი-5 (46. ვორონინი-3.5), კისლინგი-3.5.

**ჰანოვერი**: ენკე-3, ჩერუნდოლო-3, ვინიციუსი-2.5, ფარენჰორსტი-3, ტარნატი-3.5, ბალიტში-3.5, ლალა-3.5, როზენტალი-2.5, იანკოვი-3 (75. ბრუგინკი), ჰუშტი-3 (79. შიოტერი), ჰაშემიანი-3.5 (64. შტაინერი-3.5).

**გოლი**: 0:1 როზენტალი (7).

**გაფრთხილება**: 2-1; **დარტყმა**: 12-14; **კუთხური**: 5-5; **ჯარიმა**: 20-15; **ბურთის ფლობა**: 48%-52%.

**მაყურებელი**: 21 000.

### ვერდერი-ჰამბურგი 0:2

**ვერდერი**: ვიზე-3.5, კ. ფრიტცი-4 (76. ნიმაიერი), ნალდო-3.5, მერტეზაკერი-3, შულცი-3.5, ფრინგსი-2.5, ვრანიეში-4.5 (46. ჰანტი-4.5), დ. იენსენი-4.5, დიეგო-5, როზენბერგი-5 (63. ალმეიდა-4), კლოზე-3.5.

**ჰამბურგი**: ფ. როსტი-3, ბენჯამინი-3, ბ. რაინჰარდტი-3, მატიისენი-2.5, ატუბა-4, იაროლიმი-2.5, ლაასი-4 (82. დე იონგი), მაჰდავიკია-3.5, ვან დერ ვაარტი-1, სორინი-3, ოლიჩი-5 (67. სანოგო-4).

**გოლები**: 0:1 ვან დერ ვაარტი (42-პენ), 0:2 ვან დერ ვაარტი (87).

**გაფრთხილება**: 3-3; **დარტყმა**: 11-7; **კუთხური**: 3-3; **ჯარიმა**: 22-31; **ბურთის ფლობა**: 60%-40%.

**მაყურებელი**: 42 100.

### ვოლფსბურგი-შალკე 2:2

**ვოლფსბურგი**: იენტცში-3, კიროგა-4, მადლუნგი-3.5, მიორლე-5.5, ვან დერ ჰეიდენი-3.5, ვან დერ ლეეგტე-3.5, მენსეგესი-4 (62. მაკიადი-3.5), მარსელინიო-2.5, კრჟინოვეკი-5 (79. ჰილი), ჰანკე-4 (62. ბოაკი-4), კლიმოვიჩი-1.5.

**შალკე**: ნოიერი-3, რაფინია-3, ბორდონი-4, კრსტაიჩი-3.5, როდრიგესი-4.5 (77. ჰოოგლანდი), ფ. ერნსტი-3.5, ბაირამოვიჩი-4, ლინკოლნი-3, ჰალილ ალთინთოპი-3 (88. ჰამით ალთინთოპი), კურანი-1, ლოვენკრანდსი-2.5 (62. კობიაშვილი-4).

**გოლები**: 0:1 კურანი (10), 0:2 კურანი (29), 1:2 კლიმოვიჩი (56), 2:2 კლიმოვიჩი (89).

**გაფრთხილება**: 3-2; **დარტყმა**: 7-8; **კუთხური**: 5-6; **ჯარიმა**: 19-23; **ბურთის ფლობა**: 54%-46%.

**მაყურებელი**: 28 346.

### არმინია-ბოხუმი 1:3

**არმინია**: ჰაინი-4, კორზინიეტცი-4.5, ვესტერმანი-5, გაბრიელი-4, შულერი-5, [illegible]-3.5, ტ. მარქსი-4 (65. ვატა-3.5), ჯამშერი-5, ბიომე-4 (77. აიგლერი), ზუმა-4 (65. აჰანფუფი-3.5), ვიშნიარეკი-3.

**ბოხუმი**: დრობნი-3, ო. შრიოდერი-3, მალტრიტცი-3.5, იაია-4.5, პ. ბიონიგი3.5, ჟდებელი-2, დაბროვსკი-3, ტროიანი-3 (74. ბეჩმანი), ეპალე-2.5 (82. მაიხელბეკი), მისიმოვიჩი-3.5, გეკასი-1.5 (87. დრშეკი).

**გოლები**: 0:1 გეკასი (2), 0:2 გეკასი (10), 1:2 ვიშნიარეკი (26), 1:3 დაბროვსკი (51)

**გაფრთხილება**: 1-4

**მაყურებელი**: 21 025

### ნიურნბერგი-კოტბუსი 1:0

**ნიურნბერგი**: რ. შეფერი-3, დ. რაინჰარდტი-3, ა. ვოლფი-3, ბოშამი-2.5, პინოლა-3, გალაშეკი-3.5, მნარი-3.5 (59. პოლაკი-4), გრეშკო-3.5, ვიტეკი-2.5, საენკო-4, შროტი-4 (66. სიბონი-3.5).

**კოტბუსი**: პიპლიცა-5, ჟელესი-4, ი. მიტრესკი-4.5 (23. ციბიგი), კუკიელკა-4, ცვიტანოვიჩი-4, და სილვა-3.5, ტ. როსტი-4, გუნკელი-3.5 (80. შაო), მუნტეანუ-3.5 (80. ბაუმგარტი), კიოიო-3, რადუ-4.5.

**გოლი**: 1:0 ბოშამი (73)

**გაძევება**: ციბიგი (72. ნიურნბერგი)

**გაფრთხილება**: 1-4

**მაყურებელი**: 40 580

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შალკე | 22 | 15 | 4 | 3 | 40-21 | 49 |
| 2. შტუტგარტი | 22 | 13 | 5 | 4 | 41-26 | 44 |
| 3. ვერდერი | 22 | 13 | 3 | 6 | 53-30 | 42 |
| 4. ბაიერნი | 22 | 11 | 4 | 7 | 33-26 | 37 |
| 5. ნიურნბერგი | 22 | 8 | 12 | 2 | 31-17 | 36 |
| 6. ჰერტა | 22 | 9 | 6 | 7 | 33-35 | 33 |
| 7. ჰანოვერი | 22 | 8 | 6 | 8 | 28-32 | 30 |
| 8. ლევერკუზენი | 22 | 8 | 5 | 9 | 35-34 | 29 |
| 9. ბორუსია (დ) | 22 | 7 | 7 | 8 | 25-28 | 28 |
| 10. ვოლფსბურგი | 22 | 5 | 10 | 7 | 22-26 | 25 |
| 11. მაინცი | 22 | 5 | 9 | 8 | 19-32 | 24 |
| 12. არმინია | 22 | 5 | 8 | 9 | 27-29 | 23 |
| 13. ალემანია | 22 | 6 | 5 | 11 | 33-42 | 23 |
| 14. ბოხუმი | 22 | 6 | 5 | 11 | 25-34 | 23 |
| 15. აინტრახტი | 22 | 4 | 11 | 7 | 27-39 | 23 |
| 16. კოტბუსი | 22 | 5 | 7 | 10 | 23-31 | 22 |
| 17. ჰამბურგი | 22 | 3 | 12 | 7 | 24-26 | 21 |
| 18. ბორუსია (მ) | 22 | 5 | 5 | 12 | 16-27 | 20 |

**ბომბარდირები**: 13 - გომესი (შტუტგარტი); 11 - კურანი (შალკე), კლოზე (ვერდერი), პანტელიჩი (ჰერტა), მაკაი (ბაიერნი); 9 - გეკასი (ბოხუმი), ფრაი (ბორუსია დ), დიეგო (ვერდერი); 8 - ჰანკე (ვოლფსბურგი), რადუ (კოტბუსი), საენკო (ნიურნბერგი); 7 - მუნტეანუ (კოტბუსი), ტაკაჰარა (აინტრახტი), კაკაუ (შტუტგარტი).

### II ბუნდესლიგა

XXII ტური

**აუე-ბურგჰაუზენი 3:0**

გოლები: 1:0 რანგელოვი (40), 2:0 კლინკა (63), 3:0 დოსტალეკი (90-პენ)

**კობლენცი-კაიზერსლაუტერნი 0:0**

**უნტერჰახინგი-ოფენბახი 2:0**

გოლები: 1:0 ფელდანი (16), 2:0 კოლომაეციკი (82)

**მიუნხენი-დუისბურგი 2:2**

გოლები: 0:1 მოხტარი (6-პენ), 0:2 ლავრიჩი (7), 1:2 ჰოფმანი (17), 2:2 ვუჩიჩევიჩი (76)

**პადერბორნი-კარლ ცაისი 0:1**

გოლი: 0:1 ვახსმუტი (45)

**ესენი-კიოლნი 5:0**

გოლები: 1:0 კისკანცი (17), 2:0 ბოშკოვიჩი (39), 3:0 კალიკი (42), 4:0 ბარუტი (54), 5:0 ბოშკოვიჩი (70)

**ჰანზა-აუგსბურგი 2:2**

გოლები: 0:1 ჰაასი (13), 0:2 ლოური (31-პენ), 1:2 იელენი (37), 2:2 იელენი (72-პენ)

**კარლსრუე-ბრაუნშვაიგი 2:0**

გოლები: 1:0 კარნელი (39), 2:0 კაუფმანი (52)

**ფიურთი-ფრაიბურგი დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კარლსრუე | 22 | 14 | 6 | 2 | 49-22 | 48 |
| 2. დუისბურგი | 22 | 11 | 10 | 1 | 42-23 | 43 |
| 3. ჰანზა | 22 | 11 | 9 | 2 | 34-18 | 42 |
| 4. კაიზერი | 22 | 9 | 10 | 3 | 28-18 | 37 |
| 5. აუე | 22 | 11 | 3 | 8 | 33-28 | 36 |
| 6. მიუნხენი | 22 | 9 | 5 | 8 | 31-31 | 32 |
| 7. ფრაიბურგი | 21 | 8 | 7 | 6 | 26-25 | 31 |
| 8. აუგსბურგი | 22 | 7 | 9 | 6 | 22-20 | 30 |
| 9. კიოლნი | 22 | 8 | 6 | 8 | 30-31 | 30 |
| 10. ფიურთი | 21 | 8 | 5 | 8 | 31-25 | 29 |
| 11. ოფენბახი | 22 | 8 | 4 | 10 | 27-33 | 28 |
| 12. პადერბორნი | 22 | 6 | 8 | 8 | 17-20 | 26 |
| 13. კობლენცი | 22 | 6 | 7 | 9 | 21-28 | 25 |
| 14. უნტერჰახინგი | 22 | 5 | 7 | 10 | 21-25 | 22 |
| 15. კარლ ცაისი | 22 | 5 | 7 | 10 | 23-38 | 22 |
| 16. ესენი | 22 | 4 | 6 | 12 | 21-27 | 18 |
| 17. ბურგჰაუზენი | 22 | 4 | 6 | 12 | 20-43 | 18 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 22 | 2 | 7 | 13 | 11-32 | 13 |

**ბომბარდირები**: 13 - ფედერიკო (კარლსრუე); 11 - კაპლანი (კარლსრუე); 10 - კერნი (ჰანზა), ტურკერი (ოფენბახი); 9 - შერცი (კიოლნი), ლოური (აუგსბურგი), ლავრიჩი (დუისბურგი); 8 - ვუჩიჩევიჩი (მიუნხენი); 7 - დაჰამი (კაიზერი), ჰელმესი (კიოლნი), ზიგერი (ოფენბახი), იდრისუ (დუისბურგი), ანტარი (ფრაიბურგი), ტიმი (ფიურთი), მოხტარი (დუისბურგი), კლინკა (აუე).

### რეგიონალლიგა (ჩრ)

XXII ტური

**ლევერკუზენი II-ჰერტა II 2:1; ვილჰელმშაფენი-უნიონი 0:0; ოსნაბრიუკი-ერფურტი 4:0; კილი-ვუპერტალი 1:1; ემდენი-ვერდერი II 4:2; ალენი-დინამო (დ) 3:0; გლადბახი II-მაგდებურგი 1:2; სტ.პაული-ლიუბეკი 2:0; ჰამბურგი II-დორტმუნდი II 2:0.**




ვალენსიამ ბარსას მწარედ ამოარტყა

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXIII ტური

# ისევ ობსტრუქცია

"სანტიაგო ბერნაბეუზე" მძიმე სანახაობა წუთიერი დუმილით დაიწყო. 75 ათასმა გულშემატკივარმა **ფლორენტინო პერესის** მამის ხსოვნას მიაგო პატივი. სამეფო კლუბის ყოფილმა პრეზიდენტმა მშობელი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ დაკარგა.

მძიმე სანახაობა შემთხვევით არ გვიხსენებია. "ბეტისის" სტუმრობამ კიდევ ერთხელ გამოააშკარავა, რომ მადრიდის "რეალს" უმნვავესი პრობლემები აქვს. სულ რაღაც 15 დღის წინ დედაქალაქურმა პუბლიკამ საკუთარ გუნდს "ლევანტესთან" წაგების გამო ნამდვილი ობსტრუქცია მოუწყო. მართალია, **ფაბიო კაპელოს** ბიჭები ამჯერად არ დამარცხებულან, მაგრამ ინჩადა მაინც ძალიან უკმაყოფილო დარჩა და საფინალო სასტვენის შემდეგ ცხვირსახოცები კიდევ ერთხელ ააფრიალა. ცხვირსახოცები, რომელთა ფრიალზე უფრო შემაშფოთებელი არაფერია. ყველა შეთანხმებულია, რომ წინა ტურში "ანოეტაზე" მოპოვებული გამარჯვება ერთი დიდი ტყუილი იყო და სხვა არაფერი. საზოგადოებაში უკმაყოფილება კიდევ უფრო გაღრმავდა. აღსანიშნავია, რომ "რეალისადმი" დაუფარავი სიმპათიით განწყობილი მადრიდული პრესა არნახულად კრიტიკულია. "დიარიო მარკამ " ცინიკურად დაწერა, კაპელო თავს ტყუილად იწუხებს. რა აზრი აქვს, ვინ მოხვდება ძირითად შემადგენლობაში, ან ვინ შევა შეცვლაზე, სამეფო კლუბი მაინც ამაზრზენად გამოიყურებაო.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, შესაძლოა, დაუჯერებლადაც ჟღერდეს, მაგრამ მასპინძლებმა თამაში ძალიან კარგად დაიწყეს. მოედნის ცენტრში **გუტი** შესანიშნავად ირჯებოდა და სახიფათო იერიშებს უყრიდა საფუძველს. დედაქალაქელები ბურთს ბრწყინვალედ აკონტროლებდნენ, მაგრამ უმალ გამოჩნდა, რომ **რუუდ ვან ნისტელროი** თავდასხმაში მარტოდ მარტო იყო მიგდებული. მასპინძლებს შეტევაში მეტი აგრესიულობისთვის მეორე გამოკვეთილი ფორვარდი სჭირდებოდათ. კაპელომ ეს გარემოება რატომღაც არ გაითვალისწინა. ფაქტია, როცა შუახაზელები და მცველები უფრო სახიფათო მომენტებს ქმნიან, თავდასხმაში ყველაფერი რიგზე არ არის. პირველ ტაიმში **სერხიო რამოსი** "რეალის" ყველაზე სახიფათო "ფორვარდი" გახლდათ. ახალგაზრდა მცველმა **დობლასი** ყველაზე მეტად შეაწუხა. **რობინიომ** იმდენი იწუწუნა, კაპელო შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსს არ მაძლევსო, რომ იტალიელმა სპეციალისტმა ის ძირითადში დააყენა. ბრაზილიელს ღირებული არაფერი გაუკეთებია.

"ბეტისი" კი საოცრად პრაგმატული ტაქტიკით ხელმძღვანელობდა. მატჩის სადებიუტო ნაწილში **ფერნანდო ვეგას** მიერ დაშვებულ შეცდომას თუ არ ჩავთვლით, სევილიელები საკმაოდ საიმედოდ ირჯებოდნენ. **ლუის ფერნანდესის** ბიჭები თავდასხმაში დიდი ძალებით წასვლას არ რისკავდნენ. ისინი მხოლოდ კონტრიერიშებს მიმართავდნენ. ყოველივე აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფრე სრულიად ლოგიკური შედეგი გახლდათ.

სინიორ კაპელომ თამაშთან დაკავშირებით ასეთი რამ განაცხადა: *"არ ვიცი, შარშან როგორი სიტუაცია იყო, მაგრამ ამ სეზონში მსაჯებმა გაგვაწამეს. იქნებ ვინმემ ამიხსნას, რატომ გააძევეს ბექჰემი? წესები მის წინააღმდეგ დაირღვა, მაგრამ არბიტრმა მაინც ინგლისელი დასაჯა. მართალია, დევიდის გარეშე საფინალო სასტვენამდე მცირე ხნით ადრე დავრჩით და ამით ბევრი არც არაფერი შეცვლილა, მაგრამ თავად ფაქტია აღმაშფოთებელი. ზოგადად თემიდას მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება არ მიყვარს ხოლმე, მაგრამ მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. დარწმუნებით შემიძლია მოგახსენოთ, "სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩამოსული მსაჯები ყოველმხრივ გვეწინააღმდეგებიან. შეხვედრის სხვა მონაკვეთებს რაც შეეხება, მიმაჩნია, რომ პირველ ტაიმში საუცხოოდ გამოვიყურებოდით. რაული ძირითადში არ დავაყენე. ვფიქრობდი, ის "ბაიერნთან" მატჩის წინ დასვენებას საჭიროებდა. გონსალეს ბლანკო შესვენების შემდეგ გახოს ნაცვლად შევუშვი. შეტევის გაძლიერება ვცადეთ, მაგრამ არ გაგვიმართლა. მომენტები ვერ გამოვიყენეთ. ძველი სირთულეების მსხვერპლნი გავხდით. "ბერნაბეუზე" ჩამოსული თითქმის ყოველი კოლექტივი დაცვაში იკეტება. საჯარიმოში გამაგრებული ათი კაცის წინააღმდეგობის გადალახვა ძალიან ძნელია."*

პრესკონფერენციის მიწურულს, კაპელოს ჰკითხეს, **რონალდოს** მიერ იტალიის ჩემპიონატში გატანილ ორ გოლზე რას ფიქრობდა. აი, მწვრთნელის პასუხიც: *"ძალიან კმაყოფილი ვარ. ყოველთვის ვამბობდი, რომ რონალდო დიდი ფორვარდია. ნიშნის მოგებით წურავინ დამელაპარაკება. "რეალიდან" წასვლა თავად მან გადაწყვიტა. რონალდოს არავინ აგდებდა. დღესდღეობით, ყველაზე რთული საფეხბურთო ლიგები პრიმერა დივიზიონი და პრემიერლიგაა."*

რასისტ სარაგოსელ გულშემატკივრებს ფეხბურთელებმა შეხვედრის დაწყების წინ ანტირასისტული და ქსენოფობიის წინააღმდ მიმართული მცირე ღონისძიება მოუწყვეს. მოთამაშეებმა ინჩასებს თხოვნით მიმართეს, ერთხელ და სამუდამოდ უარი თქვან ამ სამარცხვინო აზროვნებაზე. ქომაგების მცირე ნაწილმა შთაბეჭდილებები ტაშით გამოხატა. ხალხის უმეტესობამ კი დიდაქტიკა არ მოიწონა და სტვენა წამოიწყო. მათ სულაც არ აღელვებთ, რომ ადამიანების კანის ფერისა და ნაციონალური განსხვავებულობის გამო არ უნდა შეურაცხყო, ინჩადა თამაშის დაწყებასა და გამარჯვებას ელოდა. მასპინძლები უპირატესობას, ფაქტობრივად, მთელი თამაშის განმავლობაში ფლობდნენ. რამდენიმე კარგი მომენტი "ვილიარეალსაც" ჰქონდა, მაგრამ **სესარმა** გოლის გატანის საშუალება არავის მისცა. თავის მხრივ **ბარბოსაც** საიმედოდ ირჯებოდა, თუმცა ერთ-ერთ ეპიზოდში სტუმართა მეკარე უძლური აღმოჩნდა. 32-ე წუთზე **დიეგო მილიტომ საპატერის** მიერ წამოწყებული იერიში დააგვირგვინა. "ყვითლებმა" საფინალო სასტვენამდე დარჩენილ დროში წონასწორობა ვერ აღადგინეს და ზედიზედ მესამე მარცხი იგემეს. "სარაგოსამ" კი უეფას თასის საგზურის მოპოვების შანსი მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა.

"ბილბაომ" ნავსი გატეხა. **ხოსე მანუელ ესნალის** ბიჭებმა 2007 წელს მშობლიურ "სან მამესზე" პირველად მოიგეს. ამ სეზონში კი ბასკებმა მხოლოდ მეორე საშინაო გამარჯვება იზეიმეს. სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მანეს მოსვლა გუნდს სასიკეთოდ დაეტყო, მაგრამ ფაქტია, ბილბაოელები სტუმრად უფრო კარგად გამოიყურებიან. ბასკებს იმედი გაუჩნდათ, რომ "ხეტაფეს" დამარცხება საქმეში გარდატეხას შეიტანს. მრავალტანჯული მასპინძლების წარმატება **ანდურისის** დუბლმა განაპირობა. მან ორივე შემთხვევაში მადრიდელთა დაცვის შეცდომებით ისარგებლა. პირველი გოლისას ანდურისი სულაც პირისპირ დარჩა მეკარესთან. მანემ სამი ქულის მოპოვებით მეტისმეტად გაიხარა და გულშემატკივრებს პირობა მისცა, რომ მისი ბიჭები ყველაფერს ილონებენ იმისთვის, რომ პრიმერა დივიზიონიდან გავარდნის საფრთხე არ დაემუქროთ.

"ესპანიოლი" "მალიორკაზე" უკეთ ნამდვილად არ გამოიყურებოდა, თამაში აბსოლუტურად თანაბარი გახლდათ, მაგრამ მისი ბედი **ლუის გარსიას** ოსტატობამ გადაწყვიტა. კატალონიურმა კლუბმა კარგ ფეხზე ამდგარი ნახევარმცველის წყალობით ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა და სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა. ყველაფერი მე-10 წუთზე დაიწყო. გარსიამ ენითაუწერელი სილამაზის საჯარიმო შეაგდო. პირველი ტაიმის მიწურულს **იანკოვიჩმა** მასპინძელთა საჯარიმო მოედანში შექმნილი განუკითხაობით ისარგებლა და ანგარიში გაათანაბრა. "ესპანიოლის" ქომაგებს საკმაოდ დიდი ხნით ლოდინი მოუხდათ. 78-ე წუთზე გარსია მეურვეებს დაუსხლტა, მეკარესთან პირისპირ გავიდა და შანსი ხელიდან არ გაუშვა. მსაჯის მიერ დამატებულ დროში კი **კოშტამ** ანგარიშს უფრო სოლიდური სახე მისცა.

ტურის ცენტრალურ ორთაბრძოლას "მესტალიამ" უმასპინძლა. **სამუელ ეტოოს** გამო კატალონიელთა სტუმრობას უდიდესი ინტრიგა უძღვოდა. ყველას აინტერესებდა, ათამაშებდა თუ არა, **ფრანკ რიიკაარდი** კამერუნელ ფორვარდს. როგორც გაირკვა, "ბარსას" მთავარ მწვრთნელს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, მაგრამ მოედანზე გასვლა ისევ თავად სამუელმა არ ისურვა. მან მწვრთნელებსა და ექიმებს განუცხადა, რომ სათამაშოდ მზად არ იყო. ეტოო "ბარსელონის" მესვეურებს არწმუნებს, მუხლის ტკივილები კვლავ მაწუხებსო. კატალონიურ გიგანტს სკანდალმა აშკარად დაამჩნია კვალი. ვარსკვლავები დემორალიზებულები იყვნენ. პირველი ტაიმი მეტ-ნაკლებად თანაბარ ორთაბრძოლაში წარიმართა. შესვენების შემდეგ კი "ღამურებმა" დამთრგუნველი უპირატესობა მოიპოვეს. შედეგმაც არ დააყოვნა. სულ რაღაც ექვს წუთში მასპინძლებმა უმნვავესი კონტრშეტევა მოაწყვეს. ბურთი **დავიდ ვილიას** მიუვიდა. მან სწორი გადაწყვეტილება მიიღო და ხელსაყრელ პოზიციაზე გასულ **მიგელ ანხელ ანგულოს** პასი არ დაუგვიანა. **ვიქტორ ვალდესი** იმ ეპიზოდში ვერაფერს გააწყობდა. აი, მცველებს კი სერიოზული საყვედური ეკუთვნით. "ბარსელონა" მორალურად გატყდა. ზუსტად სამ წუთში ვალენსიელებმა კიდევ ერთი ეფექტური კონტრიერიში შემოგვთავაზეს. ამჯერად გოლი **დავიდ სილვას** ანგარიშზე ჩაიწერა. სხვათაშორის, ბურთი მას ანგულომ მიაწოდა. დამატებულ დროში **რონალდინიომ** ლამაზი ჯარიმა გაიტანა, მაგრამ წაგებისთვის განწირულმა "ბარსამ" მეტი ველარაფერი მოახერხა. ამრიგად, **კიკე სანჩეს ფლორესის** გუნდმა ზედიზედ მეხუთე საშინაო გამარჯვება იზეიმა, რის შედეგადაც მესამე ადგილზე გადაინაცვლა და "რეალი" უკან მოიტოვა. "ბარსელონა" კი წაგების მიუხედავად, პირველ ადგილზე დარჩა. კატალონიელებს სევილიელებთან შედარებით ბურთების უკეთესი ბალანსი აქვთ.

## მომდევნო ტური

24 თებერვალი. სოსიედადი-დეპორტივო, ატლეტიკო-რეალი. 25 თებერვალი. ბეტისი-რეკრეატივო, სელტა-რასინგი, ხეტაფე-სევილია, ლევანტე-სარაგოსა, ოსასუნა-ესპანიოლი, ვილიარეალი-მალიორკა, ხიმნასტიკი-ვალენსია, ბარსელონა-ბილბაო.

## რეალი-ბეტისი 0:0

**რეალი:** კასილიასი, სერხიო რამოსი (76. მარსელო), კანავარო, ივან ელგერა, მიგელ ტორესი, ემერსონი, გახო (46. რაული), ბექჰემი, გუტი, რობინიო (61. რეიესი), ვან ნისტელროი.

**ბეტისი:** დობლასი, ილიჩი (85. ისიდორო), მელი, ნანო, ფერნანდო ვეგა, პანკრატი, მიგელ ანხელი, ხუანდე, კაპი (46. რივერა), ფერნანდო, სობისი (64. რობერტი).

**გაძევება:** ბექჰემი (90. რეალი)

**გაფრთხილება:** 5-6; **დარტყმა:** 18(5)-18(6); **კუთხური:** 4-7; **თამაშგარე:** 1-2; **ჯარიმა:** 21-22; **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 75 000

## სარაგოსა-ვილიარეალი 1:0

**სარაგოსა:** სესარი, დიოგო, სერხიო ფერნანდესი, გაბრიელ მილიტო, ხუანფრანი, დ'ალესანდრო (84. ლაფიტა), მოვილია, საპატერი, ოსკარი (65. ნერი), სერხიო გარსია, დიეგო მილიტო (90. ჩუს ერერო).

**ვილიარეალი:** ბარბოსა, ხავი ვენტა, ფუენტესი, კიკე ალვარესი, ხოსე ენრიკე, კანი (61. მარკოსი), მარკოს სენა, ხოსიკო, მატიას ფერნანდესი (77. ფორლანი), ხოსე მარი, ტომასონი (61. ფრანკო).

**გოლი:** 1:0 დიეგო მილიტო (32)

**გაფრთხილება:** 3-0; **დარტყმა:** 16(8)-12(2); **კუთხური:** 9-6; **თამაშგარე:** 3-2; **ჯარიმა:** 20-12; **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 23 000

## ბილბაო-ხეტაფე 2:0

**ბილბაო:** არანსუბია, ესპოზიტო, სარიეგი, ამორებიეტა, კასასი, მურილიო, ირაოლა, იესტე, გაბილონდო (74. ეჩებერია), ურსაისი (67. ხავი მარტინესი), ადურისი (85. ლორენტე).

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, კორტესი, ტენა, ბელენგერი, პარედესი, სელესტინი, ვივარ დორადო (65. ალბანი), მარიო კოტელო (88. სოუზა), ნაჩო (65. მარისი), მანუ დელ მორალი, გუისა.

**გოლები:** 1:0 ადურისი (29), 2:0 ადურისი (49)

**გაფრთხილება:** 4-3; **დარტყმა:** 10(4)-7(3); **კუთხური:** 2-8; **თამაშგარე:** 1-4; **ჯარიმა:** 24-13; **ბურთის ფლობა:** 45%-55%

**მაყურებელი:** 24 000

## დეპორტივო-ლევანტე 0:0

**დეპორტივო:** ავატე, ბარაგონი, ანდრადე, ლოპო, კაპდევილია, დე გუსმანი, დუშერი (41. სერხიო), ესტოიანოფი, პაბლო ალვარესი (73. ვერდუ), არისმენდი, რივერა (57. ადრიანი).

**ლევანტე:** მოლინა, მანოლო, ხოსე სერანო, ალექსისი, რუბიალესი (65. ჰარტი), კამაჩო, ტომაზი, ნინიო (61. ეტიენი), რიგა, კაპო, სალვა (81. რეჯი).

**გაფრთხილება:** 1-4; **დარტყმა:** 12(1)-9(4); **კუთხური:** 4-4; **თამაშგარე:** 3-0; **ჯარიმა:** 21-20; **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 30 000

## ესპანიოლი-მალიორკა 3:1

**ესპანიოლი:** კამენი, ჩიკა, ხარკე, ტორეხონი, დავიდ გარსია, ჯონათასი (60. კოსტა), მოისესი, მოა (75. რიერა), კორო (62. პანდიანი), ლუის გარსია, ტამუდო.

**მალიორკა:** პრატსი, ექტორი, ბალესტეროსი, ნუნიესი, ნავარო, ვარელა (82. ვიქტორი), ბასინასი (54. პერეირა), ხორდი, იანკოვიჩი, იონას გუტიერესი, მაქსი ლოპესი.

**გოლები:** 1:0 ლუის გარსია (28), 1:1 იანკოვიჩი (43), 2:1 ლუის გარსია (78), 3:1 კოსტა (90+3)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 12(3)-14(5); **კუთხური:** 4-5; **თამაშგარე:** 1-1; **ჯარიმა:** 20-28; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 28 000

## რასინგი-ხიმნასტიკი 4:1

**რასინგი:** ტონიო, პინილიოსი (74. კრისტიან ალვარესი), რუბენი, გარაი, კრისტიანი, ვიტოლო, კოლსა, სკალონი (79. ბალბოა), მუნიტისი, ოსკარ სერანო, ჟიგიჩი (85. ხუანხო).

**ხიმნასტიკი:** ბისარი, კალვო, სესარ ნავასი, მატელიანი, მარკო, კამპანიო (65. ხუან დიასი), მორალესი (73. ხენერელო), შაბო, მერინო (55. გრანი), კუელარი, პორტილიო.

**გოლები:** 0:1 გრანი (58), 1:1 სკალონი (59), 2:1 მატელიანი (67-საკ. კარში), 3:1 კოლსა (74), 4:1 მუნიტისი (82)

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 14(5)-7(2); **კუთხური:** 4-2; **თამაშგარე:** 0-0; **ჯარიმა:** 21-18; **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 21 000

## ოსასუნა-სელტა 0:1

**ოსასუნა:** რიკარდო, კუელარი (64. ექტორ ფონტი), მიგელ ფლანიო, კორალესი (76. ვებო), ხავიერ ფლანიო (53. ხუანლუ), პუნიალი, რაულ გარსია, დავიდ ლოპესი, ხუანფრანი, მილოშევიჩი, სოლდადო.

**სელტა:** პინტო, ლეკი, კონტრერასი, პლასენტე, ანხელი, ირინეი, უბინია, გუსტავო ლოპესი (60. პაბლო გარსია), ნენე (60. იაგო), კანობიო, ბაიანო (68. ბამოგო).

**გოლი:** 0:1 ბაიანო (1)

**გაძევება:** კანობიო (41. სელტა)

**გაფრთხილება:** 1-4; **დარტყმა:** 17(4)-7(3); **კუთხური:** 10-3; **თამაშგარე:** 1-2; **ჯარიმა:** 24-14; **ბურთის ფლობა:** 61%-39%

**მაყურებელი:** 26 000

## რეკრეატივო-სოსიედადი 1:0

**რეკრეატივო:** ლოპეს ვალეხო, ედუ მოია, ბეტო, პოლი, კასორლა, პაბლო ამო (46. მარიო), ვიკეირა (61. ხესუს ვასკესი), ბარბერი, ხუანმა (72. აიტორი), სინამა პონგოლე, უჩე.

**სოსიედადი:** ბრავო, ლოპეს რეკარტე, ხერარდო, ხუანიტო, მიკელ გონსალესი, რივასი (71. გარიტანო), ელუსტონდო, ჩაბი პრიეტო (71. ესტრადა), სავიო, ერერა (62. კოვაჩევიჩი), დიას დე სერიო.

**გოლი:** 1:0 ბეტო (48)

**გაფრთხილება:** 5-3; **დარტყმა:** 10(5)-12(5); **კუთხური:** 7-5; **თამაშგარე:** 4-2; **ჯარიმა:** 16-23; **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 16 000

## ვალენსია-ბარსელონა 2:1

**ვალენსია:** ბუტელი, მიგელი, აიალა, მორეტი, მარჩენა, ალბიოლი, ანგულო, სილვა (85. ხორხე ლოპესი), ალბელდა, მორიენტესი (65. პალარდო), ვილია (72. ხოაკინი).

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, ოლეგერი, პუიოლი, მარკესი, ედმილსონი (72. ჟიული), ძამბროტა, ჩავი, ინიესტა, დეკუ, რონალდინიო, გუდიონსენი (56. მესი).

**გოლები:** 1:0 ანგულო (51), 2:0 სილვა (54), 2:1 რონალდინიო (90+1)

**გაძევება:** დეკუ (62. ბარსელონა), ალბელდა (62. ვალენსია)

**გაფრთხილება:** 3-5; **დარტყმა:** 6(3)-12(2); **კუთხური:** 2-6; **თამაშგარე:** 5-4; **ჯარიმა:** 18-10; **ბურთის ფლობა:** 30%-70%

**მაყურებელი:** 50 000

## სევილია-ატლეტიკო 3:1

**სევილია:** პალოპი, დანი ალვესი, აიტორ ოსიო, ესკუდე, დავიდი, მარტი, რენატო, ხესუს ნავასი (66. ჰინკელი), პუერტა (79. დუდა), კანუტე, ლუიშ ფაბიანო (41. პოულსენი).

**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო, სეიტარიდისი, პერეა, პაბლო, პერნია, კოშტინია (64. გაბი), ლუქსენი (46. ხურადო), მანიშე, მისტა (46. გალეტი), ფერნანდო ტორესი, აგუერო.

**გოლები:** 1:0 კანუტე (14), 2:0 დანი ალვესი (21), 3:0 კანუტე (73), 3:1 პაბლო (82)

*82-ე წუთზე ფერნანდო ტორესმა ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)*

**გაძევება:** მარტი (36. სევილია)

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 10(6)-19(11); **კუთხური:** 5-4; **თამაშგარე:** 4-3; **ჯარიმა:** 14-17; **ბურთის ფლობა:** 40%-60%

**მაყურებელი:** 45 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 23 | 13 | 7 | 3 | 46-20 | 46 |
| 2. სევილია | 23 | 14 | 4 | 5 | 44-22 | 46 |
| 3. ვალენსია | 23 | 13 | 3 | 7 | 34-22 | 42 |
| 4. რეალი | 23 | 13 | 3 | 7 | 30-19 | 42 |
| 5. ატლეტიკო | 23 | 11 | 6 | 6 | 29-20 | 39 |
| 6. სარაგოსა | 23 | 11 | 5 | 7 | 35-24 | 38 |
| 7. რეკრეატივო | 23 | 11 | 3 | 9 | 33-30 | 36 |
| 8. ხეტაფე | 23 | 10 | 5 | 8 | 21-16 | 35 |
| 9. ესპანიოლი | 23 | 8 | 8 | 7 | 24-25 | 32 |
| 10. რასინგი | 23 | 8 | 8 | 7 | 24-27 | 32 |
| 11. ოსასუნა | 23 | 9 | 3 | 11 | 30-29 | 30 |
| 12. დეპორტივო | 23 | 7 | 9 | 7 | 18-25 | 30 |
| 13. ვილიარეალი | 23 | 8 | 5 | 10 | 20-29 | 29 |
| 14. ბეტისი | 23 | 6 | 8 | 9 | 23-28 | 26 |
| 15. ლევანტე | 23 | 6 | 8 | 9 | 21-31 | 26 |
| 16. მალიორკა | 23 | 7 | 5 | 11 | 21-33 | 26 |
| 17. ბილბაო | 23 | 6 | 7 | 10 | 26-31 | 25 |
| 18. სელტა | 23 | 6 | 7 | 10 | 24-32 | 25 |
| 19. სოსიედადი | 23 | 2 | 8 | 13 | 13-39 | 14 |
| 20. ხიმნასტიკი | 23 | 3 | 4 | 16 | 24-47 | 13 |

ბომბარდირები: 18 -კანუტე (სევილია); 16 - რონალდინიო (ბარსელონა); 15 - დიეგო მილიტო (სარაგოსა); 11 - ვან ნისტელროი (რეალი); 10 - ვილია (ვალენსია); 9 - მორიენტესი (ვალენსია), ბაიანო (სელტა), ტამუდო (ესპანიოლი); 7 - ფერნანდო ტორესი (ატლეტიკო), ლუიშ ფაბიანო (სევილია).

## II დივიზიონი

XXV ტური

**ალბასეტე-რეალი B 1:0**

გოლი: 1:0 ბიაჯინი (84)

**კადისი-ალმერია 2:2**

გოლები: 0:1 ორტისი (31), 1:1 ბაუდესი (39), 2:1 ერნანდესი (60), 2:2 ორტისი (62)

**სიუდადი-ლორკა 2:1**

გოლები: 1:0 გოიტომი (23), 2:0 გოიტომი (48), 2:1 მაიკელი (80)

**ერკულესი-ტენერიფე 3:1**

გოლები: 0:1 პერესი (16), 1:1 მარმოლი (78), 2:1 პიტი (88), 3:1 მოისესი (90-პენ)

**ეხიდო-ვალიადოლიდი 2:3**

გოლები: 1:0 აგანო (23), 2:0 ორტისი (30), 2:1 რუბიო (65), 2:2 ვიქტორი (74), 2:3 ვიქტორი (90-პენ)

**სპორტინგი-ელჩე 0:0**

**ნუმანსია-მალაგა 2:0**

გოლები: 1:0 ფუკუდა (29), 2:0 მორენო (90)

**კასტელონი-მურსია 0:1**

გოლი: 0:1 ანტონიტო (75)

**ალავესი-ვესინდარიო 5:1**

გოლები: 1:0 ასტუდილიო (17), 1:1 ჩისკო (45-პენ), 2:1 მორალი (61), 3:1 მორალი (76), 4:1 ლუკასი (87), 5:1 ალოიზი (89)

**სალამანკა-ხერესი 1:0**

გოლი: 1:0 არპონი (6)

**ლას პალმასი-პონფერადინა 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვალიადოლიდი | 24 | 15 | 6 | 3 | 38-17 | 51 |
| 2. მურსია | 25 | 13 | 8 | 4 | 37-26 | 47 |
| 3. ალმერია | 25 | 13 | 5 | 7 | 40-27 | 44 |
| 4. ნუმანსია | 25 | 11 | 7 | 7 | 29-24 | 40 |
| 5. კადისი | 25 | 10 | 9 | 6 | 29-25 | 39 |
| 6. სიუდადი | 25 | 12 | 3 | 10 | 28-25 | 39 |
| 7. ხერესი | 25 | 10 | 6 | 9 | 29-22 | 36 |
| 8. სალამანკა | 25 | 10 | 6 | 9 | 33-28 | 36 |
| 9. ერკულესი | 25 | 10 | 6 | 9 | 29-25 | 36 |
| 10. სპორტინგი | 25 | 11 | 2 | 12 | 30-26 | 35 |
| 11. ეხიდო | 24 | 9 | 8 | 7 | 27-23 | 35 |
| 12. ალავესი | 25 | 9 | 7 | 9 | 28-30 | 34 |
| 13. ალბასეტე | 25 | 9 | 6 | 10 | 30-32 | 33 |
| 14. ტენერიფე | 25 | 9 | 5 | 11 | 23-29 | 32 |
| 15. მალაგა | 25 | 8 | 7 | 10 | 26-30 | 31 |
| 16. ელჩე | 25 | 7 | 9 | 9 | 26-29 | 30 |
| 17. რეალი B | 25 | 8 | 6 | 11 | 29-37 | 30 |
| 18. ლას პალმასი | 25 | 6 | 11 | 8 | 27-30 | 29 |
| 19. კასტელონი | 25 | 7 | 7 | 11 | 21-27 | 28 |
| 20. ლორკა | 25 | 6 | 7 | 12 | 22-32 | 25 |
| 21. პონფერადინა | 25 | 6 | 7 | 12 | 21-32 | 25 |
| 22. ვესინდარიო | 25 | 4 | 4 | 17 | 23-49 | 16 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საფრანგეთი

XXV ტური

**ლილი-ლიონი 1:2**

**ლილი:** სილვა, ტაფორო, შმიტცი, ტავლარიდისი, ლიხტშტაინერი, მაკუნი, კაბეიე, ბასტოსი (74. ობრანიაკი), ბოდმერი (64. ფოვერგი), ა. კეიტა, ოდელი (80. ოდემვინგი).

**ლიონი:** კუპე, აბიდალი, კრისი, სკილაჩი, რევეიერი (61. გოვუ), ტულალანი, კალსტრიომი, ფაბიო სანტოსი (71. ბაროში), კლერკი, მალუდა (78. ბენ აფრა), ფრედი.

**გოლები:** 1:0 ოდელი (52), 1:1 ფრედი (83), 1:2 სკილაჩი (89)

**გაფრთხილება:** 2-1

**მაყურებელი:** 17 000

**სტ.ეტიენი-რენი 1:3**

**სტ.ეტიენი:** ჟანო, ილუნგა, ონონი, ზ. კამარა, მ. დაბო, საბლე, ლანდრენი (76. გარენი), დერნისი (58. მუსილუ), პ. ფეინდუნო, ილანი, ბ. გომისი.

**რენი:** პუპლენი, დანზე, ჟ. ფატი, ბორნი, მელხიოტი (55. ედმანი), მ'ბია, ბრ. შეირუ, მარვო (69. მორეირა), სორლენი, ბრიანი, უტაკა (79. სოვი).

**გოლები:** 0:1 უტაკა (15), 1:1 გომისი (34), 1:2 უტაკა (59), 1:3 მარვო (62)

**გაფრთხილება:** 1-0

**მაყურებელი:** 30 000

**ლორიანი-ტულუზა 0:1**

**ლორიანი:** რიუ, ჟალე, მარშალი, სიანი, მორელი, ევოლო (73. ტაედერი), აბრიელი, მანსური (63. ნამუში), ლე პენი, გინიაკი (73. მარლე), საიფი.

**ტულუზა:** დუშე, ებონდო, არიბაჟე, კონგრე, მატიო, სირიეი, ფაბინიო, პაულო სეზარი, ემანა (80. ბატლი), მანსარე (73. დიოზი), ელმანდერი (84. ბერგუნუ).

**გოლი:** 0:1 პაულო სეზარი (55-პენ)

**გაფრთხილება:** 0-3

**მაყურებელი:** 12 311

**ნანსი-პსჟ 0:3**

**ნანსი:** გრეგორინი, შრეტიენი, დიახატე, პუიგრენიე, ბიანკალანი (81. ბრისონი), ბ. გაევანონი (85. მაკალუსო), დუშემენი (75. ბერენგერი), ი. ჰაჯი, კიმი, კურბელო, ფორტუნე.

**პსჟ:** ლანდრო, მენდი, როზენალი, არმანი, დრამე, სისე, როტენი, გალიარდო, დიანე (60. ფრო), ლუინდულა, პაულეტა (75. სა. ტრაორე).

**გოლები:** 0:1 პაულეტა (70), 0:2 ფრო (86), 0:3 გალიარდო (89)

**გაძევება:** კიმი (77. ნანსი)

**გაფრთხილება:** 2-1

**მაყურებელი:** 20 000

**სედანი-ოსერი 2:2**

**სედანი:** ტრევიცანი, ბელაჯი, ლაშორი, სარტრი, დუკურტუა, ამალფიტანო, აბდუ, მორის-ბელეი (77. ჟო), მარენი, პუჟოლი (89. ენენი), ჟობი.

**ოსერი:** სორენი, მინო (87, ის. ბა), კაბული, გრიშტინგი, სანია, პედრეტი, ბე. შეირუ, კალენბერგი (70. მუ. ნ'დიაიე), აკალე, იელენი, ნიკულაე.

**გოლები:** 0:1 ნიკულაე (15), 1:1 სარტრი (20), 2:1 ჟობი (23), 2:2 ნიკულაე (90+1)

**გაფრთხილება:** 0-1

**მაყურებელი:** 12 500

**სოშო-ლე მანი 2:0**

**სოშო:** რიშერი, აფოლაბი, ბრეშე, ნ'დავი, პიშო, პიტო, სენე (10. ტოშიჩი), კ. ზიანი, ბირსა (77. ისაბეი), ლე ტალეკი (69. დაგანო), ა. სანტოსი.

**ლე მანი:** როში, ო. ტომასი (77. იებდა), ფიშერი (82. დე მელო), ბასა, ი. კამარა, სესენონი, რომარიკი, ფანშონი (75. მაცუი), ის. ბანგურა, გრაფიტე, სამასა.

**გოლები:** 1:0 ა. სანტოსი (13-პენ), 2:0 იებდა (79-საკ. კარში)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 15 000

**ტრუა-ბორდო 1:0**

**ტრუა:** ლე კრომი, ფერეირა, ენზა იამისი, ი. ფეიე, პესლეი, ლაკური, ლაშორი, ბარბოსა, გ. ბა (58. გილიოტი), იბ. ბანგურა, დანიკი (82. გიიომი).

**ბორდო:** რამე, ჟურიეტი, სიდი, პლანუსი, მარანჟი, მავუბა, ფერნანდო (74. კავენაგი), მიკუ, ფობერი (68. შმიცერი), იუსი (46. ალონსო), შამახი.

**გოლი:** 1:0 გილიოტი (66)

**გაფრთხილება:** 3-4

**მაყურებელი:** 13 000

**ვალანსი-ნიცა 0:1**

**ვალანსი:** პენეტო, მო. ტრაორე, ფლაშე, შელი (31. ლირონი), ბეზაზი, ჟეოვანიო, დუმენგი (76. ბრატუ), პააუვე (53. ჰასლი), რუდე, დუფრესნი, სავიდანი.

**ნიცა:** ლორისი, კანტე, აბარდონადო, აპამი, ფანი, ბალმონი, ეშუაფნი, ედერსონი (34. დიაკატე), როოლი (78. ვეინო), ბ. კონე (90. ვაირუა), ლასლანდი.

**გოლი:** 0:1 ბ. კონე (31-პენ)

**გაფრთხილება:** 4-3

**მაყურებელი:** 15 208

**მონაკო-ლანსი 0:0**

**მონაკო:** რომა, დოს სანტოსი, მოდესტო, მონსორო, ბოლივარი, ჟივე, მერიემი, ტურე (67. პერესი), პლასილი (80. კალონი), კოლერი (67. პინო), პიკიონი.

**ლანსი:** იტანჯე, აბ. კულიბალი, ბიშევაცი, ჰილტონი, კარიერი (75. დემონი), მონტერუბიო (88. ჟილე), კოვაჩევიჩი, რამოსი, სი. კეიტა, ბუკარი (83. ჟემაა), არუნა.

**გაფრთხილება:** 2-2

**მაყურებელი:** 10 677

**მარსელი-ნანტი 0:0**

**მარსელი:** კარასო, ბეიე, როდრიგესი, ზუბარი, ტაივო, ნასრი, მ'ბამი, რიბერი, მაულიდა (71. ვალბუენა), პაჟისი, ნიანგი.

**ნანტი:** ბარტეზი, გიონი, პიერი, დას ნევესი, სეტო, და როშა, კაპუეი (86. როსი), სა, ვენკორი (69. დიმიტრიევიჩი), დიალო, ზაირი (46. ოლიეში).

**გაფრთხილება:** 0-2

**მაყურებელი:** 34 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 25 | 18 | 3 | 4 | 44-18 | 57 |
| 2. ლანსი | 25 | 12 | 8 | 5 | 38-27 | 44 |
| 3. ლილი | 25 | 10 | 9 | 6 | 31-23 | 39 |
| 4. სოშო | 25 | 10 | 9 | 6 | 27-25 | 39 |
| 5. მარსელი | 25 | 11 | 5 | 9 | 31-24 | 38 |
| 6. ტულუზა | 25 | 11 | 5 | 9 | 27-28 | 38 |
| 7. ბორდო | 25 | 11 | 3 | 11 | 26-28 | 36 |
| 8. სტ. ეტიენი | 25 | 10 | 6 | 9 | 39-33 | 36 |
| 9. რენი | 25 | 9 | 9 | 7 | 23-20 | 36 |
| 10. ლორიანი | 25 | 9 | 7 | 9 | 25-26 | 34 |
| 11. ნანსი | 25 | 9 | 7 | 9 | 22-26 | 34 |
| 12. ლე მანი | 25 | 8 | 10 | 7 | 30-29 | 34 |
| 13. ოსერი | 25 | 7 | 10 | 8 | 28-32 | 31 |
| 14. მონაკო | 25 | 8 | 6 | 11 | 29-28 | 30 |
| 15. ვალანსი | 25 | 8 | 4 | 13 | 25-37 | 28 |
| 16. პსჟ | 25 | 6 | 10 | 9 | 27-30 | 28 |
| 17. ტრუა | 25 | 6 | 9 | 10 | 24-34 | 27 |
| 18. ნიცა | 25 | 6 | 8 | 11 | 22-25 | 26 |
| 19. ნანტი | 25 | 4 | 10 | 11 | 19-31 | 22 |
| 20. სედანი | 25 | 3 | 10 | 12 | 31-44 | 19 |

**ბომბარდირები:** 9 - სავიდანი (ვალანსი); 8 - ის.ბანგურა (ლე მანი), დინდანე (ლანსი), პაულეტა (პსჟ), პაჟისი (მარსელი), ბოდმერი (ლილი), ილანი (სტ. ეტიენი); 7 - ჟუნინიო (ლიონი), მალუდა (ლიონი), ზიანი (სოშო), გინიაკი (ლორიანი), ფეინდუნო (სტ. ეტიენი), პიკიონი (სტ. ეტიენი), აკალე (ოსერი).

### II დივიზიონი

XXIV ტური

| | |
|---|---|
| ამიენი-რეიმსი | 2:1 |
| კრეტეი-გრენობლი | 1:1 |
| დიჟონი-ბასტია | 0:0 |
| გინგამი-ისტრი | 3:0 |
| ჰავრი-აიაჩო | 4:1 |
| მონპელიე-ბრესტი | 0:0 |
| ნიორი-ლიბურნი | 2:0 |
| ტური-გენიონი | 2:1 |
| შატორუ-სტრასბური | 1:1 |
| მეცი-კაენი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეცი | 23 | 14 | 7 | 2 | 32-12 | 49 |
| 2. კაენი | 24 | 13 | 9 | 2 | 42-22 | 48 |
| 3. ჰავრი | 25 | 12 | 10 | 3 | 39-19 | 46 |
| 4. სტრასბური | 25 | 12 | 10 | 3 | 31-20 | 46 |
| 5. ამიენი | 25 | 12 | 4 | 9 | 32-30 | 40 |
| 6. შატორუ | 25 | 11 | 6 | 8 | 30-28 | 39 |
| 7. დიჟონი | 25 | 10 | 8 | 7 | 26-25 | 38 |
| 8. გრენობლი | 25 | 8 | 11 | 6 | 35-28 | 35 |
| 9. ბასტია | 25 | 9 | 8 | 8 | 32-29 | 35 |
| 10. რეიმსი | 25 | 9 | 7 | 9 | 30-29 | 34 |
| 11. გენიონი | 25 | 9 | 5 | 11 | 28-34 | 32 |
| 12. აიაჩო | 25 | 8 | 7 | 10 | 28-29 | 31 |
| 13. მონპელიე | 25 | 7 | 7 | 11 | 27-31 | 28 |
| 14. ლიბურნი | 24 | 7 | 6 | 11 | 30-35 | 27 |
| 15. ბრესტი | 25 | 4 | 13 | 8 | 25-29 | 25 |
| 16. ნიორი | 25 | 5 | 9 | 11 | 23-33 | 24 |
| 17. კრეტეი | 25 | 5 | 9 | 11 | 19-34 | 24 |
| 18. გინგამი | 25 | 4 | 10 | 11 | 24-30 | 22 |
| 19. ისტრი | 25 | 5 | 7 | 13 | 19-38 | 22 |
| 20. ტური | 25 | 5 | 5 | 15 | 21-38 | 20 |

## საბერძნეთი

XXII ტური

| | |
|---|---|
| ეგალეო-იონიკოსი | 3:1 |
| პაოკ-არისი | 1:0 |
| ირაკლისი-ერგოტელისი | 0:1 |
| ოფი-აპოლონი | 2:0 |
| კერკირა-ქსანთი | 0:0 |
| ლარისა-პანიონიოსი | 1:0 |
| ოლიმპიაკოსი-ატრომიტოსი | 4:1 |
| აეკ-პანათინაიკოსი | 1:4 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 22 | 18 | 2 | 2 | 49-15 | 56 |
| 2. პანათინაიკოსი | 22 | 14 | 3 | 5 | 38-20 | 45 |
| 3. აეკ | 22 | 12 | 7 | 3 | 42-19 | 43 |
| 4. პაოკ | 22 | 9 | 5 | 8 | 23-21 | 32 |
| 5. არისი | 22 | 6 | 12 | 4 | 20-18 | 30 |
| 6. ოფი | 22 | 8 | 6 | 8 | 27-29 | 30 |
| 7. ლარისა | 22 | 7 | 7 | 8 | 23-29 | 28 |
| 8. ერგოტელისი | 22 | 7 | 6 | 9 | 21-22 | 27 |
| 9. ატრომიტოსი | 22 | 6 | 9 | 7 | 30-35 | 27 |
| 10. ქსანთი | 22 | 6 | 8 | 8 | 13-14 | 26 |
| 11. კერკირა | 22 | 6 | 8 | 8 | 21-23 | 26 |
| 12. ეგალეო | 22 | 7 | 5 | 10 | 23-29 | 26 |
| 13. პანიონიოსი | 22 | 6 | 8 | 8 | 17-24 | 26 |
| 14. აპოლონი | 22 | 6 | 7 | 9 | 18-26 | 25 |
| 15. ირაკლისი | 22 | 6 | 4 | 12 | 20-28 | 22 |
| 16. იონიკოსი | 22 | 2 | 3 | 16 | 9-42 | 4 |

*იონიკოსს დაკლებული აქვს 5 ქულა*

## თურქეთი

XXI ტური

| | |
|---|---|
| ქონია-ბეშიქთაში | 2:1 |
| ბურსა-რიზე | 1:0 |
| გაზიანთეფი-გალათასარაი | 1:0 |
| ქაისერი-ერჩიესი | 1:0 |
| შივასი-ანთალია | 0:1 |
| მანიშა-ანკარაგიუჯუ | 0:1 |
| ანკარასპორი-გენჩლერი | 1:2 |
| დენიზლი-ტრაბზონი | 3:4 |
| ფენერბაჩე-საქარია | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფენერბაჩე | 21 | 13 | 5 | 3 | 40-19 | 44 |
| 2. გალათასარაი | 21 | 10 | 7 | 4 | 38-21 | 37 |
| 3. ბეშიქთაში | 21 | 10 | 6 | 5 | 29-19 | 36 |
| 4. ქაისერი | 21 | 9 | 7 | 5 | 27-20 | 34 |
| 5. გენჩლერი | 21 | 10 | 3 | 8 | 24-22 | 33 |
| 6. ქონია | 21 | 8 | 7 | 6 | 27-24 | 31 |
| 7. შივასი | 21 | 9 | 4 | 8 | 22-24 | 31 |
| 8. მანიშა | 21 | 8 | 5 | 8 | 33-31 | 29 |
| 9. ბურსა | 21 | 8 | 5 | 8 | 23-23 | 29 |
| 10. ტრაბზონი | 21 | 7 | 6 | 8 | 26-24 | 27 |
| 11. გაზიანთეფი | 21 | 7 | 6 | 8 | 21-27 | 27 |
| 12. ანკარა | 21 | 5 | 11 | 5 | 23-23 | 26 |
| 13. ანკარაგიუჯუ | 21 | 6 | 8 | 7 | 22-22 | 26 |
| 14. ანთალია | 21 | 6 | 8 | 7 | 21-22 | 26 |
| 15. რიზე | 21 | 7 | 3 | 11 | 17-23 | 24 |
| 16. დენიზლი | 21 | 4 | 7 | 10 | 17-28 | 19 |
| 17. საქარია | 21 | 3 | 7 | 11 | 12-27 | 16 |
| 18. ერჩიესი | 21 | 3 | 7 | 11 | 17-40 | 16 |

## ჰოლანდია

XXV ტური

| | |
|---|---|
| ვილემი-დენ ჰააგი | 2:1 |
| ბრედა-სპარტა | 3:1 |
| ჰერაკლესი-ეინდჰოვენი | 0:2 |
| ნიიმეგენი-ვაალვიკი | 1:0 |
| ვიტესი-როდა | 0:0 |
| აიაქსი-ექსელსიორი | 2:2 |
| ფეიენოორდი-უტრეხტი | 2:0 |
| გრონინგენი-ალკმაარი | 1:1 |
| ჰერენვეენი-ტვენტე | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ეინდჰოვენი | 25 | 19 | 3 | 3 | 61-15 | 60 |
| 2. აიაქსი | 25 | 17 | 4 | 4 | 60-27 | 57 |
| 3. ალკმაარი | 25 | 16 | 6 | 3 | 66-25 | 54 |
| 4. ტვენტე | 25 | 16 | 5 | 4 | 55-27 | 53 |
| 5. ფეიენოორდი | 25 | 14 | 3 | 8 | 48-48 | 45 |
| 6. ჰერენვეენი | 25 | 11 | 5 | 9 | 42-32 | 38 |
| 7. ბრედა | 25 | 11 | 5 | 9 | 34-35 | 38 |
| 8. როდა | 25 | 10 | 7 | 8 | 30-31 | 37 |
| 9. გრონინგენი | 25 | 10 | 5 | 10 | 38-44 | 35 |
| 10. ნიიმეგენი | 25 | 9 | 7 | 9 | 25-28 | 34 |
| 11. უტრეხტი | 25 | 9 | 6 | 10 | 29-35 | 33 |
| 12. ვიტესი | 24 | 8 | 6 | 10 | 37-37 | 30 |
| 13. სპარტა | 25 | 8 | 3 | 14 | 30-49 | 27 |
| 14. ვილემი | 25 | 6 | 3 | 16 | 25-55 | 21 |
| 15. ჰერაკლესი | 25 | 4 | 7 | 14 | 20-48 | 19 |
| 16. ექსელსიორი | 25 | 4 | 5 | 16 | 31-50 | 17 |
| 17. ვაალვიკი | 25 | 3 | 7 | 15 | 21-48 | 16 |
| 18. დენ ჰააგი | 24 | 3 | 5 | 16 | 27-45 | 14 |

### II დივიზიონი

XXVIII ტური

ჰაარლემი-ვენლო 0:1; როსენდალი-ვეენდამი 1:1; ტოპ ოსი-ომნივორლდი 4:5; აპელდოორნი-ცვოლე 1:2; კამბური-ეინდჰოვენი A 0:0; გრააფსხაპი-ფორტუნა 4:1; დორდრეხტი-დენ ბოში 0:4; ემენი-მაასტრიხტი 0:0; იგლზი-ჰელმონდი 1:2; ვოლენდამი-ტელსტარი 4:1.

## ხორვატია

XIX ტური

| | |
|---|---|
| ვარტექსი-სლავენი | 0:0 |
| ზაგრები-შიბენიკი | 3:0 |
| სიბალია-მედიმურიე | 0:3 |
| ჰაიდუკი-ოსიეკი | 3:0 |
| კამენი-პულა | 1:0 |
| რიეკა-დინამო | 2:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 19 | 16 | 2 | 1 | 49-16 | 50 |
| 2. ჰაიდუკი | 19 | 15 | 2 | 2 | 35-10 | 47 |
| 3. ზაგრები | 19 | 11 | 1 | 7 | 30-19 | 34 |
| 4. შიბენიკი | 19 | 9 | 3 | 7 | 29-25 | 30 |
| 5. მედიმურიე | 19 | 9 | 1 | 9 | 28-29 | 28 |
| 6. ვარტექსი | 19 | 8 | 4 | 7 | 29-31 | 28 |
| 7. სლავენი | 19 | 7 | 3 | 9 | 19-23 | 24 |
| 8. რიეკა | 19 | 7 | 2 | 10 | 31-34 | 23 |
| 9. ოსიეკი | 19 | 5 | 7 | 7 | 18-29 | 22 |
| 10. პულა | 19 | 4 | 6 | 9 | 18-24 | 18 |
| 11. სიბალია | 19 | 3 | 2 | 14 | 16-36 | 11 |
| 12. კამენი | 19 | 3 | 1 | 15 | 18-44 | 10 |

## პორტუგალია

XVIII ტური

| | |
|---|---|
| პორტუ-ნავალი | 4:0 |
| ბოავიშტა-სეტუბალი | 1:1 |
| ფერეირა-სპორტინგი | 1:1 |
| ავეში-მარიტიმუ | 1:1 |
| ამადორა-ბეირა მარი | 2:2 |
| ნასიონალი-ბენფიკა | 0:2 |
| ლეირია-ბრაგა | 1:0 |
| ბელენენსეში-აკადემიკა | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 18 | 14 | 1 | 3 | 38-10 | 43 |
| 2. ბენფიკა | 18 | 12 | 3 | 3 | 36-14 | 39 |
| 3. სპორტინგი | 18 | 11 | 5 | 2 | 29-12 | 38 |
| 4. ბრაგა | 18 | 8 | 4 | 6 | 24-23 | 28 |
| 5. ლეირია | 18 | 8 | 4 | 6 | 15-16 | 28 |
| 6. ფერეირა | 18 | 6 | 8 | 4 | 20-23 | 26 |
| 7. მარიტიმუ | 18 | 7 | 4 | 7 | 21-23 | 25 |
| 8. ბელენენსეში | 17 | 7 | 3 | 7 | 17-16 | 24 |
| 9. ნასიონალი | 18 | 7 | 3 | 8 | 25-25 | 24 |
| 10. ნავალი | 18 | 6 | 6 | 6 | 15-17 | 24 |
| 11. ამადორა | 18 | 5 | 6 | 7 | 12-19 | 21 |
| 12. ბოავიშტა | 18 | 4 | 8 | 6 | 20-22 | 20 |
| 13. აკადემიკა | 17 | 4 | 4 | 9 | 19-25 | 16 |
| 14. ბეირა მარი | 18 | 2 | 7 | 9 | 18-33 | 13 |
| 15. სეტუბალი | 18 | 3 | 4 | 11 | 10-27 | 13 |
| 16. ავეში | 18 | 2 | 4 | 12 | 11-25 | 10 |

### II დივიზიონი

XVIII ტური

მოსკავიდე-რიუ ავე 1:3; შავეში-ტროფენსე 2:1; ჟილ ვისენტე-ეშტორილი 0:0; სანტა კლარა-ფეირენსე 2:1; ვარზიმი-გონდომარი 2:0; პენაფიელი-გიმარაეში 0:2; ვიზელა-ოლანენსე 1:0; ლეიქსოეში-პორტიმონენსე 0:0.

## არგენტინა

II ტური

| | |
|---|---|
| ლანუსი-ბანფილდი | 2:1 |
| ბელგრანო-ინდეპენდიენტე | 0:0 |
| ნიუელსი-რივერი | 1:2 შეწყდა |
| არსენალი-გოდოი | 2:1 |
| კოლონი-სან ლორენსო | 1:1 |
| ხიმნასია (ხ)-ესტუდიანტესი | 0:0 |
| არგ. ხუნიორსი-ნუევა ჩიკაგო | 3:0 |
| კილმესი-ხიმნასია (ლ) | 2:2 |
| ბოკა-როსარიო | 1:1 |
| რასინგი-ველესი | გვ. დასრულდა |

## მექსიკა

VI ტური

| | |
|---|---|
| ხაგუარესი-მორელია | 2:1 |
| ვერაკრუსი-სან ლუისი | 2:1 |
| ატლანტე-ჩივასი | 0:3 |
| კრუს ასული-კერეტარო | 0:0 |
| მონტერეი-ნეკაქსა | 2:2 |
| პაჩუკა-პუმასი | 0:0 |
| ატლასი-ტიგრესი | 2:0 |
| ტოლუკა-ამერიკა | 2:2 |
| ს. ლაგუნა-ტეკოსი | გვ. დასრულდა |

## ბელგია

XXII ტური

| | |
|---|---|
| მონსი-ბრიუგე | 1:0 |
| ბევერენი-ლოკერენი | 3:2 |
| ანდერლეხტი-მუსკრონი | 2:1 |
| რუზელარე-შარლერუა | 1:2 |
| სტ.ტრუიდენი-ვესტერლო | 0:2 |
| სტანდარდი-ლიერსი | 3:2 |
| ბეერსხოტი-ბრიუსელი | 3:0 |
| გენტი-გენკი | 1:3 |
| სერკლი-ვარეგემი | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გენკი | 22 | 15 | 5 | 2 | 50-21 | 50 |
| 2. ანდერლეხტი | 22 | 15 | 5 | 2 | 43-21 | 50 |
| 3. სტანდარდი | 22 | 13 | 4 | 5 | 46-29 | 43 |
| 4. გენტი | 22 | 12 | 4 | 6 | 36-27 | 40 |
| 5. ბრიუგე | 22 | 10 | 6 | 6 | 39-23 | 36 |
| 6. შარლერუა | 22 | 10 | 6 | 6 | 29-25 | 36 |
| 7. ვესტერლო | 22 | 10 | 4 | 8 | 28-26 | 34 |
| 8. რუზელარე | 22 | 8 | 7 | 7 | 34-33 | 31 |
| 9. ბეერსხოტი | 22 | 8 | 6 | 8 | 29-32 | 30 |
| 10. ვარეგემი | 22 | 6 | 7 | 9 | 25-29 | 25 |
| 11. სერკლი | 22 | 7 | 4 | 11 | 18-24 | 25 |
| 12. სტ. ტრუიდენ | 22 | 7 | 3 | 12 | 28-35 | 24 |
| 13. ბრიუსელი | 22 | 5 | 9 | 8 | 23-29 | 24 |
| 14. მონსი | 22 | 6 | 5 | 11 | 19-29 | 23 |
| 15. მუსკრონი | 22 | 5 | 7 | 10 | 30-40 | 22 |
| 16. ბევერენი | 22 | 5 | 5 | 12 | 21-36 | 20 |
| 17. ლოკერენი | 22 | 4 | 8 | 10 | 19-30 | 20 |
| 18. ლიერსი | 22 | 3 | 3 | 16 | 16-42 | 12 |

### II დივიზიონი

XXII ტური

ვირტონი-სტ.ჟილი 2:0; ლომელი-დაინცე 0:2; მეხელენი-ვაასლანდი 1:1; ჰამეტუბეკე 2:0; რასინგი-ჰევერლე 0:2; რონსედენდერი 0:4; ოსტენდე-დესელი 0:0; კორტრიიკი-ეუპენი 3:1; ტინენი-ანტვერპენი 3:2.

## შვეიცარია

XX ტური

| | |
|---|---|
| ბაზელი-ლუცერნი | 1:0 |
| ტუნი-გრასჰოპერსი | 0:2 |
| ციურიხი-იანგ ბოიზი | 1:0 |
| არაუ-შაფჰაუზენი | 3:2 |
| სიონი-სტ. გალენი | 0:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ციურიხი | 20 | 14 | 2 | 4 | 39-17 | 44 |
| 2. სტ. გალენი | 20 | 12 | 2 | 6 | 32-24 | 38 |
| 3. ბაზელი | 20 | 11 | 3 | 6 | 43-31 | 36 |
| 4. გრასჰოპერსი | 20 | 10 | 5 | 5 | 36-19 | 35 |
| 5. სიონი | 20 | 9 | 5 | 6 | 35-30 | 32 |
| 6. იანგ ბოიზი | 20 | 9 | 3 | 8 | 30-27 | 30 |
| 7. ლუცერნი | 20 | 6 | 4 | 10 | 21-27 | 22 |
| 8. ტუნი | 20 | 4 | 5 | 11 | 13-37 | 17 |
| 9. შაფჰაუზენი | 20 | 3 | 6 | 11 | 21-37 | 15 |
| 10. არაუ | 20 | 4 | 1 | 15 | 17-38 | 13 |

### ჩელენჯლიგა

XVIII ტური

კიასო-ბელინცონა 0:1; ვილი-დელემონი 8:1; ვოლენი-კრინსი 1:2; ვინტერტური-ივერდონი 2:1; ლოზანა-იუვენტუსი 3:0; ლოკარნო-ლუგანო 1:0; სერვეტი-ვადუცი 3:1; ქსამაქსი-ფონდსი 3:2; კონკორდია-ბოლმსი 2:1.

## შოტლანდია

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| აბერდინი-სელტიკი | 1:2 |
| დანფერმლაინი-კილმარნოკი | 1:1 |
| ჰართსი-სტ.მირენი | 1:1 |
| მოზერველი-ინვერნესი | 1:0 |
| დანდი იუნ-ჰიბერნიანი | 0:0 |
| რეინჯერსი-ფალკირკი | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 28 | 22 | 5 | 1 | 55-21 | 71 |
| 2. რეინჯერსი | 28 | 15 | 7 | 6 | 46-24 | 52 |
| 3. აბერდინი | 28 | 13 | 6 | 9 | 38-26 | 45 |
| 4. ჰართსი | 28 | 12 | 9 | 7 | 36-25 | 45 |
| 5. ჰიბერნიანი | 28 | 11 | 7 | 10 | 46-32 | 40 |
| 6. კილმარნოკი | 28 | 10 | 7 | 11 | 36-44 | 37 |
| 7. დანდი იუნ | 28 | 8 | 8 | 12 | 29-48 | 34 |
| 8. ფალკირკი | 27 | 10 | 3 | 14 | 34-35 | 33 |
| 9. მოზერველი | 26 | 9 | 4 | 13 | 32-42 | 31 |
| 10. ინვერნესი | 28 | 7 | 10 | 11 | 30-37 | 31 |
| 11. სტ. მირენი | 27 | 5 | 9 | 13 | 23-41 | 24 |
| 12. დანფერმლა | 28 | 3 | 7 | 18 | 14-44 | 16 |

### I დივიზიონი

XXVI ტური

ეირდრი-ქუინი 0:3; დანდი-კლაიდი 1:4; გრეტნა-როსი 4:1; ლივინგსტონი-პარტიკი 0:1; სტ.ჯონსტონი-ჰამილტონი 4:2.

### II დივიზიონი

XXVI ტური

კოუდენბითი-ბრეჩინი 0:3; ფორფარიალოა 0:2; მორტონი-ეირი 4:2; პიტერჰედირეითი 0:0; სტირლინგი-სტრანრარი 0:2.

### III დივიზიონი

XXVI ტური

ბირუიკი-სტენჰაუზმური 2:1; ისტ ფაიფი-არბროა 1:2; ისტ სტირლინგი-ალბიონი 0:0; მონროუზი-ელჯინი 0:1; ქუინზ პარკი-დამბარტონი 2:0.

## სერბეთი

XVII ტური

| | |
|---|---|
| ბორაცი-სარტიდი | 0:0 |
| ბანატი-ოფკ | 1:0 |
| ჰაიდუკი-ზემუნი | 1:0 |
| პარტიზანი-მლადოსტი | 1:0 |
| ვოივოდინა-ვოჟდოვაცი | 1:0 |
| ბეჟანია-ცრვენა ზვეზდა | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ცრ. ზვეზდა | 17 | 13 | 3 | 1 | 28-8 | 42 |
| 2. პარტიზანი | 17 | 9 | 3 | 5 | 23-15 | 30 |
| 3. მლადოსტი | 17 | 8 | 5 | 4 | 16-9 | 29 |
| 4. ოფკ | 17 | 7 | 7 | 3 | 21-10 | 28 |
| 5. ბეჟანია | 17 | 5 | 10 | 2 | 20-14 | 25 |
| 6. ვოივოდინა | 17 | 7 | 3 | 7 | 13-14 | 24 |
| 7. ჰაიდუკი | 17 | 7 | 1 | 9 | 12-18 | 22 |
| 8. ბანატი | 17 | 6 | 4 | 7 | 14-19 | 22 |
| 9. სარტიდი | 17 | 4 | 7 | 6 | 12-16 | 19 |
| 10. ბორაცი | 17 | 4 | 5 | 8 | 8-13 | 17 |
| 11. ვოჟდოვაცი | 17 | 4 | 5 | 8 | 13-21 | 17 |
| 12. ზემუნი | 17 | 0 | 3 | 14 | 5-28 | 3 |

## როიალლიგა

| | |
|---|---|
| ოდენსე-ჰელსინგბორგი | 3:0 |
| ბრონდბიუ-კოპენჰაგენი | 1:3 |

## ინგლისი

### ჩემპიონატი

XXXIII ტური

| | |
|---|---|
| კრ.პალასი-ბირმინგემი | 0:1 |
| კარდიფი-ლიდსი | 1:0 |
| ლესტერი-კოვენთრი | 3:0 |
| საუთჰემპტონი-ბარნსლი | 5:2 |
| სტოკი-ლუტონი | 0:0 |
| სანდერლენდი-საუთენდი | 4:0 |
| ვულვზი-ბარნლი | 2:1 |

### I ლიგა

XXXIII ტური

| | |
|---|---|
| ნორთჰემპტონი-ჯილინგემი | 1:1 |
| ბლეკპული-ბრისტოლი | 0:1 |
| ბრედფორდი-კრიუ | 0:1 |
| ბრაიტონი-ნოტინგემი | 2:1 |
| ჩელტენემი-ბორნმუთი | 1:0 |
| ჩესტერფილდი-პორტ ვეილი | 3:0 |
| დონკასტერი-სუონსი | 2:2 |
| ჰადერსფილდი-ბრენტფორდი | 0:2 |
| ლეიტონი-კარლაილი | 1:1 |
| ოლდჰემი-მილუოლი | 1:2 |
| სკანთორპი-როტერჰემი | 1:0 |
| იეოვილი-ტრანმერი | 0:2 |

### II ლიგა

XXXIII ტური

| | |
|---|---|
| უოლსოლი-ლინკოლნი | 1:2 |
| აკრინგტონი-სტოკპორტი | 0:1 |
| ბოსტონი-შრიუსბერი | 0:3 |
| როვერსი-მილტონი | 1:1 |
| ბერი-უიკომბი | 0:4 |
| ჰერეფორდი-ბარნეტი | 2:0 |
| მაკლსფილდი-პიტერბრო | 2:1 |
| მენსფილდი-გრიმსბი | 1:2 |
| ნოტსი-როჩდეილი | 1:2 |
| სუინდონი-დარლინგტონი | 1:1 |
| ტორკი-ჰარტლპული | 0:1 |
| რექსჰემი-ჩესტერი | 0:0 |

### კონფერენსი

XXXIII ტური

| | |
|---|---|
| ბარტონი-დაგენჰემი | 0:2 |
| ქროული-ალტრინჩემი | 1:1 |
| გრეისი-სტივენეიჯი | 0:2 |
| კიდერმინსტერი-ექსეტერი | 0:2 |
| მორეკამბი-კემბრიჯი | 2:2 |
| ნორთვიჩი-ფორესტ გრინი | 2:0 |
| ოქსფორდი-გრავესენდი | 1:0 |
| რაშდენი-სტ. ალბანსი | 1:0 |
| საუთპორტი-ალდერშოტი | 1:0 |
| სტეფორდი-ჰალიფაქსი | 2:3 |
| უოკინგი-ტამუორტი | 0:2 |
| იორკი-უეიმაუთი | 1:0 |

## ინგლისის თასი

### 1/8 ფინალი

| | |
|---|---|
| არსენალი-ბლექბერნი | 0:0 |
| უოტფორდი-იფსვიჩი | 1:0 |
| პლიმუტი-დერბი | 2:0 |
| ჩელსი-ნორვიჩი | 4:0 |
| მიდლსბრო-ვესტ ბრომვიჩი | 2:2 |
| მანჩესტერ იუნ-რედინგი | 1:1 |
| პრესტონი-მანჩესტერ სიტი | 1:3 |
| ფულჰემი-ტოტენჰემი | 0:4 |

ბარსელონა

# რატომ არ ითამაშა ეტოომ...

## რიიკაარდი არ მიდის?

გუშინ "ბარსელონა" "ვალენსიას" შეხვდა. **ფრანკ რიიკაარდმა** განაცხადში არ შეიყვანა **სამუელ ეტოო.** თამაშამდე ერთი დღით ადრე მწვრთნელმა პრესკონფერენცია გამართა და ჟურნალისტებს აუწყა, რომ თავდამსხმელმა თავად ითხოვა დასვენება: *"სამუელმა მითხრა, რომ ფიზიკური მომზადების დონე არ აკმაყოფილებს და სათამაშოდ მზად არ არის."*

მიმომხილველებს უმალ ეს კითხვა გაუჩნდათ - ითამაშებს თუ არა ეტოო ჩემპიონთა ლიგის პირველ მერვედფინალში. მოგეხსენებათ, ოთხშაბათს "ბარსელონა" "ლივერპულს" უმასპინძლებს. ეს გუნდები ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის ბოლო ორი გათამაშების გამარჯვებულები არიან. რიიკაარდს ამ კითხვაზე პასუხი არ გაუცია. ვალენსიელებთან წუხანდელ მატჩში ეტოოს ადგილი ისლანდიელ **ეიდურ გუდიონსენს** ერგო.

გასული კვირა ერთ-ერთი ყველაზე დრამატული იყო "ბარსელონის" ბოლო წლების ისტორიაში. გასულ უქმეებზე, "რასინგთან" მატჩში, ეტოომ თამაშზე უარი თქვა, მეორე დღეს კი მთავარი მწვრთნელი და კატალონიელთა ლიდერი **რონალდინიო** უკანასკნელი სიტყვებით გამოლანძღა. სამუელმა რიიკაარდს ცუდი ადამიანი უწოდა. ინციდენტი იმით დასრულდა, რომ ეტოო და რონალდინიო თანაგუნდელებმა შეარიგეს. ფეხბურთელი მწვრთნელსაც ესაუბრა, თუმცა შეხვედრა დახურულ კარს მიღმა შედგა და დეტალების შესახებ არავის არაფერი უთქვამს. დაპირისპირების შემდეგ რიიკაარდმა სამუელის სახელი პირველად მაშინ ახსენა, როცა საზოგადოებას ამცნო, რომ ფეხბურთელს "ვალენსიასთან" არ ათამაშებდა.



სამუელ ეტოომ ივარჯიშა, მაგრამ არ ითამაშა

გასული კვირის მიწურულს ესპანურმა სააგენტოებმა გვაუწყეს, რომ სეზონის დასრულებისთანავე ფრანკ რიიკაარდი თანამდებობას დატოვებდა. შაბათის პრესკონფერენციაზე მწვრთნელმა ეს სპეკულაციებიც უარყო: *"დავრჩები თუ არა? დიახ, დავრჩები. ვითარება გავაანალიზე და გადავწყვიტე, კონტრაქტის ამოწურვამდე (2009) ბარსელონაში ვიმუშაო. წასვლა არასოდეს მდომებია. "ბარსაში" ძალიან ბედნიერი ვარ. ამ კლუბში ყოფნა დიდი პატივია. ამპარტავნობა იქნებოდა იმის თქმა, რომ "ბარსელონას" კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ვუხელმძღვანელებ. ფეხბურთის სპეციფიკას კარგად ვიცნობ. არავინ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები მომავალში. მაგრამ ვიმეორებ - ამ ეტაპზე წასვლის სურვილი არ გამაჩნია. ადამიანებს, ვისთან ერთადაც ვმუშაობ, დიდ პატივს ვცემ."*

რიიკაარდის პრესკონფერენციის შემდეგ "ასის" კორესპონდენტი ცნობილ იტალიელ აგენტ **ერნესტო ბრონძეტის** დაუკავშირდა. ბრონძეტის შესანიშნავი კავშირები აქვს იტალიასა და ესპანეთში. ის "მილანის" სატრანსფერო კონსულტანტია. სინიორ ერნესტომ ესპანელ მიმომხილველებს საინტერესო ინფორმაცია მიანოდა. მისი ვარაუდით, "მილანისა" და "ბარსელონის" მწვრთნელები თანამდებობებს გაცვლიან. ბრონძეტი ამბობს, რომ გასულ ზაფხულს ანჩელოტისთან კონტრაქტის გაფორმება "რეალს" სურდა. კარლეტომ "მილანში" დარჩენა გადაწყვიტა. სანაცვლოდ სამეფო კლუბმა **ფაბიო კაპელო** გადაიბირა. ანჩელოტის "როსონერიდან" წასვლას უწინასწარმეტყველებენ. კარლეტოს კონტრაქტი 2008 წელს იწურება. მას არაერთხელ უთქვამს, რომ "მილანში" მხოლოდ იმ შემთხვევაში დარჩება, თუ სეზონს სასურველი შედეგით დაასრულებს. კლუბი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალშია და სერია A-ში მინიმუმ მეოთხე ადგილს უმიზნებს.




ნიუს ოფ ზე უორლდმა პორტუგალიაში მომხდარ სკანდალს ვრცელი სტატია მიუძღვნა

ლივერპული. სკანდალი

# ბელამიმ რიისეს გოლფის ჯოხი უთავაზა

მხიარულება დაუნდობელ ჩხუბში გადაიზარდა. "ლივერპულის" თავდამსხმელი **კრეიგ ბელამი** თანაგუნდელ **იონ არნე რიისეს** გოლფის ჯოხით დაესხა თავს და მძიმე ტრავმა მიაყენა.

გამაოგნებელი ინციდენტი პარასკევს, გამთენიისას პორტუგალიის საკურორტო ქალაქ ალგარვეში, მერსისაიდელების სასტუმროში მოხდა. იქამდე მთელი საღამო ლივერპულელები ერთ-ერთ ღამის კლუბში ილხენდნენ და უსიამოვნებასაც არაფერი მოასწავებდა.

"ნიუს ოფ ზე უორლდი" იუწყება, რომ კლუბში კარაოკე იყო მოწყობილი. ნასვამმა ბელამიმ რიისე სცენაზე მიიწვია. ნორვეგიელი არც ალკოჰოლს ეტანება და არც დიდი წვეულებების მოყვარულია. მას ჩრდილში ყოფნა უყვარს. ამიტომ თანაგუნდელებს სიმღერაზე უარი უთხრა. კრეიგი არ მოეშვა. ბოლოს რიისემ ხმას აუწია და ასე სცადა მთვრალი უელსელის თავიდან მოშორება. პირველი დაპირისპირებაც ამ დროს მოხდა. **სტივ ჯერარდისა** და **პიტერ კრაუჩის** ჩარევის შედეგად, მდგომარეობა სწრაფად განიმუხტა. დილის 2 საათისთვის ფეხბურთელები სასტუმროში დაბრუნდნენ.

იქ კი მოვლენები ელვის უსწრაფესად და ყოვლად მოულოდნელი სცენარით განვითარდა. ბელამიმ გოლფის ჯოხს დაავლო ხელი, რიისეს ოთახში შეუვარდა და ფეხებში რამდენჯერმე უთავაზა. ვითარება ისე დაიძაბა, რომ **რაფა ბენიტესი** გამოიძახეს. მწვრთნელმა სამკვდროდ გადაკიდებული ფეხბურთელები ძლივს გააშველა. როცა ემოციები ჩაცხრა, მან ორივე თავის ოთახში იხმო და საგანგებო შეხვედრები გამართა. "ლივერპულის" ოფიციალურმა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კომენტარის გასაკეთებლად მზად არ არიან. ჟურნალისტებთან ურთიერთობისგან თავის შეკავება სთხოვეს სასტუმრო "ბარინგტონს სენტრო დეპორტივოს" თანამშრომლებსაც, რომლებიც დაპირისპირების უნებლიე თვითმხილველნი გახდნენ. პარასკევს ლივერპულელები ინგლისში დაბრუნდნენ, თუმცა მომხდარზე საუბრის სურვილი არავის გამოუთქვამს. მიმომხილველებს ძალიან მწირი ინფორმაცია აქვთ. ისინი ვარაუდობენ, რომ თუ ბელამის ბრალეულობა დამტკიცდება, მას ბარგის ჩალაგება და გუნდიდან წასვლა მოუწევს.

"ლივერპული" პორტუგალიაში ერთკვირიან შეკრებაზე იმყოფებოდა. გუნდი "პორტუსთან" ჩემპიონთა ლიგის პირველი მერვედფინალისთვის ემზადება. ეს პირველი სერიოზული მატჩია, რომელსაც მერსისაიდელები ამერიკული ინვესტორების, **ჯორჯ ჯილეტისა** და **ტომ ჰიკსის** მისვლის შემდეგ ჩაატარებენ. თამაშს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ბენიტესმა პორტუგალიაში გამგზავრებაც საგანგებოდ დაგეგმა, თუმცა შეკრების ასე დასრულებას ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდა. ინციდენტმა ჯილეტისა და ჰიკსის ყურამდეც მიაღწია. პრივატულ საუბრებში მათ უკვე გამოთქვეს შეშფოთება და უკმაყოფილება.

მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ პორტუგალიური სააგენტოები სხვა ინციდენტების შესახებაც გვაუწყებენ. კერძოდ, ღამის კლუბის თანამშრომლებმა აურზაურის გამო პოლიცია გამოიძახეს. სამართალდამცველებსა და "ლივერპულის" რამდენიმე ფეხბურთელს შორის დაპირისპირება მოხდა, რის შედეგადაც ამ უკანასკნელთ (დასახელებულია **იერჟი დუდეკი**) ხელბორკილები დაადეს.

# ვილია: უარი ბენიტესს

## ვორონინი ლევერკუზენიდან ენფილდს მიაშურებს

"ვალენსიის" საუკეთესო ბომბარდირ **დავიდ ვილიას** "ლივერპულში" გადასვლა არ სურს. ფეხბურთელს საუცხოო ურთიერთობა აქვს მერსისაიდელთა მწვრთნელ **რაფა ბენიტესთან**. ინგლისური გრანდის გოლკიპერი **პეპე რეინა** მისი უახლოესი მეგობარია. ამ ორი ადამიანის გამო ვილია ლივერპულის ხშირი სტუმარია. ინგლისურმა ტაბლოიდებმა ივარაუდეს, რომ ზაფხულში დავიდი ბენიტესის უმთავრესი სამიზნე იქნებოდა. აი, ვილიას კომენტარი: *"ლივერპული" შესანიშნავი ქალაქია, მაგრამ მე ესპანეთში თამაში მირჩევნია. იქ ჩემი ხალხი ცხოვრობს და ისინი ჩემს მშობლიურ ენაზე ლაპარაკობენ. სიმართლე გითხრათ, უცხოეთში წასვლაზე არასოდეს მიფიქრია."* კითხვაზე, აპირებს თუ არა "რეალში" გადასვლას, ფორვარდმა მიუგო: *"მადრიდელებს უკლებლივ ყველას ყიდვა უნდათ. "რეალი" დიდი გუნდია და შესანიშნავი ფეხბურთელები ჰყავს, მაგრამ დღესდღეობით კრიზისშია."*




ანდრეი ვორონინი

ვილიასი რა მოგახსენოთ, მაგრამ ლევერკუზენელი თავდამსხმელი **ანდრეი ვორონინი** ნამდვილად "ლივერპულში" ჩაირიცხება. 27 წლის უკრაინელმა მერსისაიდელებთან წინასწარი კონტრაქტი გააფორმა. მომდევნო ოთხ სეზონს ის "ენფილდ როუდზე" გაატარებს. ვორონინმა ბუნდესლიგის მიმდინარე გათამაშებაში 20 მატჩი ჩაატარა და 6 გოლი შეაგდო. ის პირველი ფეხბურთელი იქნება, რომელსაც "ლივერპული" ამერიკელი ინვესტორების მისვლის შემდეგ დაიმატებს.

"ბარსელონა"-"ლივერპულის" მოახლოებულ მატჩს ლეგენდარული **იოჰან კრუიფი** გამოეხმაურა. ის კატალონიელთა პრეზიდენტ **ხოან ლაპორტას** მრჩეველია. კრუიფმა მერსისაიდელთა თამაში მიმოიხილა: *"ჩემი აზრით, "ბარსა"-"ლივერპული" ჩემპიონთა ლიგის ყველაზე საინტერესო მერვედფინალური წყვილია. "ბარსელონა", შეგვიძლია, ფავორიტად მივიჩნიოთ, მაგრამ ბოლო დროს "ლივერპულმაც" საგრძნობლად მოუმატა. განსაკუთრებით აღსანიშნავია კუიტისა და კრაუჩის დუეტი თავდასხმაში. კრაუჩი გაცილებით უფრო ტექნიკურია, ვიდრე ბევრს ჰგონია. კუიტს კი პოზიციური თამაში გამოარჩევს. ეს ფეხბურთელები მეორე სართულზე თითქმის ყველა ორთაბრძოლას იგებენ. თუ "ბარსელონა" უკან დაიხევს და "ლივერპულს" საჯარიმოში ჩაწოდების საშუალებას მისცემს, პრობლემები შეექმნება. ინგლისურ კლუბებთან თამაშისას სასურველია, ბურთი საკუთარი კარისგან, რაც შეიძლება, შორს დაიჭირო."*

რეალი

# ბექჰემის მერვე გაძევება

## მადრიდელები პრემიერლიგით დაინტერესდნენ: მოურინიო, ლემპარდი და კრისტიანო რონალდო

შაბათს "რეალი" "ბეტისთან" ვერაფერს გახდა და უგოლო ფრეს დასჯერდა. სამეფო კლუბმა ამ სეზონში შინ გამართული 11 მატჩიდან მხოლოდ 5 მოიგო და 12 გოლი გაიტანა. მადრიდულ გრანდს ასეთი სავალალო სტატისტიკა არასოდეს ჰქონია. **დევიდ ბექჰემმა** ზედიზედ მეორე მატჩი ჩაატარა ძირითადში. "სანტიაგო ბერნაბეუზე" მან ორთვიანი პაუზის შემდეგ ითამაშა და... წითელი ბარათი მიიღო. ბექჰემი, რომელიც მადრიდელთა მაისურით 150-ე შეხვედრას მართავდა, თამაშის მიწურულს გააძევეს. ის "ბეტისის" ნახევარმცველ **ისიდორო გომესს** ეუხეშა და არბიტრმა უყოყმანოდ მიუთითა გასახდელისკენ. ეს ბექზის კარიერაში მერვე წითელი ბარათი იყო - აქედან ექვსი მან "რეალში" ყოფნისას მიიღო. საგულისხმოა ისიც, რომ ამ ექვსიდან ოთხი წითელი ბარათი დევიდს "ბერნაბეუზე" აუფრიალეს. "სანმა" მკითხველს ბექჰემის ყველა გაძევება შეახსენა:

**30.06.98** ინგლისი-არგენტინა, სენტ ეტიენი, მსოფლიოს ჩემპიონატი;

**06.01.00** მანჩესტერი-ნეკაქსა, რიო დე ჟანეირო, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი;

**21.01.04** რეალი-ვალენსია, მადრიდი, ესპანეთის თასი;

**16.05.04** მურსია-რეალი, მურსია, პრიმერა დივიზიონი;

**08.10.05** ინგლისი-ავსტრია, მანჩესტერი, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი;

**23.10.05** რეალი-ვალენსია, მადრიდი, პრიმერა დივიზიონი;

**12.12.05** რეალი-ხეტაფე, მადრიდი, პრიმერა დივიზიონი;

**17.02.07** რეალი-ბეტისი, მადრიდი, პრიმერა დივიზიონი.

"რეალთან" დაკავშირებით კიდევ ერთ ინფორმაციას მოგაწვდით. ინგლისური "სანდი თაიმსი" იუწყება, რომ სამეფო კლუბის ხელმძღვანელობა **ჟოზე მოურინიოსთან** მოლაპარაკებების გამართვას აპირებს. პრემიერლიგით მადრიდელთა დაინტერესება ამით არ ამოიწურება. "რეალს" "ჩელსისა" და "მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავების - **ფრენკ ლემპარდისა და კრისტიანო რონალდოს** შეძენაც სურს. მოურინიოსა და რონალდოს ერთი აგენტი ჰყავთ - **ჟორჟე მენდესი**. ამ უკანასკნელმა "იუნაიტედის" ხელმძღვანელობას უკვე აუწყა, რომ თუ მათ პორტუგალიელი გარემარბის შენარჩუნება სურთ, ის მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად უნდა აქციონ.




ნამიც და დევიდ ბექჰემს კარიერაში მერვედ გააძევებენ

ჩელსი

# გასეირნება ფინალის წინ

## მოურინიომ აბრამოვიჩს პირობები წაუყენა, ბარსელონამ რობენს დაადგა თვალი

შაბათს "ჩელსიმ" "ნორვიჩს" 4:0 მოუგო და ასოციაციის თასის მეოთხედფინალში გააღწია. **ანდრეი შევჩენკომ** ერთი გოლი გაიტანა და ერთი საგოლე პასი მიითვალა. **ჟოზე მოურინიომ** სამი წამყვანი ფეხბურთელი არ ათამაშა - ცენტრალური მცველი **რიკარდო კარვალიო** და ცენტრალური ნახევარმცველები, **კლოდ მაკელელე** და **მიხაელ ბალაკი**. მწვრთნელმა ნაადრევად შეცვალა საუკეთესო ბომბარდირი **დიდიე დროგბა** და ვიცე-კაპიტანი **ფრენკ ლემპარდი**. შევჩენკომ და **მიკაელ ესიენმა** შეცვლაზე ითამაშეს. ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ მოურინიო "ნორვიჩზე" მეტად "პორტუსთან" ჩემპიონთა ლიგის პირველ მერვედფინალზე ფიქრობდა.

"არისტოკრატებს" კიდევ ერთი ფეხბურთელი დაუშავდათ. **ხალიდ ბულარუზმა**, რომელიც 2 იანვრის შემდეგ პირველად გამოჩნდა მინდორზე, მხარი ამოიგდო. ნამატჩევს მოურინიომ ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ბულარუზი კარგა ხანს ვერ დაგვეხმარება. მისმა ტრავმამ დღევანდელი საღამო გააუფერულა. ზედიზედ მეხუთე თამაში მოვიგეთ. ფეხბურთელები უფრო თავდაჯერებულები არიან. შუა კვირაში ნამდვილი ფინალი გველის. "პორტუსთან" მატჩი ჩემთვის ფინალის ტოლია."*

თითქმის თვენახევრიანი გაუჩინარების შემდეგ "სტემფორდ ბრიჯზე" გამოჩნდა "ჩელსის" ბოსი **რომან აბრამოვიჩი**. ჟოზეს მის შესახებაც ჰკითხეს: *"ის (აბრამოვიჩი) არ არის ვალდებული, ვინმეს ანგარიში ჩააბაროს, თუ როდის მოვა სტადიონზე და როდის არა. "ჩელსი" მისი კლუბია, ჩვენ კი მისი თანამშრომლები ვართ."* მოურინიომ აბრამოვიჩის დაბრუნებაზე უფრო დიდი მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ მომდევნო საშინაო მატჩამდე "სტემფორდ ბრიჯის" მინდორს გამოცვლიან. "პორტუსთან" ლიგის განმეორებით მერვედფინალს "არისტოკრატები" ბევრად უკეთეს ბალახზე გამართავენ.

გუშინდელმა "სანდი თაიმსმა" მოურინიოს შესახებ საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა. ტაბლოიდის მტკიცებით, პორტუგალიელი მწვრთნელი "ჩელსიში" დარჩენის სანაცვლოდ ტრანსფერებზე სრულ კონტროლსა და ხელფასის მომატებას ითხოვს. "სანდი თაიმსი" ვარაუდობს, რომ კლუბი ამ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს. შანსი იმისა, რომ ახალი სეზონიდან ლონდონურ გრანდს სხვა მწვრთნელი ეყოლება, დაახლოებით 50 პროცენტია. მოურინიომ "ჩელსისთან" ახალი კონტრაქტი 2005 წლის აპრილში გააფორმა. შეთანხმება 2010 წლამდე მოქმედებს, ჟოზე წლიური შემოსავალი კი 5.2 მილიონი გირვანქაა. იმ ეტაპზე მოურინიო "ჩელსის" ყველაზე მაღალანაზღაურებადი თანამშრომელი იყო, მაგრამ **მიხაელ ბალაკისა** და **ანდრეი შევჩენკოს** ტრანსფერების შემდეგ მას ეს სტატუსი ჩამოართვეს.

და კიდევ, "ბარსელონა" მზადაა, "არისტოკრატებს" **არიენ რობენის** სანაცვლოდ 15 მილიონი გირვანქა შესთავაზოს. კატალონიელებს მანჩესტერელი **კრისტიანო რონალდოს** შეძენა სურდათ, მაგრამ ხელი მოეცარათ. რონალდოს ალტერნატივად ჰოლანდიელ გარემარბს მოიაზრებენ. 23 წლის რობენი "ჩელსიში" 2004 წელს ჩაირიცხა და ხუთწლიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი.

### დელ პიერო: კარიერის მეექვსე ჰეთ თრიკი

სერია B-ს ბოლო ტურში "იუვენტუსმა" "კროტონეს" 5:0 მოუგო. სამი გოლი **ალესანდრო დელ პიერომ** გაიტანა. ტურინელთა კაპიტანმა კარიერაში მეექვსე ჰეთ თრიკი გააკეთა და ამ სეზონში უკვე 11 გოლი შეაგდო. "იუვეს" დანარჩენი ორი ბურთი **პაველ ნედვედისა** და **ფედერიკო ბალძარეტის** აქტივში ჩაიწერა. ნამატჩევს დელ პიერომ ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ბედნიერი ვარ, რომ სამი გოლი გავიტანე, მაგრამ უფრო მეტად გამახარა გუნდის სტაბილურმა ასპარეზობამ მთელი 90 წუთის განმავლობაში. შინ ყოველთვის სტაბილურად ვთამაშობთ, მაგრამ სტუმრად პრობლემები გვექმნება ხოლმე. დღევანდელი შედეგი ენთუზიაზმს შეგვმატებს."*

### ნიგერია: ფოგთსს ჰესლერი დაეხმარება

ნიგერიელთა თავკაცმა **ბერტი ბოგთსმა** მეორე მწვრთნელად გერმანიის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი **თომას ჰესლერი** დანიშნა. ჰესლერი მეორე ბუნდესლიგის კლუბ "კიოლნის" მწვრთნელის პოსტსაც შეინარჩუნებს. "კიოლნში" ის **კრისტოფ დაუმის** ასისტენტია. შეგახსენებთ, ჰესლერი 1990 წლის მსოფლიოსა და 1996 წლის ევროპის ჩემპიონია. 1992 წელს კი ის გერმანიის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. სუპერლიგა. XIII ტური

# NBA-დან ჩამოტანილი ოვერტაიმი

### ...და კოტე ტულუშის თერთმეტი თერთმეტში!



დინამო-თსუ. ნოდარ სიგუა და შიო ხეცურიანი (13)

ნუგზარ სუარიძის ფოტო

**მე-13 ტურში ფავორიტები აუტსაიდერ გუნდებს ეთამაშებოდნენ და სხვებისგან ნაკლებად სანახაობრივ მატჩებს ველოდით. მაგრამ მოხდა საპირისპირო - შაბათის ტური საინტერესო ამბებით დატვირთული გამოდგა.**

"დინამო"-თსუ-ს დაპირისპირებას ვერის დარბაზის ტრიბუნებიდან თვალს ის კაცი ადევნებდა, რომელსაც წელს NBA-ში 5 ოვერტაიმი აქვს ნათამაშები. ალბათ მიხვდით, საუბარია **ზაზა ფაჩულიაზე**, რომელმაც საქართველოში ჩამოსასვლელადაც მოიცალა და ვერის პარკში შემოსარბენადაც.

*"NBA-ში ვარსკვლავთა მატჩის გამო ერთკვირიანი შესვენება გამოცხადდა. მეც გადავწყვიტე, ეს დრო თბილისში გადმოსაფრენად და ახლობლების მოსანახულებლად გამომეყენებინა. საქართველოდან ორშაბათს მივფრინავ (20 თებერვალს "ჩიკაგოსთან" მატჩი მაქვს) და შეზღუდული დროის მიუხედავად, ამერიკაში მაინც დადებითი ემოციებით ვბრუნდები"*, - გვითხრა ზაზამ.

რა ემოციები უნდა ჰქონოდა NBA-ს მატჩებიდან მოულოდნელად თსუ-"დინამოზე" გადმორთულს? ამ კითხვაზე პასუხი თავად მატჩის მონაწილეებმა გასცეს: კლასითა და გამოცდილებით თსუ-ზე ("ატლანტაზე" ხომ საუბარიც არაა) დაბლა მდგომმა "დინამომ" სტუდენტებს თავი არ დაუხარა და...

როგორ ფიქრობთ, დასაწყისში ზაზას ხსენებამდე მის მიერ ნათამაშებ 5 ოვერტაიმს რატომ გავუსვით ხაზი? - საქმე ისაა, რომ თბილისში ფაჩულიას ჩამოსვლას მე-16 ჩემპიონატის პირველი ოვერტაიმი დაემთხვა. სიმართლე რომ ითქვას, დამატებით დროს არც თავად დინამოელები ელოდნენ. აკი თქვა მთავარმა მწვრთნელმა, **ზაზა ცაგარეიშვილმა** - ტრავმირებული უფრო მეტი გვყავს, ვიდრე ჯანმრთელიო. **ლაფანაშვილის, გვიმრაძისა და კეშელავას** არყოფნაში "დინამო" უნივერსიტეტთან უშანსოდ ჩანდა.

ამაში პირველმა ტაიმმაც დაგვარწმუნა - სტუდენტები თამაშს თანდათან აუმჯობესებდნენ და სხვაობასაც შესაბამისად ზრდიდნენ. დინამოელთა ზურგის ქარად "ქარიშხალა" **(ნიკო ნოზაძე)** გვევლინებოდა, რომელმაც საწყის 20 წუთში 4 ჩაჭრა და 16 ქულა მიითვალა.

მეორე ტაიმი სტუდენტებმა კვლავ დამაჯერებლად დაიწყეს, მაგრამ მათ მონდომებას დინამოს კალათბურთელების ემოციური და სწრაფი თამაში ანეიტრალებდა. ნოზაძეს მხარი სხვებმაც აუბეს - **ზურაბ ბადრიძემ, ირაკლი გულისაბედაშვილმა, ნოდარ სიგუამ...**

ამ უკანასკნელმა სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა და დაგვანახა, რომ საქართველოს კიდევ ერთი ნიჭიერი გამთამაშებელი ეზრდება. მწვრთნელი სიგუას შეცვლას ერიდებოდა კიდეც, მაგრამ მეოთხე პერიოდში ამის გაკეთება იძულებით მოუწია - ნოდარს 5 შენიშვნა დაუგროვდა.

ვიდრე მატჩის ბოლო წუთებზე შევჩერდებოდეთ, დიდ შესვენებაზე გამოცდილი ჟურნალისტის ნათქვამს შემოგთავაზებთ. როცა მას შეხვედრის პროგნოზირება ვთხოვეთ, დაჯერებულმა განაცხადა - ამ მატჩში "იქსი" ჯდებაო. ყველაფერი ასე აგიხდეთო, - ვერ დავწერდით სირენის გაჟღერებასთან ერთად დინამოელი ზურაბ ბადრიძის ორქულიანი კალათში რომ მოთავსებულიყო. *"არადა, ზუკას თავისუფლად შეეძლო სროლის ნაცვლად ფარქვეშ შესულიყო და მეტოქე მცველები უთუოდ დაჯარიმდებოდნენ. 86:86-ზე კი ერთი ჯარიმის გამოყენებაც გამარჯვების ტოლფასი იქნებოდა"*, - დანანებით გაიხსენა "დინამოს" მწვრთნელმა ზაზა ცაგარეიშვილმა.

ოვერტაიმში მატჩის ბედი ფაჩულიას უახლესმა მეგობარმა **შიო ხეცურიანმა** გადაწყვიტა - ჯერ ორი საჯარიმო ჩააგდო, შემდეგ თამაშში ერთადერთი სამქულიანი გამოიყენა და ერთი წუთით ადრე სხვაობა 3 ქულამდე გაზარდა (85:92). ამას მოჰყვა **ვიქტორ კოლუაშვილის** ორი ზუსტი საჯარიმო (94:95). ...და ნიკო ნოზაძის მეხუთე ჩაჭრა, რომლის შედეგაც იგი ფარქვეშ შეიჭრა და გმირობა აცილებულ ტყორცნასთან ერთად დაკარგა.

ასე და ამგვარად, "დინამომ" მიმდინარე სეზონში საუკეთესო თამაში ჩაატარა, თსუ-მ - პირიქით. გამარჯვება კი სტუდენტებს დარჩათ.

ამ ქვეთავში ტურის დარჩენილ ორ მატჩზე ვისაუბრებთ. "აზოტმა" იოლად დაამარცხა მთავარი მწვრთნელის, **ჯამლეტ ხუხაშვილისა** და ლიდერის, **გიორგი შერმადინის** გარეშე დარჩენილი "მაკაბი" (124:76). ისინი NBA-ს ვარსკვლავთა მატჩის სანახავად გაემგზავრნენ. ძმის არყოფნაში ლიდერობა **სოსო შერმადინმა** იკისრა - 21 ქულა და9 მოხსნა, მაგრამ მისი მონაგარი ზღვაში წვეთია და აზოტელი **კოტე ტულუშის** სტატისტიკასთან შედარებით კოტემ სასწაული ჩაიდინა და 11 სამქულიანიდან... როგორ ფიქრობთ, რამდენი გამოიყენა? სასწაულად ხსენებისთვის 11-დან 10-იც საკმარისი იქნებოდა, მაგრამ კოტემ ეს არ იკმარა - თერთმეტივე შორეული ტყორცნა გამოიყენა. გარდა ამისა, 5-დან 4 ორქულიანი, 5-დან 4 საჯარიმო ჩააგდო და ქულათა მონაგარიც ამ ციფრებით შეადგინა - 45. ამის შემდეგ ტურის MVP-სთან დაკავშირებული ყველა კითხვა მოიხსნა.

**ტურის საუკეთესო კალათბურთელი:** კოტე ტულუში - 45 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი, 4 ჩაჭრა, 1 დაფარება, 2 შეცდომა.

**ტურის მოვლენა:** ზაზას (ფაჩულიას) სტუმრობა და ზაზას (ცაგარეიშვილის) გუნდის მიერ დაფიქსირებული სეზონის პირველი ოვერტაიმი.

**ტურის ფრაზა:** "დინამო"-თსუ-ს მატჩის პირველ მეოთხედში ერთ-ერთმა თსუ-ელმა იატაკზე გაგორებული ბურთის შემაგრება ვერ მოახერხა და მწვრთნელის, ნუგზარ ჭეიშვილისგან ხმამაღალი შენიშვნა მიიღო - დაიხარე, რადიკულიტი ხომ არ გაქვს?!

**ვაჟა სიმონიშვილი**

**ვერა. 17 თებერვალი**

**სტუ-ავიამშენი 56:93**

22:22, 25:19, 14:20, 15:32

სტუ: ბაბუნაშვილი (7 ქ. 3 პ), სებისკვერაძე (22 ქ) , კოხრეიძე (14 ქ. 7 პ. 8 ჩ. 7შ), ძიძიგური, მაისურაძე (14 ქ. 7 მ), დევიძე (10 ქ), ახალკაცი (14 ქ. 8 მ. 3 პ), ბარბაქაძე (8 ქ), ლ. ნოზაძე (7 ქ. 5 მ)

ავიამშენი: დ. ბერიშვილი (14 ქ. 8 პ), მოსეშვილი (3 პ), ხოშტარია (15 ქ), ნიკოლაძე (24 ქ. 6 პ. 6 ჩ), კეიდია (17 ქ. 6 მ. 5 ფ), როდუმტა (8 ქ. 7 მ. 3 პ. 3 დ), სუხიშვილი (15 ქ. 7 მ. 5 ფ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, დ. არეშიძე

**მაკაბი-აზოტი 76:124**

16:31, 19:22, 23:33, 18:58

მაკაბი: დოლიძე (6 ქ. 5 პ), პერტენავა, ენუქიძე, ჯგერენაია (18 ქ), კორძაძე (8 ქ), კორკოტაძე (14 ქ. 6 შ), ს. შერმადინი (21 ქ. 9 მ), პირველაშვილი (9 ქ. 6 პ), ბარსეგიანი

აზოტი: ბოისა (7 ქ. 4 პ), დიდია (10 ქ. 7 პ), ცეკვავა (3 ქ. 4 პ), ტულუში (45 ქ. 3 პ. 4 ჩ), მარკოიშვილი (8 ქ. 5 მ. 4 პ), უგრეხელიძე (9 ქ), გოგობერიშვილი (3 ქ), ტუჯანი, ჭოჭუა (12 ქ. 3 პ), ბერძენიშვილი (14 ქ. 9 მ), მინაშვილი (13 ქ. 16 მ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, მ. ანდღულაძე

**დინამო-თსუ 94:97 ო.ტ.**

19:24, 25:29, 25:17, 17:16, 8:11

დინამო: გულისაბედაშვილი (21 ქ. 29 მ. 4 პ. 5 ჩ. 5 შ), ბადრიძე (17 ქ. 4 პ), ტაბატაძე, სიგუა (8 ქ. 5 პ. 5 ფ. 5 შ), ბოლქვაძე, მურჯიკნელი (7 ქ. 8 მ), ფაიქრიძე (1 ქ), ნ. ნოზაძე (23 ქ. 6 პ. 4 ჩ), კოლუაშვილი (17 ქ. 6 მ. 5 ფ. 3 დ)

თსუ: არწივიძე (11 ქ. 7 მ. 4 პ), ფანჩულიძე (16 ქ), ლეჟავა (16 ქ), ვეფხვაძე, შანიძე (19 ქ. 5 მ. 5 ფ), მათიაშვილი (15 ქ. 13 მ. 3 პ. 2 დ), სანიკიძე, ხეცურიანი (13 ქ. 76 მ. 3 პ), იმნაძე (4 ქ. 5 ფ), მ. ბერიშვილი (3 ქ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, ხ. გაბედავა.

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. აზოტი | 13 | 13 | 0 | 26 |
| 2. ავიამშენი | 13 | 11 | 2 | 24 |
| 3. თსუ | 13 | 8 | 5 | 21 |
| 4. დინამო | 13 | 3 | 10 | 16 |
| 5. მაკაბი | 13 | 2 | 11 | 15 |
| 6. სტუ | 13 | 2 | 11 | 15 |

მომდევნო ტური, 24 თებერვალი: სტუ-დინამო, თსუ-მაკაბი, ავიამშენი-აზოტი

## მძლეოსნობა



გოგონათა სამხტომი

ნუგზარ სუარიძის ფოტოები



დავით ილარიანი

საქართველოს ჩემპიონატი

# გარბენი, ხტომა, თარჯრბენი...

დიდუბის მძლეოსნობის მანეჟში დასრულდა საქართველოს ჭერქვეშა ჩემპიონატი. ტურნირზე გამოდიოდა ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა უძლიერესი სპორტსმენი. გამონაკლისი იყო მხოლოდ პეკინის ოლიმპიადაზე მოხვედრის კანდიდატი, ბირთვის მტყორცნელი **მარიამ ქევხიშვილი**, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს და იქვე ვარჯიშობს. ამას გარდა, ერთი თვეა უკრაინაში ემზადება ასევე ბირთვის მკვრელი, ნიჭიერი ახალგაზრდა **გიორგი ბედოშვილი**.

ორი დღის განმავლობაში, სენსაციები, ფაქტობრივად, არ მომხდარა. ყველა ფავორიტმა იმარჯვა. მთლიანობაში, საქართველოს ჩემპიონატში ასპარეზობდა 16 გუნდის 300-მდე მძლეოსანი. აქედან, 10 გუნდი პირველ, ანუ უმაღლეს ჯგუფში იყო, 6 კი მეორეში. საერთო გუნდურ ჩათვლაში, ელიტურ ჯგუფში, თბილისელებმა გაიმარჯვეს, რომლებმაც მეორეადგილოსან ახალციხელებს 190 ქულით გაუსწრეს. დედაქალაქელთა უპირატესობა, რა თქმა უნდა, მოსალოდნელი იყო, რადგან ჩვენს მძლეოსნობას ისედაც ხომ უჭირს ხოლო რეგიონებში გაცილებით რთული მდგომარეობაა.

**კობა ხატისაშვილი**

| 60 მ. ქალები | |
|---|---|
| 1. ანა კაშია (ქუთაისი) | 8,0 |
| 2. სოფო მაჭავარიანი (თბილისი) | 8,2 |
| 3. მარინა აბშილავა (ზუგდიდი) | 8,3 |

| 60 მ. ვაჟები | |
|---|---|
| 1. დავით ცუცქირიძე (ბორჯომი) | 6,9 |
| 2. დავით ბარამიძე (აჭარა) | 7,1 |
| 3. გიორგი ანთელიძე (თბილისი) | 7,1 |

| 200 მ. ქალები | |
|---|---|
| 1. სოფო მანუკიანი (თბილისი) | 27,3 |
| 2. სოფო გაფრინდაშვილი (თბილისი) | 27,5 |
| 3. ევა ბუდანოვა (აჭარა) | 27,9 |

| 400 მ. ქალები | |
|---|---|
| 1. ირინა ლოზოვაია (გორი) | 1.01,2 |
| 2. გაიანე უსტიანი (ახალციხე) | 1.01,4 |
| 3. ბელა ბალიაშვილი (მარტვილი) | 1.04,2 |

| 400 მ. ვაჟები | |
|---|---|
| 1. ანდრო ზილბერშტეინი (ახალციხე) | 50,7 |
| 2. თენგიზ ლეინვილია (ზუგდიდი) | 51,1 |
| 3. ლუდვიგ ზილბერშტეინი (ახალციხე) | 52,0 |

| 800 მ. ქალები | |
|---|---|
| 1. გაიანე უსტიანი (ფოთი) | 2.24,3 |
| 2. ნინო ჩუბინაშვილი (თბილისი) | 2,30,4 |
| 3. ირინა ლოზოვაია (თბილისი) | 2,34,9 |

| 3000 მ. ვაჟები | |
|---|---|
| 1. გიგლა ზილბერშტეინი (ახალციხე) | 8.59,8 |
| 2. ჰამლეტ მამიკონიანი (თბილისი) | 9.16,5 |
| 3. ანდრანიკ მატინიანი (ახალციხე) | 9.43,9 |

| 3000 მ. ქალები | |
|---|---|
| 1. გიული დეკანაძე (ვანი) | 10.34,2 |
| 2. სოფო ჩოჩნაძე (ბორჯომი) | 11.32,6 |
| 3. თინა პაპუაშვილი (ბორჯომი) | 11.32,6 |

| 1500 მ. ქალები | |
|---|---|
| 1. გიული დეკანაძე (ვანი) | 5.01,02 |
| 2. ნინო ჩუბინიშვილი (თბილისი) | 5.19,1 |
| 3. სოფო ჩოჩნიძე (ბორჯომი) | 5.23,4 |

| 1500 მ. ვაჟები | |
|---|---|
| 1. გიგლა ზილბერშტეინი (ახალციხე) | 4.08,07 |
| 2. ჯეირან ხოფერია (ფოთი) | 4.09,4 |
| 3. ნიკა ბათანაგოვი (ქუთაისი) | 4.15,9 |

| სიმაღლეზე ხტომა. ვაჟები | |
|---|---|
| 1. გიორგი ამირანაშვილი (თბილისი) | 190 |
| 2. დავით სარიშვილი (თბილისი) | 180 |
| 3. ლევან თამაზაშვილი (გარდაბანი) | 165 |

| ბირთვის კვრა. ქალები | |
|---|---|
| 1. სალომე რიგიშვილი (თბილისი) | 10.90 |
| 2. ქეთევან ჩაგანავა (ფოთი) | 9.48 |
| 3. ნათია ნაცყებია (ფოთი) | 9.15 |

| ბირთვის კვრა. ვაჟები | |
|---|---|
| 1. მამუკა ტულუში (ოზურგეთი) | 15.77 |
| 2. ზურაბ გიგაია (მარტვილი) | 15.62 |
| 3. ნიკა ბერაძე (ხარაგაული) | 12.26 |

| სამხტომი. ქალები | |
|---|---|
| 1. ქრისტინე შალამბერიძე (წყალტ.) | 11.23 |
| 2. ევგენია ჩერნოვიკოვა (ფოთი) | 10.78 |
| 3. თეა ფაცურია (ფოთი) | 10.74 |

| სამხტომი. ვაჟები | |
|---|---|
| 1. ბორისლავ სხირტლაძე (თბილისი) | 14.23 |
| 2. ამირან კირვალიძე (თბილისი) | 13.51 |
| 3. ვახტანგ ჯინჭველეიშვილი (ქუთ.) | 13,48 |

| 60 მ. თარჯრბენი. ქალები | |
|---|---|
| 1. ლიკა დვალიშვილი (თბილისი) | 9,8 |
| 2. ევგენია ჩერნიკოვა (ფოთი) | 10,0 |
| 3. თეა ფაცურია (ფოთი) | 10,0 |

| 60 მ. თარჯრბენი. ვაჟები | |
|---|---|
| 1. დავით ილარიანი (თბილისი) | 7,7 |
| 2. ამირან კირვალიძე (თბილისი) | 8,5 |
| 3. დავით ტაბეშაძე (ქუთაისი) | 9,2 |

| სიგრძეზე ხტომა. ქალები | |
|---|---|
| 1. ლიკა დვალიშვილი (თბილისი) | 5.10 |
| 2. რიტა ფუთურიძე (ქუთაისი) | 4.92 |
| 3. მაია გოგოლაძე (თბილისი) | 4.84 |

| სიგრძეზე ხტომა. ვაჟები | |
|---|---|
| 1. ბორისლავ სხირტლაძე (თბილისი) | 6.68 |
| 2. გიორგი ამირანაშვილი (თბილისი) | 6.48 |
| 3. ჯიმი მირზოევი (აჭარა) | 6.21 |

| ამანათრბენი 4X200. ქალები | |
|---|---|
| 1. თბილისი-1 | 1.51,0) |
| 2. ქუთაისი | 1.56,2) |
| 3. თბილისი-2 | 1.57,7) |

| ამანათრბენი 4X200 ვაჟები | |
|---|---|
| 1. თბილისი-1 | 1.37,5) |
| 2. ახალციხე | 1.37,6) |
| 3 ქუთაისი | 1.38,8) |

**გუნდური პირველობა**

| პირველი ჯგუფი (უმაღლესი ლიგა) | |
|---|---|
| 1. თბილისი-1 | (530 ქულა) |
| 2. ახალციხე | (340,5) |
| 3. ქუთაისი | (340) |

| მეორე ჯგუფი | |
|---|---|
| 1. წყალტუბო | (116 ქულა) |
| 2. მარტვილი | (83) |
| 3. ოზურგეთი | (40) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ანტიკური ჭიდაობა



საქართველოს ჩემპიონატი. U 21

# ძველები და ახლები

**გუშინ, დილომში, ლევან თედიაშვილის სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრში დამთავრდა ახალგაზრდებში საქართველოს ჩემპიონატი. ეს პირველი შესარჩევი ეტაპია ივნის-ივლისის მიჯნაზე ბელგრადში გამართული ევროპის პირველობისთვის. ამიტომ ჩემპიონატში ნაკრებში მოხვედრის ყველა კანდიდატი გამოვიდა, ვისაც კი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამის საშუალებას აძლევდა.**

ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა **ვლადიმერ ადეიშვილმა** შეღავათი მხოლოდ ორს გაუწია - უფროსებში საქართველოს ვიცე-ჩემპიონი **ლაშა გოგიტაძე** (55) და ასევე უფროსებში ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონი **რევაზ ლაშხი** (60) დაასვენა. ისინი უკვე ეროვნულში მოხვედრის პრეტენზიას აცხადებენ (ლაშხმა შარშან ევროპის პირველობაზეც იჭიდავა) ახალგაზრდულში კი კონკურენტები არც ჰყავთ და მწვრთნელი ზედმეტ დატვირთვას მოერიდა. მით უფრო, უფროსებში ქვეყნის პირველობაზე სულ რაღაც ერთი თვის წინ იჭიდავეს. თანაც, ისინი შაბათს დაბრუნდნენ ბაკურიანიდან, სადაც ეროვნულთან ერთად შეკრებაზე იმყოფებოდნენ.

მოლოდინისამებრ, ტურნირმა საკმაოდ საინტერესოდ და დაძაბულად ჩაიარა. ბუნებრივია, გამოჩნდნენ ახალი სახეებიც. მედალოსანთა შორის რამდენიმე ისეთიც ვიხილეთ, ერთი თვის წინ უფროსთა ქვეყნის პირველობაშიც რომ ავიდნენ კვარცხლბეკზე.

ვიდრე საბელგრადე შემადგენლობას დაასახელებს, ადეიშვილი კანდიდატებს კიდევ რამდენიმე ტურნირში გამოცდის - 10-11 მარტს, სოფიაში, პეტკო სირაკოვის მემორიალზე, 25-27 მაისს - იზმირის საერთაშორისო ტურნირში და 1-3 ივნისს - ერევანში, ლევონ ჯულფალაკიანის სახელობის ტურნირში.

**ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ ადეიშვილმა ასეთი კომენტარი გააკეთა:** - ჩვენი უპირველესი საზრუნავი ევროპის პირველობისთვის ოპტიმალური შემადგენლობის შერჩევაა, ეს ტურნირი კი ერთ-ერთი შესარჩევი ეტაპია. ვერ ვიტყვი, რომ ახალი სახეები გამოჩნდა, მედალოსანთა უმეტესობას აქამდეც ვიცნობდით. თუმცა რამდენიმე სიურპრიზს მაინც გამოვარჩევ - მაგალითად, 96-ში გამარჯვებულ ბაღდათელ იოსებ ჯაბიძეს. მართალია, მან უფროსებში საქართველოს ჩემპიონატზე ბრინჯაო მოიპოვა, მაგრამ სასიამოვნოა, რომ ახლაც კარგად მომზადებული გამოვიდა და დამაჯერებლად გაიმარჯვა. კარგად იჭიდავა აჭარელმა არჩილ თურმანიძემაც 55-ში, თუმცა ამ წონაში ლიდერი მაინც გოგიტაძეა, რომელიც უკვე ეროვნულ ნაკრებში მოხვედრაზე აცხადებს სერიოზულ პრეტენზიას. ამიტომ გაჩნდა მოსაზრება, რომ თურმანიძემ თანატოლთა ევროპის პირველობისთვის ქვედა წონაში ჩაინაცვლოს. საერთოდ, ბელგრადში წასაყვან შემადგენლობაზე საუბარი ჯერ ადრეა, რადგან იქამდე კიდევ სამი შესარჩევი ტურნირია.

**დღეს და ხვალ ანალოგიური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში გაიმართება.**

**ირაკლი თავაძე**

| 50 კგ |
| --- |
| 1. ზურაბ მაჭარაშვილი (ოზურგეთი) |
| 2. იონა ქუთათელაძე (წყალტუბო) |
| 3. გიორგი გოგიბერაშვილი (სამტრედია) |
| 3. მირზა ვანაძე (ოზურგეთი) |

| 55 კგ |
| --- |
| 1. არჩილ თურმანიძე (აჭარა) |
| 2. აკაკი კილურაძე (ოზურგეთი) |
| 3. ირაკლი უნგიაძე (თბილისი) |
| 3. ზურაბ დათუნაშვილი (თბილისი) |

| 60 კგ |
| --- |
| 1. ლაშა მოლაშვილი (თბილისი) |
| 2. პაატა ბაქურაძე (აჭარა) |
| 3. უჩა შავაძე (აჭარა) |
| 3. მინდია ოჯახიშვილი (აჭარა) |

| 66 კგ |
| --- |
| 1. ანტონ მამაგეიშვილი (ქუთაისი) |
| 2. ზურაბ ჩიხლაძე (ზესტაფონი) |
| 3. გოჩა მინაძე (თბილისი) |
| 3. თორნიკე ნაჭყებია (თბილისი) |

| 74 კგ |
| --- |
| 1. ლაშა გუგუნაშვილი (ქუთაისი) |
| 2. გიორგი ღუმბაშვილი (რუსთავი) |
| 3. ბესიკ სიხარულიძე (ქუთაისი) |
| 3. რომან არუთინოვი (თბილისი) |

| 84 კგ |
| --- |
| 1. ნინუა სერგო (ქუთაისი) |
| 2. დავით უბირია (აფხაზეთი) |
| 3. გელა ნადირაძე (სართიჭალა) |
| 3. ალიბეგაშვილი ვახტანგ (თბილისი) |

| 96 კგ |
| --- |
| 1. იოსებ ჯაბიძე (ბაღდათი) |
| 2. გენო ხელია (რუსთავი) |
| 3. ვლადიმერ ქარჩავა (ოზურგეთი) |
| 3. ვახტანგ ბერაძე (ოზურგეთი) |

| 120 კგ |
| --- |
| 1. დიმიტრი ჯავახიშვილი (აჭარა) |
| 2. ლევან შულაია (თბილისი) |
| 3. ვასილ იმერლიშვილი (რუსთავი) |
| 3. ელგუჯა ბასილაძე (აჭარა) |

## აჭარის მთავრობამ პრემიალურები დაამტკიცა

აჭარის მთავრობამ, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად დაამტკიცა ავტონომიური რესპუბლიკის სპორტსმენთა მიერ 2007 წლის განმავლობაში მიღწეული წარმატებების შესაბამისი ერთჯერადი ფულადი ჯილდოების ოდენობა.

**პეკინის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის** მომპოვებელს სამინისტრო 3 000 ლარით დაასაჩუქრებს; **მსოფლიო ჩემპიონატი (პირადი):** პირველი ადგილი - 5000 ლარი; მეორე ადგილი - 3000 ლარი; მესამე ადგილი - 2000 ლარი; **ევროპის ჩემპიონატი (პირად-გუნდური):** 3000, 2000, 1500; **მსოფლიოსა და ევროპის პირველობები (პირად-გუნდური):** 2000, 1500 ,1000 ლარი; **საქართველოს ჩემპიონატი (პირად-გუნდური):** 2000, 800, 300; **საქართველოს პირველობები (ჭაბუკები და ახალგაზრდები, პირად-გუნდური):** 500, 300, 200; **„ა" კატეგორიის საერთაშორისო ტურნირები (პირად-გუნდური):** 800, 600, 500; **აჭარის ჩემპიონატი (უფროსები):** პირველი ადგილი - 200 ლარი.

**ირაკლი დარცმელიძე**
ბათუმიდან

## კრივი

საქართველოს ჩემპიონატი

# ქვეყნის ჩემპიონები სანაკრებო სეზონის წინ

**ორიოდე დღის წინ დასრულებულ საქართველოს ჩემპიონატზე წარმატებით გამოვიდნენ გორელები. შარშან მათ 4 ოქროს, 1 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედლის მოპოვება შეძლეს, ამჯერად - 3 ოქრო, 2 ვერცხლი და 2 ბრინჯაო. ტიტული მხოლოდ ვახტანგ ნინამძღვრიშვილმა დაკარგა, ხოლო გორელებმა - ვასილ ყაზიშვილმა, ბექა ლობჟანიძემ და ვარიანელმა რევაზ ქარელიშვილმა შარშანდელი ჩემპიონობა შეინარჩუნეს. ქვეყნის ჩემპიონატზე საკუთარი გამოსვლის შეფასება და სამომავლო გეგმებზე საუბარი ვთხოვეთ ორივე გორელ ჩემპიონს ვასილ ყაზიშვილსა და ბექა ლობჟანიძეს.**



ვასილ ყაზიშვილი



ბექა ლობჟანიძე

ბექა ლობჟანიძე: - მოსამზადებელი შეკრება გორში გავიარეთ, შემდეგ ვარიანის სკოლის წარმომადგენლებიც შემოგვიერთდნენ და ბოლო რამდენიმე დღე ერთად ვვარჯიშობდით. მომზადება რომ ნაყოფიერი გამოვიდა ამაზე შედეგიც ნათლად მეტყველებს.

ვასილ ყაზიშვილი: - შეჯიბრების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ტრავმა მივიღე - სპარინგისას ნეკნი დამიზიანდა და ვარჯიში ველარ გავაგრძელე. ფაქტობრივად, შეგუებული ვიყავი, რომ ქვეყნის პირველობის გამოტოვება მომიწევდა, მაგრამ თავს ძალა დავატანე და მაინც ვიასპარეზე - მეშინოდა, ჩემპიონატის გამოტოვებით ნაკრებში ადგილი არ დამეკარგა...

ბექა ლობჟანიძე: - ეს პირველი ოფიციალური შეჯიბრება იყო, სადაც მძიმე წონაში ვიასპარეზე. დამძიმება ჩემი და მწვრთნელის, ავთანდილ შოშიაშვილის გადაწყვეტილება გახლდათ - ამიერიდან სწორედ ამ წონაში გამოვალ. თბილისში ოქროს მოპოვება არ გამჭირვებია. პირველი ბრძოლა ნიკა მებალიშვილს 21:0 მოვუგე, შემდეგ მარნეულელი ალექსანდრე ქავთარაძე არ გამომიცხადდა და ბოლოს დავით სტეფანიასთან 14:3-ზე მისმა სეკუნდანტმა პირსახოცი გადმოაგდო.

ფინალში თამაზ ჯავოევთან საპაექროდ ვემზადებოდი, მაგრამ ის ნახევარფინალში სენსაციურად დამარცხდა სტეფანიასთან. საერთოდ, მთავარ კონკურენტად იუზა გულორდავას ველოდი, მაგრამ ჩემპიონატზე არ უკრივია - როგორც შევიტყვე, უცხოეთში წასულა...

ვასილ ყაზიშვილი: - პირველ სამ ბრძოლაში დიდი უპირატესობით ვაჯობე მეტოქეებს და სამივე ორთაბრძოლა დროზე ადრე შეწყდა. ფინალში რუსთაველ ამირან ჯანჯღავასთან კი ბოლომდე გაგრძელდა იგი და საბოლოოდ 13:9 დასრულდა ჩემს სასარგებლოდ.

**- წლეულს პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიებისათვის ბრძოლა მოგიწევთ. როგორ ხვდებით საერთაშორისო არენაზე ამ წელს გასამართ შეჯიბრებებს?**

ბექა ლობჟანიძე: - ჯერ კიდევ დიდი შრომა მოგვიწევს. უმთავრესი შეჯიბრება 2007 წელს მოსკოვში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატი იქნება. მანამდე რამდენიმე შეკრება და რამდენიმე საერთაშორისო შეჯიბრებაზე გამოსვლა მოგვიწევს. მაქსიმალურად შევეცდებით, შემოდგომით, მსოფლიო ჩემპიონატზე კარგი შედეგი ვაჩვენოთ. ოლიმპიადაზე გამოსვლა ხომ ნებისმიერი სპორტსმენის ოცნებაა.

ვასილ ყაზიშვილი: - ოლიმპიადა ყველა სპორტსმენისთვის მართალაც უმთავრესი სპორტული შეჯიბრებაა. ამ ეტაპზე ჩემთვის მთავარია, ტრავმა ბოლომდე მოვიშუშო და შემდეგ ფორმის გაუმჯობესებაზე ვიზრუნო. თანამედროვე კრივი უწინდელთან შედარებით უფრო ძალისმიერი გახდა. მეც ვცდილობამ თვალსაზრისით უფრო მეტი ვიმუშაო. ვიმედოვნებთ, ხელმძღვანელობის მხრიდან სათანადო ხელისშეწყობა გვექნება და ჩვენი თავდაუზოგავი შრომაც შედეგს მოიტანს.

**- ერთი თვეა, საქართველოს ნაკრების თავკაცად თქვენი პირადი მწვრთნელი ბატონი ავთანდილ შოშიაშვილი დაინიშნა...**

ბექა ლობჟანიძე: - ბატონი ავთო ბრწყინვალე სპეციალისტია, ძლიერი მოკრივეც მრავლად გაუზრდია და ნაკრების მწვრთნელად მისი მოსვლა საქმეს უთუოდ წაადგება. მჯერა, მასთან ერთად დიდ წარმატებებსაც მივაღწევთ.

ვასილ ყაზიშვილი: - ავთანდილ შოშიაშვილის ქვეყნის ნაკრების სათავეში მოსვლა გორელი მოკრივეებისთვის ორმაგად სასიხარულოა, მან ბრწყინვალედ იცის ჩვენი დადებითი და უარყოფითი მხარეები და შესაძლებლობები. აღარაფერს ვამბობ იმაზე, თუ როგორი სპეციალისტია. მისი სამწვრთნელო კარიერა ყველაფერზე მეტყველებს.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

## ჭადრაკი

საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა

# საგზური სულ ოთხია

შაბათს, ჭადრაკის სასახლეში, საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის პირველი ლიგის გათამაშება დაიწყო. ტურნირში 52 მონაწილე შეიკრიბა. ამ ტურნირისთვის შესარჩევი ტურიც გაიმართა და ათმა მოჭადრაკემ მიიღო პირველ ლიგაში თამაშის უფლება, შეურჩევლად კი იმ მოჭადრაკეებს შეეძლოთ თამაში, ვისაც საერთაშორისო წოდება ჰქონდა.

პირველი ლიგის 4 გამარჯვებული უმაღლესი ლიგის საგზურს მიიღებს და 8 უძლიერეს ქართველ მოჭადრაკესთან ერთად გაითამაშებს საქართველოს 2007 წლის ჩემპიონის ტიტულს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს წლევანდელ ჩემპიონატში წინასწარი თანხმობა ყველა უძლიერესმა მოჭადრაკემ განაცხადა - თვით **ზურაბ აზმაიფარაშვილიც** კი აპირებს თამაშს. ვიხილავთ **ბაადურ ჯობავას, გია გიორგაძეს** და სხვებს. ერთადერთი, ვინც ვერ ითამაშებს, **ზვიად იზორიაა**, რომელიც ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებშია და ჩამოსვლას ვერ ახერხებს.

ვინაიდან დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტო ვითარება შეიქმნა, პირველ ლიგაშიც ძალიან ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი - ქართული ათეულის წევრები **დავით არუთინიანი** და **ლევან აროშიძე**; ასევე **კონსტანტინე შანავა, დავით მალალაშვილი, გიორგი ბალათუროვი, მალხაზ სულაშვილი, თორნიკე სანიკიძე, ბეგლარ ჯობავა, დავით ჯოჯუა, გიორგი მარგველაშვილი** და ყველა პერსპექტიული ახალგაზრდა მოჭადრაკე,

აქვე თამაშობს 9 ქალიც: **დიანა დარჩია, ბელა ხოტენაშვილი, ნინო ბაციაშვილი, სოფიკო ტერელაძე, ანა გავაშელი, სოფიკო გურამიშვილი, სალომე ხაჟომია, ქეთი წაწალაშვილი და მარიამ დანელია**. ქალთა "გუნდი" უფრო ძლიერიც შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ 2 მარტს ქალთა ჩემპიონატის ფინალური ტურნირია და უძლიერესებმა ძალების დაზოგვა არჩიეს.

უკვე ორი ტური გაიმართა და იყო მოულოდნელი შედეგებიც. მაგალითად, **გაიოზ ნიგალიძის** შავებით მოგება **კონსტანტინე შანავასთან**. პირველ ტურში **თორნიკე სანიკიძე** თეთრებით დამარცხდა **თამაზ მგელაძესთან**. 12 წლის **მარიამ დანელიას** მოგებაც ამ კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ - მან დიდოსტატი **დიანა დარჩია** დაამარცხა - თუმცა დიანა 8 წელია აქტიურ ჭადრაკს ჩამოშორებული იყო და ახლახან დაუბრუნდა ჭადრაკის. შეგახსენებთ, რომ ის საქართველოს ჭადრაკს ფედერაციის ახლად არჩეული პრეზიდენტის რომან სიჭინავას მეუღლეა და რამდენიმე თვის წინ დაბრუნდა საქართველოში.

მეორე ტურში 16 წლის ქუთაისელმა **დავით ბენიძემ**, რომელსაც საერთაშორისო სტანდარტით უმცირესი, ფიდეს ოსტატის წოდება აქვს, დიდოსტატი **ლევან აროშიძე** დაამარცხა.

მესამე ტურში პირველ დაფებზე ძალიან დაძაბული ბრძოლები გაიმართება: **დავით არუთინიანი (2) - ლუკა პაიჭაძე (2), შოთა აზალაძე (2) - ბეგლარ ჯობავა (2), დავით ბენიძე (2) - გიორგი მარგველაშვილი (2), გიორგი ბალათუროვი (1,5) - თამაზ მგელაძე (2), დავით ზარქუა (1,5) - დავით მალალაშვილი (1,5), პარმენ გელაზონია (1,5) - მალხაზ სულაშვილი (1,5), დავით ჯოჯუა (1,5) - ლევან ბრეგაძე (1,5), ბაჩანა მორჩიაშვილი (1,5) - გაიოზ ნიგალიძე (1,5), სოფიკო ტერელაძე (1,5) - გიგა ყუფარაძე (1,5)**

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი

18-წლამდელთა ნაკრები

# ერთი თვე დაიკარგა, ვინაზღაურებთ!

საფრანგეთის ბასკეთში 30 მარტიდან დაიწყება თვრამეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატი, სადაც საქართველოს ნაკრები ელიტარულ A ჯგუფში ასპარეზობს. მასპინძლებთან ერთად ტურნირში ინგლისის, იტალიის, ირლანდიის, რუსეთის, რუმინეთისა და პორტუგალიის ნაკრებები იასპარეზებენ, ქართველი მორაგბეების პირველი მეტოქე კი ირლანდიელი თანატოლები იქნებიან. წლეულს ნაკრებს ლევან მაისაშვილი და ბადრი ბოხუა უხელმძღვანელებენ. როგორ ემზადებიან და რა პრობლემების დაძლევა უწევთ მწვრთნელებს მუშაობაში, ამის შესახებ ლევან მაისაშვილი გვიამბობს:



ლევან მაისაშვილი

- ნაკრების მწვრთნელად 27 დეკემბერს დავინიშნე, მუშაობას კი ერთ კვირაში შევუდექი. წესით, ამ დროისთვის ნაკრებში სასელექციო მუშაობა დამთავრებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვინაიდან მზადების დაწყება ძალიან გვიან მოგვიხდა, სელექციას ეს-ესაა მოვრჩით. თავიდან 55-60 მორაგბე ავიყვანეთ და მათგან დღეისთვის 32 შევარჩიეთ. ეს პერიოდი, თვეზე მეტი, ჩათვალეთ, რომ დაკარგულია.

**- რის ხარჯზე აპირებთ ამ დაკარგული დროის ანაზღაურებას?**

- მზადება სამ ეტაპად დავყავით. პირველი, როგორც უკვე ალვნიშნეთ, სელექცია იყო, მეორე ეტაპს ახლა ვიწყებთ. ძირითადად სათამაშო ტექნიკასა და ტაქტიკაზე ვმუშაობთ. პარალელურად ფიზიკურ დატვირთვებზეც ვიმუშავებთ, თუმცა ამას მორაგბეებს ინდივიდუალურად ვავალებთ. გუნდი ფაქტობრივად, ფორსირებულად ემზადება და დიდი დატვირთვების მიცემა საჭიროდ არ მიმაჩნია.

მესამე ეტაპი 5 მარტიდან დაიწყება. ათდღიან შეკრებას თბილისში გავივლით, 23 მარტს კი საფრანგეთში, პოში გაემგზავრებით, იქ შვიდდღიანი შეკრება გვექნება. შუალედში "პოს" ახალგაზრდულ გუნდს ვეთამაშებით, 30 მარტს კი პირველი თამაში გვაქვს ირლანდიასთან.

**- მომდევნო მეტოქე, გამარჯვების შემთხვევაში, ინგლისი იქნება, ან პორტუგალია - თუ ირლანდიასთან დამარცხდით. რა იცით მეტოქეების შესახებ?**

- მოწინაამდეგეებზე არანაირი ინფორმაცია არ გვაქვს. ირლანდიის ნაკრების ძალა, რომელ ასაკშიც არ უნდა იყოს, ყველასთვის ცნობილია. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ დანებებას ვაპირებთ. ირლანდიასთან რაც შეგვეძლება, ვიბრძოლებთ. საბოლოო მიზანი, ცხადია - ელიტაში ადგილის შენარჩუნება.

**- როგორ ფიქრობთ, რომელ კომპონენტშია თქვენი გუნდი მეტ-ნაკლებად ძლიერი?**

- ტრადიციულად შერკინება წამყვან როლს ითამაშებს. თუმცა აქ მესამე ხაზში გარკვეული პრობლემები გვაქვს. საქმე ისაა, რომ ცხრამეტწლამდელთა ნაკრებში ჩვენი ასაკის 10 მოთამაშეა მიწვეული. ისინი რომ ჩვენთან იყვნენ, ეს ხარვეზიც არ გვექნებოდა. პრობლემა გვაქვს ასევე 10 ნომრის პოზიციაზე. სამუშაო ძალიან ბევრია, ახლა გუნდის შენების პროცესში ვართ და ვნახოთ რა გამოგვივა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

### საქართველო (18)

I ხაზი: დავით მენაბდიშვილი, გიორგი ტორაძე, მიხეილ ნარიაშვილი (აია), გიორგი გაბელია (ლელო), გუდა კილასონია (სენაკი), დათო ხოსიტაშვილი (ხულიგანა), შალვა მამუკაშვილი (ყოჩები), საბა ქართველიშვილი (არმაზი)

II ხაზი: ლაშა ფილია (ლელო), ილო სურგულაძე (უნივერსიტეტი), ბექა კობახიძე (უნივერსიტეტი), ბექა თანდაშვილი (ლელო)

III ხაზი: ლადო გუნიავა (უნივერსიტეტი), გიორგი რევიშვილი (აია), რობერტ აბესალამიშვილი (დათვები), ვასო კვერნაძე (ლელო), თენგო მარგველაშვილი (ყოჩები), გიორგი ზარნაძე (უნივერსიტეტი)

9: ლევან გოგია (უნივერსიტეტი), გიორგი ჭინჭარაული (ლელო)

10: გივი ნადარეიშვილი (უნივერსიტეტი), დავით ფურცელაძე (ლელო), ლევან ვასაძე (აია)

12-13: გიორგი ლომინაძე (ლელო), გიგა კორკელია (ლელო), დათო ჯავახიშვილი (არმაზი), დათო გრძელიშვილი (ხულიგანა)

11-14: რატი ხუციშვილი (უნივერსიტეტი), კოტე ჯმუხაძე (უნივერსიტეტი), გივი ტაბატაძე (ლელო), ზურა გოგლიჩიძე (აია)

15: გოდერძი ჯოგლაძე (ლელო), გაგა სინაურიძე (აია)



შარქს-ჰაილენდერზი

ზე-14

# აფრიკელი ზვიგენები წინ გაიჭრნენ

ზე 14-ის წლევანდელ გათამაშებაში "შარქსმა" პირველად მიილო ლელო, თუმცა აფრიკულმა კლუბმა სწორედ მესამე ტურში მოიპოვა ერთპიროვნული ლიდერობა. დურბანში "შარქსმა" ზელანდიური "ჰაილენდერსი" ფაქტობრივად, ერთი კაცის, ფულბეკ **პერსი მონტგომერის** მონაწილეობით დაამარცხა - 23:16. ყველა, ოცდასამივე ქულა მონტგომერიმ მიითვალა. მან ორი ლელო გაიტანა, ორივე გარდასახა და სამი საჯარიმოც ზუსტად დაარტყა. "შარქსი" სამხრეთ აფრიკელთაგან ყველაზე წარმატებული გუნდია, ის ორჯერ, 1996 და 2001 წლებში, იყო ფინალში, თუმცა ორჯერვე დამარცხდა. მონტგომერიმ ორივე ლელო ულამაზესად გაიტანა.

მეორე ადგილზეც აფრიკული გუნდია - "ჩიტაზმა" შინ 30:26 დაამარცხა ავსტრალიური "ვორათაზი". მასპინძლებმა დიდებულად დაიწყეს, 18 წუთში სამი ლელო გაიტანეს, "ვორათაზმა" ტრავმის გამო კაპიტანი **ფილ ვოოც** დაკარგა, თუმცა ბოლოს გაიბრძოლა და კინალამ მოიგო. "ჩიტაზმა" ოთხი ლელოს გატანით პრემიალური ქულაც მიილო. საუკეთესო მასპინძელთა შორის ფულბეკი **ფილიპ ბერგერი** იყო, რომელმაც ერთი ლელო გაიტანა. აფრიკელთათვის ეს ტური წარმატებული გამოდგა, მოიგო "სტორმერსმაც", მათგან მხოლოდ "ბულსი" დამარცხდა. მეორეჯერ წააგო ჩემპიონმა, ზელანდიურმა "კრუსეიდერზმა".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### III ტური

**სტორმერზი-ჩიფსი 21:16**

სტორმერზი (აფრ): 2ლ (პოლსე, დევილიე), გ, 3ს (გრანტი)

ჩიფსი (ზელ): ლ (სვინი), გ, 3ს. (დონალდი)

**ბულზი-ვესტერნ ფორსი 27:30**

ბულზი (აფრ): 3ლ (ნილი 2, ლეონარდი), 3გ, 2ს (სტაინი)

ფორსი (ავს): 3ლ (შეპერდი 2, ჰარდი), 3გ, 3ს (შეპარდი)

**ჰარიკენზი-ბლუზი 23:22**

ჰარიკენზი (ზელ): 2ლ (ჯეინი, ლილო), 2გ, 3ს. (გოპერსი)

ბლუზი (ზელ): 3ლ. (ჰაულიტი, ტუიტავაკე, რაულინსონი), 2გ, ს (ნასევა)

**რედსი-ბრამბიზი 3:6**

რედსი (ავს): ს (შიფკოვსკი)

ბრამბიზი (ავს): 2ს (მორტლოკი, ჰაქსლი)

**ჩიტაზი-ვორათაზი 30:26**

ჩიტაზი (აფრ): 4ლ. (კუკი, ბერგერი, ფრედერიკსი, სმიტი), 2გ, ს (ბოსმანი), ა (კრუგერი)

ვორათაზი (ავს): 2ლ (ბილი, ჯეკობსი), 2გ, 4ს (ჰიუეტი)

**ლაიონზი-კრუსეიდერზი 9:3**

ლაიონზი (აფრ): 3ს (სტრაიდომი)

კრუსეიდერზი (ზელ): ს (ბრეტი)

**შარქსი-ჰაილენდერზი 23:16**

შარქსი (აფრ): 2ლ, 2გ, 3ს (მონტგომერი)

ჰაილენდერზი (ზელ): ლ (კავაუ), გ, 3ს (ორი)

| | თ | მ | წ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| შარქსი | 3 | 0 | 0 | 62:28 | 0 | 12 |
| ჩიტაზი | 2 | 0 | 1 | 77:59 | 2 | 10 |
| ფორსი | 2 | 0 | 1 | 59:38 | 1 | 9 |
| ბლუზი | 2 | 0 | 1 | 73:63 | 1 | 9 |
| ბრამბიზი | 2 | 0 | 1 | 42:35 | 1 | 9 |
| ჰარიკენზი | 2 | 0 | 1 | 78:79 | 1 | 9 |
| ლაიონზი | 2 | 0 | 1 | 36:34 | 0 | 8 |
| კრუსეიდერზი | 1 | 0 | 2 | 61:65 | 2 | 6 |
| ჰაილენდერზი | 1 | 0 | 2 | 30:41 | 2 | 6 |
| რედსი | 1 | 0 | 2 | 50:55 | 1 | 5 |
| ვორათაზი | 1 | 0 | 2 | 60:68 | 1 | 5 |
| ბულზი | 1 | 0 | 2 | 54:67 | 1 | 5 |
| ჩიფსი | 0 | 0 | 3 | 63:81 | 4 | 4 |
| სტორმერზი | 1 | 0 | 2 | 33:65 | 0 | 4 |



ანა ტატიშვილი

## ჩოგბურთი

# ერთიც და ბადეშია

17 წლის **ანა ტატიშვილი** ერთ ნაბიჯშია WTA ტურის შეჯიბრის ძირითად ბადეში მოხვედრამდე - ანა კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში "კოპა კოლსანიტასის" ტურნირში თამაშობს. იმისთვის, რომ მსოფლიოს 294-ე ჩოგანი ანა ტატიშვილი 175-ათასიანი შეჯიბრების ძირითად ბადეში გავიდეს, ბრაზილიელი **ჯენიფერ ვიჯაია** უნდა დაამარცხოს. ვიჯაია 20 წლისაა და მსოფლიო კლასიფიკაციაში 206-ე პოზიციაზეა. პირველ საკვალიფიკაციო წრეში ანამ კოლუმბიელი **პაულა რობლესს** (1005) მოუგო - 6:2, 6:0, წუხელ კი ამერიკელ **ჯულია კოენს** (366) შეხვდა და მხოლოდ პირველ სეტში გაუჭირდა - 6:4, 6:1.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ავტოსპორტი

საქართველოს ჩემპიონატი

# ჩქაროსნები კუს ტბაზე

ჩემპიონატის პირველ ეტაპს, ჩქაროსნულ სამთო რბოლას მოჟამული ამინდი დაემთხვა - დილით წვიმდა, ალაგ-ალაგ წამოთოვდა კიდეც. ვიფიქრე, ასეთ ამინდში ტრასა სახიფათო იქნება და რბოლა შეიძლება გადაიდოსმეთქი, მაგრამ როგორც კი ჭავჭავაძის გამზირზე კუს ტბის ასასვლელისკენ მიმავალი სპორტული მანქანებისთვის დამახასიათებელი ხმა გავიგე, მივხვდი, რომ შეჯიბრება არ გადაიდებოდა. წვიმამაც თითქმის გადაიღო.

სტარტის ადგილზე მისულს დამხვდა უზარმაზარი დანადგარები, გამაყრუებელი მუსიკა, რომელსაც მუსიკასაც ვერ დაარქმევდი და უნიჭო რეპლიკები, რომელსაც ყოფილი ჯეობარელი გოგონა ისროდა დრო და დრო, რითაც ხელს უშლიდა ინფორმატორს შეჯიბრების შედეგების გამოცხადებაში.

კუს ტბის 2-კილომეტრიანზე ცოტა უფრო გრძელ დისტანციაზე, ასპარეზობა ორ ეტაპად გაიმართა. კვალიფიკაციას ძირითადი რბოლა მოჰყვა. თითო მონაწილეს შორის წუთიანი ინტერვალი იყო. სულ 18 ავტომრბოლი მოგროვდა. ფავორიტებად **ზურაბ ბეჟაშვილი, არჩილ ბიძინაშვილი, მამუკა მელაძე** და **ოთარ თავართქილაძე** ითვლებოდნენ. ამ ოთხეულიდან პირველი ორი "ჰონდა სივიკით" ასპარეზობდა, მელაძე "სიტროენ საქსოთი", თავართქილაძე კი "სუბარუ იმპრეზათი".

საკვალიფიკაციო რბოლას თითქოს ფავორიტთა უპირატესობა უნდა დაედასტურებინა, მაგრამ ალმოჩნდნენ ისეთებიც, ვინც მათ პაექრობაში ჩარევა სცადეს. საბოლოოდ, ორი რბოლის შედეგების შეჯამებისას გამარჯვებულად **ოთარ თავართქილაძისა** და **ლადო კუხიანიძის** ეკიპაჟი გამოცხადდა, მეორე ადგილზე **გიორგი ოგბაიძე** გავიდა. სხვათა შორის, მის ვარდისფერ "ჰონდა სივიკს" საჭე მარჯვნივ ჰქონდა, რასაც ხელი არ შეუშლია მისთვის კარგი შედეგი ეჩვენებინა. მესამეზე **არჩილ ბიძინაშვილი** იყო. არ გაუმართლა ზურაბ ბეჟაშვილს, რომელიც ახალი "ჰონდა სივიკით" ასპარეზობდა და, როგორც ალნიშნა, მანქანა ჯერ კიდევ დასახვეწია.

საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპი 4 მარტს, ისევ კუს ტბაზე გაიმართება.

**დავით ჩუბინიძე**





გამარჯვებული ეკიპაჟი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯერალდ გრინი გაფრინდა

ყველა ვარსკვლავის უიქენდი

# გრინი, კაპონო, უეიდი და დეტროიტი

## ოლ სტარის წინ, ლას ვეგასში ტრადიციული კონკურსები გაიმართა

"ბოსტონ სელტიქსის" ფორვარდი **ჯერალდ გრინი** "ყველა ვარსკვლავის უიქ ენდის" ყველაზე სანახაობრივი - ჩატენვების კონკურსის გამარჯვებული გახდა. სამქულიანების კონკურსში ყველას აჯობა "მაიამი ჰიტის" ფორვარდმა **ჯეისონ კაპონომ**. მისი თანაგუნდელი **დუეინ უიედი** საკალათბურთო ოსტატობის შეჯიბრში გავიდა პირველ ადგილზე, ხოლო "დეტროიტ პისტონზის" ტრიომ, სროლებში გუნდური კონკურსი მოიგო. ასეთი გახლდათ "ოლ სტარის" უიქ ენდის მეორე დღის შედეგები. ახლა კი, ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ.

■ ■ ■

გუშინდელი შოუ სროლებში გუნდური კონკურსით (Shooting Stars) გაიხსნა. ამ ასპარეზობის იდეა მარტივია: აქ მონაწილე გუნდი მოქმედი კალათბურთელით, რომელიმე ლეგენდარული მოთამაშითა და ამავე ქალაქის ქალთა გუნდის წევრითაა დაკომპლექტებული. ამ ტრიომ ექვსი პოზიციიდან რაც შეიძლება სწრაფად უნდა ჩააგდოს ბურთები. ვინც ამოცანის შესრულებას ყველაზე ნაკლებ დროში მოახერხებს, გამარჯვებულადაც ის ცხადდება.

კონკურსის პირველ ეტაპზე ოთხი გუნდი მონაწილეობდა: "ლოს ანჯელესი" (**სმაშ პარკერი, ტემეკა ჯონსონი, მაიკლ კუპერი**), "სან ანტონიო" (**ტონი პარკერი, კენდრა უეკერი, ჯორჯ გერვინი**), "დეტროიტი" (**ჩონსი ბილაპსი, სვინ კეში, ბილ ლემბირი**) და "ჩიკაგო" (**ბენ გორდონი, კენდის დიუპრი, სკოტი პიპენი**). ფინალში ბილაპსისა და გორდონის გუნდები გავიდნენ. თუმცა, "ჩიკაგოს" სკოტი პიპენის გუნდი უფრო ეთქმოდა, რადგან 41 წლის ვეტერანი შესანიშნავ ფორმაში იმყოფებოდა და მთელს ტრიოს მარტო მიათრევდა.

ამ კონკურსის დროს ერთი კურიოზიც მოხდა: პირველი ეტაპის დროს ტაბლო გაფუჭდა და მსაჯები დროს ხელის წამზომით აფიქსირებდნენ.

Shooting Stars დასასრულს უახლოვდებოდა, როცა მინი-სკანდალი მოხდა. სკოტი პიპენმა უჩვეულოდ შორი მანძილიდან ჩააგდო ბურთი და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა, მაგრამ ვიდეოჩანაწერის ნახვის შემდეგ, მსაჯებმა "ჩიკაგოს" დისკვალიფიკაცია მისცეს, რადგან გორდონმა დიუპრეზე ადრე ისროლა ბურთი, რითაც მიმდევრობა დაარღვია. ასე რომ, ამ კონკურსში გამარჯვებულად "დეტროიტი" გამოცხადდა.

■ ■ ■

შემდეგ იყო საკალათბურთო ოსტატობის კონკურსი - Skills Challenge, რომელმაც **დუეინ უეიდისა** ("მაიამი") და "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერ **კობი ბრაიანტის** პაექრობის ქვეშ ჩაიარა. მონაწილეებს თავიანთი ოსტატობა უნდა გამოეჩინათ სროლებში, ჩატენვებსა და გადაცემების შესრულებაში. ანუ, ეს იყო ერთგვარი საკალათბურთო მრავალჭიდი.

პირველ ეტაპზე უეიდისა და ბრაიანტის მეტოქეები იყვნენ - **ლებრონ ჯეიმსი** ("კლივლენდი") და **კრის პოლი** ("ნიუ ორლეანი") და აქ გამარჯვება კობიმ მოიპოვა, რომელიც 29.8 წამში ჩაეტია. მაგრამ ფინალში, "ლეიკერსის" მცველმა ერთ-ერთი გადაცემის შესრულებისას შეცდომა დაუშვა, ბევრი დრო დაკარგა და დუეინ უეიდს შარშანდელი ტიტულის დაცვის საშუალება მისცა.

■ ■ ■

სენსაციურად დასრულდა სამქულიანების კონკურსი, სადაც ფინალში ალიარებულ სნაიპერებთან - **გილბერტ არენასთან** ("ვაშინგტონი") და **დირკ ნოვიცკისთან** ("დალასი") ერთად "მაიამის" ფორვარდი **ჯეისონ კაპონო** მოხვდა.

არენასი და ნოვიცკი ამ კონკურსის შარშანდელი ფინალისტები იყვნენ, გერმანელი კი, მოქმედი ჩემპიონი გახლდათ. "ოლ სტარის" უიქ ენდის წინ, არენასმა არაერთხელ დაიტრაბახა - შარშანდელი მარცხისთვის წელს შურს ვიძიებო, მაგრამ სწორედ მისი არასერიოზული საქციელი გახდა იმის მიზეზი, რომ სამქულიანების კონკურსი სენსაციით დამთავრდა.

ფინალში, "ვაშინგტონის" ლიდერი სროლის ერთი წერტილიდან მეორეზე სეირნობით გადადიოდა და ტყორცნებს ერთი ხელით ასრულებდა. ამას აშკარად მაყურებლების გასართობად აკეთებდა, თუმცა მაინც შეძლო 17 ქულის დაგროვება.

რაც შეეხება ნოვიცკის, მან ფინალში საშინლად ისროლა და სამარცხვინო 9 ქულას დასჯერდა. არენასმაც და ნოვიცკიმაც იცოდნენ კაპონოს შედეგი, რადგან მაიამელმა ფინალში პირველმა ისროდა და ბრწყინვალე შედეგიც აჩვენა - 24 ზუსტი ტყორცნა.

■ ■ ■

დაბოლოს, მივადექით ყველაზე საინტერესოს - ჩატენვების კონკურსს, სადაც შარშანდელ გამარჯვებულს, "ნიუ იორკ ნიქსის" მცველ **ნეიტ რობინსონს** იმედი ჰქონდა, რომ ლეგენდარულ **მაიკლ ჯორდანსა და დომინიკ უილიკნსს** შეუერთდებოდა და ამ შეჯიბრს ზედიზედ მეორედ მოიგებდა. სხვათა შორის, ჯორდანიცა და უილკინსიც ამ კონკურსის ჟიურიში შედიოდნენ. მათ გარდა, მონაწილეთა შეფასების საპატიო მისია კობი ბრაიანტს, **ჯულიუს ირვინგსა და ვინს კარტერს** დაევალათ.

180 სანტიმეტრი სიმაღლის რობინსონმა აქცენტი ტექნიკაზე, ბრუნებსა და აკრობატულ ელემენტებზე გააკეთა, ამიტომაც, მისი ყველა ცდა მიზანს ვერ აღწევდა. ფინალში კი, ნიუიორკელი მისთვის განკუთვნილ ორ წუთში ვერ ჩაეტია და ბოლო ჩატენვა 360-გრადუსიანი ბრუნით, მხოლოდ დამატებით ცდაზე შეასრულა.

ამასობაში კი, ჯერალდ გრინმა აქცენტი ნახტომის სიმაღლესა და სიგრძეზე და აგრეთვე, ჩატენვის ეფექტურობაზე გადაიტანა. საბოლოოდ, ჟიურის ახალგაზრდა ბოსტონელის გამოსვლა უფრო მოეწონა და გამარჯვებულადაც ის გამოაცხადა.

ამ კონკურსში **ტაირუს ტომასი** ("ჩიკაგო ბულსი") და **დუაიტ ჰოვარდიც** ("ორლანდო მეჯიქი") მონაწილეობდნენ. ტომასმა ერთ-ერთი ჩატენვისას, წინ თავის თანაგუნდელი ბენ გორდონი დაიყენა, თავზე გადააფრინდა მას და ბოლოს ბადეც კი გახია. კიდევ უფრო განაცვიფრა პუბლიკა ჰოვარდმა. ერთი ნახტომისას მან იმდენი შეძლო, რომ ფარზე (რგოლიდან 46.5 სანტიმეტრით ზემოთ) თავისი სურათი მიაწება (!), ჰაერში წამით გაჩერდა და შემდეგ ბურთი ჩატენა.

■ ■ ■

უიქ ენდის მეორე დღეს სხვა ბევრი ღირსშესანიშნავი მომენტიც იყო. მაგალითად, სისწრაფეში შეეჯიბრნენ ერთმანეთს 43 წლის ლეგენდარული **ჩარლზ ბარკლი** და 67 წლის არბიტრი **დიკ ბავეტი**.

სერ ჩარლზი ტელეკომპანია TNT-ის ანალიტიკოსად მუშაობს და საკმაოდ მოიმატა წონაში. მიუხედავად ამისა, მან განაცხადა, ასაკოვან მსაჯზე სწრაფად გაირბენდა მოედნის სამ წრეს. ბარკლიმ ბავეტი იმიტომ გამოიწვია, რომ ეს არბიტრი დღეში 10-12 კილომეტრს დარბის და საკმაოდ კარგ ფორმაშია.

თუმცა. NBA-ის ლეგენდამაც დაამტკიცა, რომ ჯანზეა. გარბენის დროს, ის სულ წინ იყო და მუდმივად უკან, მსაჯისკენ იყურებოდა. დისტანციის ბოლო ნაწილი კი, ბარკლიმ ზურგშექცევით გაირბინა და პრიზის სახით 50 ათასი დოლარიც მიიღო, რომელიც მაშინვე რომელიღაც საქველმოქმედო ორგანიზაციას შესწირა.

| სამქულიანები | |
|---|---|
| I რაუნდი | |
| გილბერ არენასი | 23 |
| დირკ ნოვიცკი | 20 |
| ჯეისონ კაპონო | 19 |
| მაიკ მილერი | 18 |
| დეიმონ ჯონსი | 15 |
| ჯეისონ ტერი | 10 |
| ფინალი | |
| ჯეისონ კაპონო | 24 |
| გილბერტ არენასი | 17 |
| დირკ ნოვიცკი | 9 |

| ჩატენვები | |
|---|---|
| I რაუნდი | |
| ჯერალდ გრინი | 95 |
| ნეიტ რობინსონი | 90 |
| დუაიტ ჰოვარდი | 85 |
| ტაირუს ტომასი | 90 |
| ფინალი | |
| ჯერალდ გრინი | 91 |
| ნეიტ რობინსონი | 80 |

კალათბურთი

### ორი MVP

გასულ კვირას, ევროლიგის გათამაშების მეორე ტურის მატჩები გაიმართა და ტრადიციულად, ტურის დასრულების შემდეგ, ULEB-მა საუკეთესო მოთამაშე დაასახელა. ამჯერად, MVP-ის ტიტული ორმა კალათბურთელმა გაიყო - "ოლიმპიაკოსის" **სკუნი პენმა** და "ბენეტონის" **მარკუს გორიმ**.

"პარტიზანთან" მატჩში, პენიმ 27 ქულა დააგროვა და მეტოქე კალათბურთელები აიძულა მასზე რვაჯერ დაჯარიმებულიყვნენ. რაც შეეხება გორის, "უნიკახასთან" შეხვედრაში მან თავის აქტივში 24 ქულა, 7 მოხსნა, 4 ჩაჭრა და 3 დაფარება ჩაიწერა.

### ტორონტო ევროპაში დაბანაკდება

სააგენტო Canadian Press-ის ინფორმაციით, "ტორონტო რეპტორზის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ახალი სეზონის წინ საწვრთნელი შეკრება ევროპაში, კერძოდ კი, იტალიისა და ესპანეთის ტერიტორიაზე გამართოს.

ამ მზადების ციკლში, კანადური კლუბი მონაწილეობას მიიღებს ოთხთა ტურნირში, სადაც მასთან ერთად "მემფის გრიზლისი", "რეალი" და "ესტუდიანტესი" ითამაშებენ.

შეგახსენებთ, რომ ამ სეზონის წინ, ევროპაში NBA-ის ოთხმა გუნდმა იმოგზაურა. "ფილადელფია", "კლიპერსი", "სან ანტონიო" და "ფინიქსი" გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთსა და რუსეთში ატარებდნენ შეკრებებს.

### ჯეისონ კიდს ცოლი უჩივის

"ნიუ ჯერსის ნეტსის" გამთამაშებელი **ჯეისონ კიდი** მეუღლემ ღალატში დაადანაშაულა. გარდა ამისა, კალათბურთელის ცოლმა ისიც განაცხადა, რომ 10 წელი თანაცხოვრობის პერიოდში, კიდი მას სასტიკად ეპყრობოდა და ხშირად სცემდა კიდეც.

**ჯუმან კიდმა** ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც ჯეისონმა გასულ თვეში, სასამართლოში შეიტანა განცხადება განქორწინების თაობაზე. ამ ქალბატონმა თავისი მეუღლე იმაშიც დაადანაშაულა, რომ კალათბურთელს უკვე დიდი ხანია არ აქვს ურთიერთობა თავის სამ შვილთან.

"ნიუ ჯერსის" ლიდერის ადვოკატმა განაცხადა, რომ ჯუმან კიდის მიერ გავრცელებული ცნობები სიმართლეს არ შეეფერება და ამას ის სასამართლოზე დაამტკიცებს.

### დიდების დარბაზს ახალი წევრები ეყოლება

წელს, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის დიდების დარბაზში მოსახვედრად 15 პრეტენდენტი იბრძოლებს. ეს სია ორი დღის წინათ გამოქვეყნდა და ღირსეულებს ჟიური აპრილში გამოავლენს. დიდების დარბაზში მოსახვედრად, ექსპერტთა 24 ხმიდან მინიმუმ 18-ის მოგროვებაა საჭირო. პრეტენდენტებს შორის არიან - ლეგენდარული მწვრთნელი **ფილ ჯექსონი** და NBA-ის ყოფილი ვარსკვლავი **კრის მულინი**.

დიდების დარბაზში შესვლისთვის ორი ევროპელიც იბრძოლებს. ესენი არიან მწვრთნელები - **პედრო ფერნანდესი და მირკო ნოვოსელი**.

ფერნანდესის ხელმძღვანელობით "რეალმა" 12-ჯერ მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი და 11-ჯერ - ესპანეთის თასი. "სამეფო კლუბმა" ოთხჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი და სამი სეზონის განმავლობაში არცერთი მატჩი არ წაუგია.

ნოვოსელმა იუგოსლავიის ნაკრებს 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედლები მოუპოვა. 1976 წელს, მონრეალის ოლიმპიადაზე იუგოსლავებმა მეორე ადგილი დაიკავეს, ხოლო 1984 წელს, ლოს ანჯელესში საკუთარ კოლექციას ბრინჯაოს მედალიც დაუმატეს. საკლუბო დონეზე "ციბონასთან" მომუშავე ნოვოსელი, 1985 წელს ევროპის საუკეთესო მწვრთნელი გახდა.

ჟიურის გადაწყვეტილება 2 აპრილს გახდება ცნობილი, NBA-ის დიდების დარბაზში ახალი წევრების შეყვანის საზეიმო ცერემონიალი 7 სექტემბერს ჩატარდება.

სამთო-სათხილამურო სპორტი

### ჩემპიონატი უნდა დამოკლდეს

სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია (FIS) სამთო-სათხილამურო სპორტში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების ვადის შემცირებას აპირებს.

"ტელევიზიების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მსოფლიო ჩემპიონატის რამდენიმე დღით დამოკლება გვსურს", - აცხადებს FIS-ის პრეზიდენტი **ჯანფრანკო კასპერი**.

წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც შვედეთის კურორტ არეში მიმდინარეობდა, 16 დღეს გაიწელა. შემდეგი მსოფლიო ფორუმის ორგანიზატორები აპირებენ, რომ შეჯიბრება 15 დღეში ჩაატიონ, მაგრამ კასპერის თქმით, შესაძლოა ეს ვადა კიდევ უფრო შემცირდეს.

### ვალ დ'იზერში ბილეთები არ გაიყიდება

2009 წლის მსოფლიო ჩემპიონატი საფრანგეთის კურორტ ვალ დ'იზერში გაიმართება. როგორც პირველობის ორგანიზატორები აცხადებენ, მაყურებლებს ამ შეჯიბრის ხილვა უფასოდ შეეძლებათ - სტარტებზე დასასწრები ბილეთები არ გაიყიდება.

*"ვალ დ'იზერში თხილამურების ყველა მოყვარულს ვეპატიჟებით. შეგიძლიათ მოხვიდეთ, უყუროთ საუკეთესო მოთხილამურეების შეჯიბრებას და ამაში ფული არ გადაიხადოთ. გვინდა, რომ ჩვენს მსოფლიო ჩემპიონატს, რაც შეიძლება მეტი მაყურებელი დაესწროს"*, - ამბობს 2009 წლის მსოფლიო პირველობის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი, ლეგენდარული მოთხილამურე **ჟან-კლოდ კილი**.

2009 წლის მსოფლიო ჩემპიონატი 31 იანვარს აიღებს სტარტს.

ფორმულა 1

### რენომ სიჩქარე ვერ აკრიფა

"რენოს" მთავარი ინჟინრის - **პეტ სიმონდსის** განცხადებით, მისი გუნდი ჯერ ვერ მოერგო "ბრიჯსთოუნის" საბურავებს და ამის გამო, ფრანგული საჯინიბოს პილოტებს უჭირთ ისეთი სიჩქარის ჩვენება, როგორსაც ტესტებზე "მაკლარენისა" და "ფერარის" ავტომრბოლელები ავითარებენ.

*"ნოემბერში მიზნად დავისახეთ, რომ ჩემპიონატის პირველი რბოლისთვის, ყველა პრობლემა მოგვარებული უნდა გვქონოდა. ავსტრალიის გრან-პრიმდე ჯერ კიდევ დიდი დროა, მაგრამ წარმოქმნილი პრობლემების აღმოფხვრას ჯერ ვერ ვახერხებთ. ჩემი აზრით, ცვეთის თვალსაზრისით, საბურავებს ცუდად არ ვიყენებთ, მაგრამ პირველ წრეებზე მისგან მაქსიმალური სიჩქარის მიღების საიდუმლო ვერ ამოვხსენით"*, - აცხადებს სიმონდსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯერალდ გრინი გაფრინდა

ყველა ვარსკვლავის უიქენდი

# გრინი, კაპონო, უეიდი და დეტროიტი

## ოლ სტარის წინ, ლას ვეგასში ტრადიციული კონკურსები გაიმართა

"ბოსტონ სელტიქსის" ფორვარდი **ჯერალდ გრინი** "ყველა ვარსკვლავის უიქ ენდის" ყველაზე სანახაობრივი - ჩატენვების კონკურსის გამარჯვებული გახდა. სამქულიანების კონკურსში ყველას აჯობა "მაიამი ჰიტის" ფორვარდმა **ჯეისონ კაპონომ**. მისი თანაგუნდელი **დუეინ უიედი** საკალათბურთო ოსტატობის შეჯიბრში გავიდა პირველ ადგილზე, ხოლო "დეტროიტ პისტონზის" ტრიომ, სროლებში გუნდური კონკურსი მოიგო. ასეთი გახლდათ "ოლ სტარის" უიქ ენდის მეორე დღის შედეგები. ახლა კი, ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ.

■ ■ ■

გუშინდელი შოუ სროლებში გუნდური კონკურსით (Shooting Stars) გაიხსნა. ამ ასპარეზობის იდეა მარტივია: აქ მონაწილე გუნდი მოქმედი კალათბურთელით, რომელიმე ლეგენდარული მოთამაშითა და ამავე ქალაქის ქალთა გუნდის წევრითაა დაკომპლექტებული. ამ ტრიომ ექვსი პოზიციიდან რაც შეიძლება სწრაფად უნდა ჩააგდოს ბურთები. ვინც ამოცანის შესრულებას ყველაზე ნაკლებ დროში მოახერხებს, გამარჯვებულადაც ის ცხადდება.

კონკურსის პირველ ეტაპზე ოთხი გუნდი მონაწილეობდა: "ლოს ანჯელესი" (**სმაშ პარკერი, ტემეკა ჯონსონი, მაიკლ კუპერი**), "სან ანტონიო" (**ტონი პარკერი, კენდრა უეკერი, ჯორჯ გერვინი**), "დეტროიტი" (**ჩონსი ბილაპსი, სვინ კეში, ბილ ლემბირი**) და "ჩიკაგო" (**ბენ გორდონი, კენდის დიუპრი, სკოტი პიპენი**). ფინალში ბილაპსისა და გორდონის გუნდები გავიდნენ. თუმცა, "ჩიკაგოს" სკოტი პიპენის გუნდი უფრო ეთქმოდა, რადგან 41 წლის ვეტერანი შესანიშნავ ფორმაში იმყოფებოდა და მთელს ტრიოს მარტო მიათრევდა.

ამ კონკურსის დროს ერთი კურიოზიც მოხდა: პირველი ეტაპის დროს ტაბლო გაფუჭდა და მსაჯები დროს ხელის ნამზომით აფიქსირებდნენ.

Shooting Stars დასასრულს უახლოვდებოდა, როცა მინი-სკანდალი მოხდა. სკოტი პიპენმა უჩვეულოდ შორი მანძილიდან ჩააგდო ბურთი და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა, მაგრამ ვიდეოჩანაწერის ნახვის შემდეგ, მსაჯებმა "ჩიკაგოს" დისკვალიფიკაცია მისცეს, რადგან გორდონმა დიუპრეზე ადრე ისროლა ბურთი, რითაც მიმდევრობა დაარღვია. ასე რომ, ამ კონკურსში გამარჯვებულად "დეტროიტი" გამოცხადდა.

■ ■ ■

შემდეგ იყო საკალათბურთო ოსტატობის კონკურსი - Skills Challenge, რომელმაც **დუეინ უეიდისა** ("მაიამი") და "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერ **კობი ბრაიანტის** პაექრობის ქვეშ ჩაიარა. მონაწილეებს თავიანთი ოსტატობა უნდა გამოეჩინათ სროლებში, ჩატენვებსა და გადაცემების შესრულებაში. ანუ, ეს იყო ერთგვარი საკალათბურთო მრავალჭიდი.

პირველ ეტაპზე უეიდისა და ბრაიანტის მეტოქეები იყვნენ - **ლებრონ ჯეიმსი** ("კლივლენდი") და **კრის პოლი** ("ნიუ ორლეანი") და აქ გამარჯვება კობიმ მოიპოვა, რომელიც 29.8 წამში ჩაეტია. მაგრამ ფინალში, "ლეიკერსის" მცველმა ერთ-ერთი გადაცემის შესრულებისას შეცდომა დაუშვა, ბევრი დრო დაკარგა და დუეინ უეიდს შარშანდელი ტიტულის დაცვის საშუალება მისცა.

■ ■ ■

სენსაციურად დასრულდა სამქულიანების კონკურსი, სადაც ფინალში აღიარებულ სნაიპერებთან - **გილბერტ არენასთან** ("ვაშინგტონი") და **დირკ ნოვიცკისთან** ("დალასი") ერთად "მაიამის" ფორვარდი **ჯეისონ კაპონო** მოხვდა.

არენასი და ნოვიცკი ამ კონკურსის შარშანდელი ფინალისტები იყვნენ, გერმანელი კი, მოქმედი ჩემპიონი გახლდათ. "ოლ სტარის" უიქ ენდის წინ, არენასმა არაერთხელ დაიტრაბახა - შარშანდელი მარცხისთვის წელს შურს ვიძიებო, მაგრამ სწორედ მისი არასერიოზული საქციელი გახდა იმის მიზეზი, რომ სამქულიანების კონკურსი სენსაციით დამთავრდა.

ფინალში, "ვაშინგტონის" ლიდერი სროლის ერთი წერტილიდან მეორეზე სეირნობით გადადიოდა და ტყორცნებს ერთი ხელით ასრულებდა. ამას აშკარად მაყურებლების გასართობად აკეთებდა, თუმცა მაინც შეძლო 17 ქულის დაგროვება.

რაც შეეხება ნოვიცკის, მან ფინალში საშინლად ისროლა და სამარცხვინო 9 ქულას დასჯერდა. არენასმაც და ნოვიცკიმაც იცოდნენ კაპონოს შედეგი, რადგან მაიამელმა ფინალში პირველმა ისროდა და ბრწყინვალე შედეგიც აჩვენა - 24 ზუსტი ტყორცნა.

■ ■ ■

დაბოლოს, მივადექით ყველაზე საინტერესოს - ჩატენვების კონკურსს, სადაც შარშანდელ გამარჯვებულს, "ნიუ იორკ ნიქსის" მცველ **ნეიტ რობინსონს** იმედი ჰქონდა, რომ ლეგენდარულ **მაიკლ ჯორდანსა** და **დომინიკ უილიკნსს** შეუერთდებოდა და ამ შეჯიბრს ზედიზედ მეორედ მოიგებდა. სხვათა შორის, ჯორდანიცა და უილკინსიც ამ კონკურსის ჟიურიში შედიოდნენ. მათ გარდა, მონაწილეთა შეფასების საპატიო მისია კობი ბრაიანტს, **ჯულიუს ირვინგსა** და **ვინს კარტერს** დაევალათ.

180 სანტიმეტრი სიმაღლის რობინსონმა აქცენტი ტექნიკაზე, ბრუნებსა და აკრობატულ ელემენტებზე გააკეთა, ამიტომაც, მისი ყველა ცდა მიზანს ვერ აღწევდა. ფინალში კი, ნიუიორკელი მისთვის განკუთვნილ ორ წუთში ვერ ჩაეტია და ბოლო ჩატენვა 360-გრადუსიანი ბრუნით, მხოლოდ დამატებით ცდაზე შეასრულა.

ამასობაში კი, ჯერალდ გრინმა აქცენტი ნახტომის სიმაღლესა და სიგრძეზე და აგრეთვე, ჩატენვის ეფექტურობაზე გადაიტანა. საბოლოოდ, ჟიურის ახალგაზრდა ბოსტონელის გამოსვლა უფრო მოეწონა და გამარჯვებულადაც ის გამოაცხადა.

ამ კონკურსში **ტაირუს ტომასი** ("ჩიკაგო ბულსი") და **დუაიტ ჰოვარდიც** ("ორლანდო მეჯიქი") მონაწილეობდნენ. ტომასმა ერთ-ერთი ჩატენვისას, წინ თავის თანაგუნდელი ბენ გორდონი დაიყენა, თავზე გადააფრინდა მას და ბოლოს ბადეც კი გახია. კიდევ უფრო განაცვიფრა პუბლიკა ჰოვარდმა. ერთი ნახტომისას მან იმდენი შეძლო, რომ ფარზე (რგოლიდან 46.5 სანტიმეტრით ზემოთ) თავისი სურათი მიაწება (!), ჰაერში წამით გაჩერდა და შემდეგ ბურთი ჩატენა.

■ ■ ■

უიქ ენდის მეორე დღეს სხვა ბევრი ღირსშესანიშნავი მომენტიც იყო. მაგალითად, სისწრაფეში შეეჯიბრნენ ერთმანეთს 43 წლის ლეგენდარული **ჩარლზ ბარკლი** და 67 წლის არბიტრი **დიკ ბავეტი**.

სერ ჩარლზი ტელეკომპანია TNT-ის ანალიტიკოსად მუშაობს და საკმაოდ მოიმატა წონაში. მიუხედავად ამისა, მან განაცხადა, ასაკოვან მსაჯზე სწრაფად გაირბენდა მოედნის სამ წრეს. ბარკლიმ ბავეტი იმიტომ გამოიწვია, რომ ეს არბიტრი დღეში 10-12 კილომეტრს დარბის და საკმაოდ კარგ ფორმაშია.

თუმცა. NBA-ის ლეგენდამაც დაამტკიცა, რომ ჯანზეა. გარბენის დროს, ის სულ წინ იყო და მუდმივად უკან, მსაჯისკენ იყურებოდა. დისტანციის ბოლო ნაწილი კი, ბარკლიმ ზურგშექცევით გაირბინა და პრიზის სახით 50 ათასი დოლარიც მიიღო, რომელიც მაშინვე რომელიღაც საქველმოქმედო ორგანიზაციას შესწირა.

| სამქულიანები | |
|---|---|
| I რაუნდი | |
| გილბერ არენასი | 23 |
| დირკ ნოვიცკი | 20 |
| ჯეისონ კაპონო | 19 |
| მაიკ მილერი | 18 |
| დეიმონ ჯონსი | 15 |
| ჯეისონ ტერი | 10 |
| ფინალი | |
| ჯეისონ კაპონო | 24 |
| გილბერტ არენასი | 17 |
| დირკ ნოვიცკი | 9 |

| ჩატენვები | |
|---|---|
| I რაუნდი | |
| ჯერალდ გრინი | 95 |
| ნეიტ რობინსონი | 90 |
| დუაიტ ჰოვარდი | 85 |
| ტაირუს ტომასი | 90 |
| ფინალი | |
| ჯერალდ გრინი | 91 |
| ნეიტ რობინსონი | 80 |

კალათბურთი

## ორი MVP

გასულ კვირას, ევროლიგის გათამაშების მეორე ტურის მატჩები გაიმართა და ტრადიციულად, ტურის დასრულების შემდეგ, ULEB-მა საუკეთესო მოთამაშე დაასახელა. ამჯერად, MVP-ის ტიტული ორმა კალათბურთელმა გაიყო - "ოლიმპიაკოსის" **სკუნი პენმა** და "ბენეტონის" **მარკუს გორიმ**.

"პარტიზანთან" მატჩში, პენიმ 27 ქულა დააგროვა და მეტოქე კალათბურთელები აიძულა მასზე რვაჯერ დაჯარიმებულიყვნენ. რაც შეეხება გორის, "უნიკახასთან" შეხვედრაში მან თავის აქტივში 24 ქულა, 7 მოხსნა, 4 ჩაჭრა და 3 დაფარება ჩაიწერა.

## ტორონტო ევროპაში დაბანაკდება

სააგენტო Canadian Press-ის ინფორმაციით, "ტორონტო რეპტორზის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ახალი სეზონის წინ საწვრთნელი შეკრება ევროპაში, კერძოდ კი, იტალიისა და ესპანეთის ტერიტორიაზე გამართოს.

ამ მზადების ციკლში, კანადური კლუბი მონაწილეობას მიიღებს ოთხთა ტურნირში, სადაც მასთან ერთად "მემფის გრიზლისი", "რეალი" და "ესტუდიანტესი" ითამაშებენ.

შეგახსენებთ, რომ ამ სეზონის წინ, ევროპაში NBA-ის ოთხმა გუნდმა იმოგზაურა. "ფილადელფია", "კლიპერსი", "სან ანტონიო" და "ფინიქსი" გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთსა და რუსეთში ატარებდნენ შეკრებებს.

## ჯეისონ კიდს ცოლი უჩივის

"ნიუ ჯერსის ნეტსის" გამთამაშებელი **ჯეისონ კიდი** მეუღლემ ღალატში დაადანაშაულა. გარდა ამისა, კალათბურთელის ცოლმა ისიც განაცხადა, რომ 10 წელი თანაცხოვრობის პერიოდში, კიდი მას სასტიკად ეპყრობოდა და ხშირად სცემდა კიდეც.

**ჯუმან კიდმა** ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც ჯეისონმა გასულ თვეში, სასამართლოში შეიტანა განცხადება განქორწინების თაობაზე. ამ ქალბატონმა თავისი მეუღლე იმაშიც დაადანაშაულა, რომ კალათბურთელს უკვე დიდი ხანია არ აქვს ურთიერთობა თავის სამ შვილთან.

"ნიუ ჯერსის" ლიდერის ადვოკატმა განაცხადა, რომ ჯუმან კიდის მიერ გავრცელებული ცნობები სიმართლეს არ შეეფერება და ამას ის სასამართლოზე დაამტკიცებს.

## დიდების დარბაზს ახალი წევრები ეყოლება

წელს, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის დიდების დარბაზში მოსახვედრად 15 პრეტენდენტი იბრძოლებს. ეს სია ორი დღის წინათ გამოქვეყნდა და ღირსეულებს ჟიური აპრილში გამოავლენს. დიდების დარბაზში მოსახვედრად, ექსპერტთა 24 ხმიდან მინიმუმ 18-ის მოგროვებაა საჭირო. პრეტენდენტებს შორის არიან - ლეგენდარული მწვრთნელი **ფილ ჯექსონი** და NBA-ის ყოფილი ვარსკვლავი **კრის მულინი**.

დიდების დარბაზში შესვლისთვის ორი ევროპელიც იბრძოლებს. ესენი არიან მწვრთნელები - **პედრო ფერნანდესი და მირკო ნოვოსელი**.

ფერნანდესის ხელმძღვანელობით "რეალმა" 12-ჯერ მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი და 11-ჯერ - ესპანეთის თასი. "სამეფო კლუბმა" ოთხჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი და სამი სეზონის განმავლობაში არცერთი მატჩი არ წაუგია.

ნოვესელმა იუგოსლავიის ნაკრებს 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედლები მოუპოვა. 1976 წელს, მონრეალის ოლიმპიადაზე იუგოსლავებმა მეორე ადგილი დაიკავეს, ხოლო 1984 წელს, ლოს ანჯელესში საკუთარ კოლექციას ბრინჯაოს მედალიც დაუმატეს. საკლუბო დონეზე "ციბონასთან" მომუშავე ნოვოსელი, 1985 წელს ევროპის საუკეთესო მწვრთნელი გახდა.

ჟიურის გადაწყვეტილება 2 აპრილს გახდება ცნობილი, NBA-ის დიდების დარბაზში ახალი წევრების შეყვანის საზეიმო ცერემონიალი 7 სექტემბერს ჩატარდება.

სამთო-სათხილამურო სპორტი

## ჩემპიონატი უნდა დამოკლდეს

სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია (FIS) სამთო-სათხილამურო სპორტში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების ვადის შემცირებას აპირებს.

"ტელევიზიების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მსოფლიო ჩემპიონატის რამდენიმე დღით დამოკლება გვსურს", - აცხადებს FIS-ის პრეზიდენტი **ჯანფრანკო კასპერი**.

წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც შვედეთის კურორტ არეში მიმდინარეობდა, 16 დღეს გაიწელა. შემდეგი მსოფლიო ფორუმის ორგანიზატორები აპირებენ, რომ შეჯიბრება 15 დღეში ჩაატიონ, მაგრამ კასპერის თქმით, შესაძლოა ეს ვადა კიდევ უფრო შემცირდეს.

## ვალ დ'იზერში ბილეთები არ გაიყიდება

2009 წლის მსოფლიო ჩემპიონატი საფრანგეთის კურორტ ვალ დ'იზერში გაიმართება. როგორც პირველობის ორგანიზატორები აცხადებენ, მაყურებლებს ამ შეჯიბრის ხილვა უფასოდ შეეძლებათ - სტარტებზე დასასწრები ბილეთები არ გაიყიდება.

*"ვალ დ'იზერში თხილამურების ყველა მოყვარულს ვეპატიჟებით. შეგიძლიათ მოხვიდეთ, უყუროთ საუკეთესო მოთხილამურეების შეჯიბრებას და ამაში ფული არ გადაიხადოთ. გვინდა, რომ ჩვენს მსოფლიო ჩემპიონატს, რაც შეიძლება მეტი მაყურებელი დაესწროს"*, - ამბობს 2009 წლის მსოფლიო პირველობის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი, ლეგენდარული მოთხილამურე **ჟან-კლოდ კილი**.

2009 წლის მსოფლიო ჩემპიონატი 31 იანვარს აიღებს სტარტს.

ფორმულა 1

## რენომ სიჩქარე ვერ აკრიფა

"რენოს" მთავარი ინჟინრის - **პეტ სიმონდსის** განცხადებით, მისი გუნდი ჯერ ვერ მოერგო "ბრიჯსთოუნის" საბურავებს და ამის გამო, ფრანგული საჯინიბოს პილოტებს უჭირთ ისეთი სიჩქარის ჩვენება, როგორსაც ტესტებზე "მაკლარენისა" და "ფერარის" ავტომრბოლები ავითარებენ.

*"ნოემბერში მიზნად დავისახეთ, რომ ჩემპიონატის პირველი რბოლისთვის, ყველა პრობლემა მოგვარებული უნდა გვქონოდა. ავსტრალიის გრან-პრიმდე ჯერ კიდევ დიდი დროა, მაგრამ წარმოქმნილი პრობლემების აღმოფხვრას ჯერ ვერ ვახერხებთ. ჩემი აზრით, ცვეთის თვალსაზრისით, საბურავებს ცუდად არ ვიყენებთ, მაგრამ პირველ წრეებზე მისგან მაქსიმალური სიჩქარის მიღების საიდუმლო ვერ ამოვხსენით"*, - აცხადებს სიმონდსი.

ჰოკეი

## აფინოგენოვმა ხელი მოიტეხა

აღმოსავლეთის კონფერენციის ლიდერი - "ბაფალო სეიბრზი" რეგულარული ჩემპიონატის დარჩენილ ნაწილს თავისი ერთ-ერთი ლიდერის, რუსი **მაქსიმ აფინოგენოვის** გარეშე ჩაატარებს. ამ ფორვარდმა "ედმონტონთან" მატჩში მარცხენა ხელის ტრავმა მიიღო.

აფინოგენოვმა დაზიანება მეორე პერიოდში მიიღო, მაგრამ თამაში გააგრძელა და ერთი გოლის გატანაც მოახერხა. თუმცა, რუსი მესამე პერიოდში მოედანზე აღარ გამოჩენილა, ხოლო მატჩის შემდეგ ჩატარებულმა რენტგენმა აჩვენა, რომ აფინოგენოვს ხელი ჰქონია მოტეხილი.

ასე რომ, ეს ჰოკეისტი დაახლოებით თვენახევარი ვერ შეძლებს თამაშს.

## ფინიქსი საგაისოდ ემზადება

"ფინიქს კოიოტზი" თავის ჰოკეისტებთან კონტრაქტების გაფორმებას აგრძელებს. კაპიტან **შეინ დოენის** შენარჩუნების შემდეგ, **უეინ გრეტცკის** კლუბმა ორ-ორი წლით გაუხანგრძლივა კონტრაქტები მეკარე **მიკაელ ტელკვისტსა** და ცენტრალურ თავდამსხმელ **მაიკ ზიგომანისს**.

ტელკვისტი ამ სეზონში საშუალოდ მატჩში 3.22 შაიბას უშვებს და დარტყმების 89.5 პროცენტს იგერიებს. რაც შეეხება ზიგომანისს, ამ სეზონში ჩატარებულ 52 შეხვედრაში, მან 10 შაიბა გაიტანა და 7 შედეგიანი გადაცემა გააკეთა.

## შენეჰანი საავადმყოფოშია

მძიმე შედეგებით დასრულდა "ფილადელფიასთან" ბოლო ტურის მატჩი, "ნიუ იორკ რეინჯერსის" ვეტერან ფორვარდ **ბრენდან შენეჰანისთვის**. ერთ-ერთ ეპიზოდში, ნიუიორკელთა ლიდერი ფილადელფიელ **მაიკ ნუბლს** შეასკდა, წაიქცა და ყინულს თავი დაარტყა.

როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, ჰოკეისტი რამდენიმე წუთი უგონოდ იყო. შემდეგ გონს მოვიდა, თვალი მაინც ვერ გაახილა, მაგრამ ფეხებისა და ხელების ამოძრავება შეძლო. საბოლოოდ, შენეჰანი მოედნიდან საკაცით გაიყვანეს და ახლა ის საავადმყოფოში იმყოფება.

## ჰოლმსტრიომი დეტროიტში დარჩება

"დეტროიტ რედ უინგზმა" ახალი, სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა ფორვარდ **ტომას ჰოლმსტრიომთან**. შეგახსენებთ, რომ ეს ჰოკეისტი უკვე მე-11 სეზონს ატარებს ამ კლუბის შემადგენლობაში.

წლევანდელ რეგულარულში ჰოლმსტრიომის ანგარიშზე 40 ქულაა - მან 20 შაიბა გაიტანა და ამდენივე შედეგიანი გადაცემა გააკეთა. რაც შეეხება კარიერულ მონაცემებს, შვედმა თავდამსხმელმა 678 შეხვედრაში 335 ქულა (145 გოლი+190 საგოლე პასი) დააგროვა.

## მონრეალი ძირითადი მეკარის გარეშე დარჩა

"მონრეალ კანადიენსის" მეკარის - **კრისტობალ იუეს** ფეხის ტრავმა იმაზე სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე ამას წინასწარ ვარაუდობდნენ. როგორც გაირკვა, იუეს სამკურნალოდ ქირურგიული ჩარევა დასჭირდება. ოპერაციას მას დღეს გაუკეთებენ. ჯერჯერობით უცნობია, რამდენი ხანი დასჭირდება მას მოედანზე დასაბრუნებლად.

შეგახსენებთ, რომ იუემ ტრავმა ოთხშაბათს, "ნიუ ჯერსისთან" მატჩში მიიღო, როცა ბრაიან რაფალსკისგან მიღებული გოლის შემდეგ, ყინულზე უხერხულად დაეცა.

ჩოგბურთი

## ანდრე აგასი: ფედერერი ისტორიას ქმნის

ლეგენდარულმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა **ანდრე აგასიმ** თავისი აზრი გამოთქვა თანამედროვე ჩოგბურთში შვეიცარიელი როჯერ ფედერერის ბატონობაზე.

აი, რა განუცხადა გაზეთ "ნიუ იორკ თაიმსს" აგასიმ: *"ეს ბიჭი - საუკეთესოა მსოფლიოში. ნებისმიერი ადამიანი, ვინც ცოტათი მაინც ერკვევა სპორტში, როჯერის თამაშის უკლებლივ ყველა წამს უნდა სცემდეს პატივს და აფასებდეს. რატომ? იმიტომ, რომ ფედერერი ისტორიას ქმნის!"*

ოლიმპიზმი

## ავსტრალიელი ოლიმპიელები თავს იზღვევენ

ავსტრალიის ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ სპორტსმენები, რომლებიც 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის უფლებას მიიღებენ, ოლიმპიადის წინ, რამდენიმე დაავადებაზე ვაქცინაციას გაივლიან. ძირითადად, საუბარია ინფექციურ სნეულებებზე.

მიუხედავად ამგვარი ზომებისა, ავსტრალიის ოლიმპიური ნაკრების ექიმი **პიტერ ბეკი** ამბობს, რომ ჩინეთში ამგვარი დაავადებებით დასნეულების შანსი ძალიან მცირეა. და მაინც, სპორტსმენებს ურჩევენ, რომ მოერიდონ ისეთ ბაზრებში სიარულს, სადაც ფრინველები იყიდება და აგრეთვე ყურადღება მიაქციონ იმას, რომ კერძები სათანადო დონეზე იყოს მომზადებული.

*"ამგვარი პროფილაქტიკა საკმარისი იქნება იმისთვის, რომ დაავადების რისკი თითქმის ნულამდე დავიყვანოთ"*, - აცხადებს ბეკი.

## პიონჩანგმა მაღალი შეფასება მიიღო

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემაფასებელმა კომისიამ დაასრულა მუშაობა ჩრდილო კორეის ქალაქ პიონჩანგში. ეს გახლავთ ერთ-ერთი იმ სამი ქალაქიდან, რომლებიც 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობაზე აცხადებენ პრეტენზიას. თუ სააგენტო AP-ს დავუჯერებთ, კომისიის წევრები ძალიან კმაყოფილები დარჩნენ პიონჩანგის მზადებით. მათ პირველ რიგში იმას გაუსვეს ხაზი, რომ ამ პროექტს სახელმწიფოს მხრიდან უდიდესი მხარდაჭერა აქვს.

*"აღფრთოვანებულები ვართ იმით, რაც პიონჩანგმა შეიძლება ოლიმპიურ მოძრაობას შესთავაზოს*, - ამბობს იაპონელი **ჩიჰარა იგაია**, რომელიც სოკ-ის შემაფასებელი კომისიის თავმჯდომარეა. - *ყველგან, სადაც კი ვიყავით, ათასობით ადამიანი გვხდებოდა. ამ განაცხადის დიდი პლუსია არა მარტო ის, რომ სპორტული ობიექტები კომპაქტურად არის განლაგებული, არამედ ის, რომ სახელმწიფო მას სერიოზულ დახმარებას უწევს"*.

20-23 თებერვალს, იგაიას კომისია რუსეთის ქალაქ სოჭს მოინახულებს, რის შემდეგაც, ბოლო კანდიდატ-ქალაქს - ავსტრიის ზალცბურგს ესტუმრება.

ცურვა



მაიკლ ფელპსი

მსოფლიო რეკორდი

## ფელპსმა საკუთარი რეკორდი მოხსნა

მისურის დიდ პრიზზე ასპარეზობისას, 200 მეტრზე ბატერფლაიში მსოფლიოს რეკორდი გააუმჯობესა ამერიკელმა **მაიკლ ფელპსმა**. მან დისტანცია წუთსა და 53.71 წამში გაცურა და 0.09 წამით გააუმჯობესა რეკორდი, რომელიც მასვე ეკუთვნოდა. წინა რეკორდი ფელპსმა შარშან, წყნარი ოკეანის თამაშებზე გამოსვლისას, 17 აგვისტოს დაამყარა.

აღსანიშნავია, რომ 21 წლის ამერიკელმა 200 მეტრზე ბატერფლაიში მსოფლიოს რეკორდი მეხუთედ დაამყარა, რის შემდეგაც განაცხადა, რომ უფრო სწრაფად ცურვაც შეუძლია და ამის დამტკიცებას მელბურნში, მსოფლიოს ჩემპიონატზე ეცდება. შეგახსენებთ, რომ მან ათენის ოლიმპიადაზე რვა მედალი მოიპოვა, რომელთაგან ექვსი ოქროსი იყო (მათგან ერთი, სწორედ 200 მეტრზე ბატერფლაიში მოიგო).

*"არ მეგონა, თუ ამ ტურნირზე რეკორდის დამყარებას შევძლებდი. ფინიშს რომ მივაღწიე, მაყურებლის ოვაცია შემომესმა. ვიფიქრე, რაღაც განსაკუთრებული მოხდა-მეთქი - თურმე სარეკორდო დრო მიჩვენებია"*, - განაცხადა ფელპსმა, ვინც ბოლო მეოთხედზე ნასვლის წინ, უახლოეს მდევრებს ოთხი კორპუსით უგებდა.

ფელპსი მსოფლიო ჩემპიონატზეც რვა დისტანციაზე აპირებს გამოსვლას. მისურის დიდ პრიზზე კი მხოლოდ ექვსზე იასპარეზა. მან განაცხადა, რომ მელბურნის სტარტებისთვის განსაკუთრებულად ემზადება. ყველაზე დიდ ყურადღებას კი წყალში ჩახტომისა და წყალქვეშ ცურვის დახვეწას უთმობს.

*"წყალში ჩახტომასა და წყალქვეშ ცურვას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან თუ სწრაფ სტარტს აიღებ, ამ ტემპს შემდგომშიც შეინარჩუნებ და კარგი შედეგიც გექნება. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, თუ როგორ მოსწყდები კედელს და რა კუთხით ჩაეშვები წყალში. ბევრს ამ ელემენტის დამუშავება ეზარება. არადა, წყალში სწორად გადახტომით, რბოლის მოგება შეიძლება. მე ამ ელემენტებზე ბევრს ვმუშაობ და როგორც ხედავთ, ამას სასურველი შედეგი მოაქვს"*, - ამბობს ფელპსი.

მძლეოსნობა

მსოფლიო რეკორდი

## ბეკელემ ისევ სარეკორდოდ გაირბინა

გასულ უიქ ენდზე ახალი მსოფლიო რეკორდი მძლეოსნობაშიც დამყარდა. მისი ავტორი ეთიოპიელი **კენენისა ბეკელე** გახდა, რომელმაც ბირმინგემში, "ნორვიჩ იუნიონის" დიდ პრიზზე ასპარეზობისას, 2000-მეტრიანი დისტანცია დახურული დარბაზებისთვის სარეკორდო დროში - 4 წუთსა და 49.99 წამში გაირბინა. მანამდე ამ დისციპლინაში მსოფლიო რეკორდი ბეკელეს სახელოვან თანაგუნდელს - **ჰაილე გებრსელასიეს** ეკუთვნოდა და მას ცხრა წელი ვერავინ აუმჯობესებდა.

ბეკელესგან განსხვავებით, რეკორდს ამჯერად ვერ შესწვდნენ რუსი ჭოკით მხტომელი **ელენა ისინბაევა** და ამერიკელი სპრინტერი **ქსავიერ კარტერი**. ისინი რეკორდების გაუმჯობესებას გეგმავდნენ, მაგრამ ორივეს ხელი მოეცარა.

აღსანიშნავია, რომ გებრსელასიემ 1998 წელს რეკორდი სწორედ ბირმინგემში ასპარეზობისას დაამყარა. ბეკელემ, ვისაც 5000 მეტრზე ოლიმპიური ოქრო და მსოფლიოს რეკორდი ეკუთვნის, ფინიშის შემდეგ განაცხადა - კარგ განწყობაზე ვიყავი და ვიცოდი, რომ მაღალი შედეგი მექნებოდა, მაგრამ რეკორდს თუ დავამყარებდი, ამაზე ოცნებაც არ შემეძლოო.

ისინბაევა ტურნირის დაწყებამდე არ მალავდა, რომ ბირმინგემში მისი მიზანი თავისივე რეკორდის (4.94 მეტრი) გაუმჯობესება იყო, რომელიც ცოტა ხნის წინათ, დონეცკში დაამყარა. 24 წლის რუსი პირველ ორ ცდაზე მიზანთან ახლოს იყო, მაგრამ მესამეზე აშკარად უხეიროდ გადახტა და საბოლოოდ, ტურნირის მოგებასღა დასჯერდა. ასპარეზობის შემდეგ კი, თავისი წარუმატებლობა გარბენის დროს არსებულ ხარვეზებს დააბრალა.

ისინბაევასგან განსხვავებით, რეკორდის დამყარების მოსურნე კარტერმა რბოლაც ვერ მოიგო. მართალია, ზედ ფინიშის წინ მან ბრიტანელ **რობერტ ტობინს** გაასწრო, მაგრამ ჩანაწერის გაშიფვრის შემდეგ გაირკვა, რომ გასწრებამდე ცოტა ხნით ადრე, მან ხაზს დააბიჯა, რის გამოც მისი შედეგი გააუქმეს და მოგება ტობინს ჩაუთვალეს. კარტერი გაოცებული დარჩა, მაგრამ ველარაფერი შეცვალა.

რალი

მსოფლიო ჩემპიონატი. ნორვეგია

**III ეტაპი**

1. ჰირვონენი ("ფორდი", ფინეთი) - 3:28.17; 2. **გრონჰოლმი** ("ფორდი", ფინეთი) - +09.3; **ჰ.სოლბერგი** ("ფორდი", ნორვეგია) - +03.44; 4. **პ.სოლბერგი** ("სუბარუ", ნორვეგია) - +04.01; 5. **ლატვალა** ("ფორდი", ფინეთი) - +05.30; 6. **გალი** ("სიტროენი", იტალია) - +07.05; 7. **კარლსონი** ("სიტროენი", შვეიცარია) - +09.23; 8. **კოპეჩკი** ("შკოდა", ჩეხეთი) - +11.49.

**საერთო ჩათვლა:** 1. **გრონჰოლმი** - 24 ქულა; 2. **ჰირვონენი** - 20; 3. **ლოები** ("სიტროენი", საფრანგეთი) - 18; 4. **ჰ.სოლბერგი** - 11; 5. **პ.სოლბერგი** - 8; 5. **სორდო** ("სიტროენი", ესპანეთი) - 8; 7. **კარლსონი** - 6; 7. **ატკინსონი** ("სუბარუ", ავსტრალია) - 6.

კონსტრუქტორთა თასი: 1. **ფორდი** - 44 ქულა; 2. **სიტროენი** - 28; 3. **სტობარტი** - 16; 4. **სუბარუ** - 15; 5. **კრონოსი** - 14.


ლელო

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10[ა],
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა